1425
2010

# არსენალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 22 (117). 29 ოქტომბერი – 11 ნოემბერი, 2010 წ. სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.



ცვლილებები სარეზერვო სამსახურში

ტერაქტები — აფეთქებები საქართველოში დაიწყო?

ახალი ქართული ფილმი აგვისტოს ომის გმირებზე



სამხედრო ავიამოდელების უნიკალური კოლექცია

როგორ დაგვზვერავენ რუსები ისრაელში ნაყიდი უპილოტოებით...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ქარს გატანებული ხუთი მილიარდი 49



„ახალი აკვნები" — ფილმი აგვისტოს ომზე 14



„პატარა ავიაციის" დიდი კოლექციონერი 22

პაკისტანური ტანკები — ისლამაბადის სატანკო ამბიციები 32





„ჰეზბოლა" — ალაჰის რჩეული შიიტი შაჰიდები 38



შავი ზღვის ფლოტის ახალი ფრეგატები 46

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


**კალეიდოსკოპი**

4 ახალი ამბები

**ოკუპაცია**

8 გათავისუფლებული პერევი არ ნიშნავს დეოკუპაციის დაწყებას

**საქართველო და NATO**

9 NATO-ს კვირეული საქართველოში

**რჩევები რეზერვისტებს**

10 ცვლილებები სარეზერვო სამსახურში

**რეგიონი**

12 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...

**ფილმი ომზე**

14 „ახალი აკვნები" – ფილმი აგვისტოს ომზე

**აფხაზეთის ომი**

16 აფხაზეთის 1992-93 წლების ომის ფინალი

**ტერაქტები**

18 ვის აფრთხილებენ უცნობი ტერორისტები

**სპეცსამსახურები**

20 საქართველოს საგარეო დაზვერვა – მითი და რეალობა

**ჰობი**

22 „პატარა ავიაციის" დიდი კოლექციონერი

**ავია არტი**

30 მფრინავი ვეფხვები

**განკამშენებელი ქვეყნები**

32 პაკისტანური ტანკები – ისლამაბადის სატანკო ამბიციები

**ტერორისტული ორგანიზაციები**

38 „ჰეზბოლა" – ალაჰის რჩეული შიიტი შაჰიდები

**სპეცოპერაციები**

42 „ირმებზე მონადირენი"

**ფლოტი**

46 შავი ზღვის ფლოტის ახალი ფრეგატები

**უპილოტოები**

49 ქარს გატანებული ხუთი მილიარდი

**მონადირის მონათხრობიდან**

52 მონადირე, რომელიც შველს არასოდეს ესვრის...

**„არსენალის" იარაღის მაღაზია**

54 „დაკოდილი" პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი სახლის დასაცავად


პალიტრა მედია

## რედაქტორის სვეტი

2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანახმად მომავალ წელს საქართველოს შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი წლევანდელთან შედარებით საგრძნობლად შემცირდება. აქ მნიშვნელოვანია პოლიტიკური მიზნები. როგორც ცნობილია NATO-ს სტანდარტით დემოკრატიულ ქვეყნებში სამხედრო ბიუჯეტის წილი არ უნდა იყოს მთელი ბიუჯეტის 2%-ზე ნაკლები და ამავე დროს რეკომენდებულია მაქსიმალური ზღვარი 5-6 %-ის ოდენობით.

იმედია, ბიუჯეტის წლევანდელი შემცირება პირდაპირ არ აისახება ქართული ჯარის ბრძოლისუნარიანობასა და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაზე.

ცნობისთვის, 2011 წელს სომხეთი თავდაცვის ხარჯებზე 395,8 მლნ დოლარის გამოყოფას აპირებს. აზერბაიჯანი კი სამხედრო ხარჯებს 1,6-ჯერ ზრდის. წელს სამხედრო ხარჯმა შეიძლება 3,1 მლრდ დოლარს მიაღწიოს!

*ირაკლი ალადაშვილი*
*გიორგი ქორქოლიანი*

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი"
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74;
38-26-73

რედაქციის დაუკითხავად მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
25.10.2010

გაზეთ „კვირის პალიტრის" დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. №49.
ტელ: 38-37-47
სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამერიკელები უპილოტოებს ავტონომიურს გახდიან



აშშ-ის სამხედრო საჰაერო ძალებში ახალ ტექნოლოგიებზე მუშაობენ, რამაც უპილოტო საფრენი აპარატები მომავალში ავტონომიური უნდა გახადოს. ახალი სისტემის წყალობით უპილოტოები ცაში სხვა საფრენი აპარატის ამოცნობას, ფრენის მარშრუტის შეცვლასა და შეჯახების თავიდან აცილებას ოპერატორის ჩარევის გარეშე შეძლებენ.

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების გეგმის თანახმად, ახალი სისტემა ოთხი ელემენტისგან შემდგარი იქნება. პირველი ელემენტი მიმღებ-გადამცემის ფუნქციას შეასრულებს, რომელიც თავის რადიუსში მფრინავ ობიექტებს კოორდინატებს ავტომატურად მიაწვდის.

სისტემის მეორე ელემენტი ელექტრულ-ოპტიკური სენსორი იქნება, რომელიც ხედვის არეში მოხვედრილი აპარატების გადაადგილებას, მიწის ზედაპირთან მიმართებაში დააკვირდება. მესამე ელემენტი — კოორდინატთა გადაცემის ავტომატური სადგურია, რომელიც თავისი ადგილმდებარეობის შესახებ ცნობებს მოიპოვებს და კოორდინატთა ტრანსლაციას სხვა საფრენი აპარატებისთვის განახორციელებს. სისტემის მეოთხე ელემენტი განსაკუთრებული რადარია, რომელიც უპილოტოს იმ ობიექტების აღმოჩენის საშუალებას მისცემს, რომლებიც კამერის ხედვის არეალის მიღმა ფრენენ.

ახალი სისტემის წყალობით ოპერატორებს უპილოტო საფრენი აპარატის უსაფრთხოდ გადაადგილებაზე მუდმივად თვალყურის დევნება და ზრუნვა აღარ მოუწევთ და პროცესში მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში ჩაერთვებიან.

# ტერორისტმა აფეთქება ფეხმძიმე ცოლის გამო გადადო



ბრიტანელმა სამართალდამცველებმა ხუთწლიანი კვლევა-ძიების შემდეგ ლონდონის ტერაქტების ორგანიზატორთა ვინაობა და საქმის დეტალები საფუძვლიანად გამოარკვიეს. გაირკვა, რომ 2005 წლის 7 ივლისის ტერაქტი, რომლის დროსაც 52 კაცი დაიღუპა და 700 დაშავდა, ტერორისტებს წინა დღისთვის დაუგეგმავთ, თუმცა ბოლო მომენტში ერთი დღით გადაუვადებიათ. ამის მიზეზი ტერაქტების მთავარი ორგანიზატორის, მუჰამედ სიდიკ ხანის ოჯახური პრობლემა გამხდარა, რომლის ფეხმძიმე ცოლს მუცლის ტკივილი სწორედ მაშინ დაეწყო, როცა ტერორისტს განზრახვა სისრულეში უნდა მოეყვანა.

6 ივლისს დილის 4 საათზე ტერორისტული დაჯგუფების ლიდერმა თავის თანამზრახველს შეჰზად ტანვირს შეტყობინება გაუგზავნა: „პრობლემები მაქვს, დღეს ვეღარ ვასწრებთ. როცა ყველაფერი გაირკვევა, დაგირეკავ. სახლში იყავი და დამელოდე“.

მუჰამედი სკოლის მასწავლებელზე ჰასინ ფატელზე 2001 წელს დაქორწინდა, 2004 წელს კი გოგონა შეეძინათ. მეორე ფეხმძიმობა ჰასინისთვის პრობლემური აღმოჩნდა, 5 ივლისს კი ისე ცუდად გახდა, რომ მუჰამედს „საგმირო საქმის“ გადადება და ცოლის სამშობიაროში წაყვანა მოუხდა.

ტერორისტებმა მუჰამედის მეთაურობით განზრახვა მომდევნო დღეს მაინც აღასრულეს, აფეთქებებმა ლონდონის მეტროს სადგურებსა და ორიარუსიან ავტობუსში ათეულობით ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა, ჰასინ ფატელს კი სწორედ იმ დღეს მუცელი მოეშალა.



# მომავლის სამხედრო ხომალდი UXV




ძნელია წინასწარ იმის ზუსტად განსაზღვრა, როგორი ტიპის ომები იქნება მომავალში, მაგრამ ერთის თქმა დანამდვილებით შეიძლება — ბრძოლები მეტწილად რობოტების მონაწილეობით წარიმართება, რომლებიც სამხედრო ამოცანებს უკვე დღეს ასრულებენ. ამის დასტურია უპილოტო საფრენი აპარატები, რომლებზეც ამერიკელებმა წელს 3,76 მლრდ დოლარი დახარჯეს და სხვადასხვა სამხედრო ოპერაციებში წარმატებით იყენებენ.

ახლახან ბრიტანულმა სამხედრო-სამრეწველო კომპანია BAE Systems-მა სწრაფმავალი, სპეციალური კონსტრუქციის ხომალდზე (UXV Combatant) დაიწყო მუშაობა, რომელიც სწორედ საბრძოლო რობოტებისთვის - უპილოტო საფრენი და წყალქვეშა აპარატებისთვის იქნება განკუთვნილი. ამასთან, ის ერთდროულად შეითავსებს როგორც ავიამზიდის, ასევე წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო, სატვირთო-სადესანტო და საბრძოლო გემის ფუნქციებს. პროექტის დასრულება 2020 წლისთვის იგეგმება.

UXV-ს კონსტრუქცია და დიზაინი კომპანია BAE Systems-ის უახლესი საბრძოლო ხომალდის 45 Daring-ისა ექნება. გემის სიგრძე 500 ფუტი (150 მეტრი) იქნება და დიზელ-ენერგეტიკული ძალისმიერი აგრეგატითა და ელექტროტურბინით აღიჭურვება. „პროექტ 45"-ის მსგავსად, UXV-ის მაქსიმალური სიჩქარეც 27 კვანძს გადააჭარბებს. წინამორბედისგან განსხვავებით კი, რომლის ეკიპაჟი ასეულობით მეზღვაურით განისაზღვრება, მასზე სულ 60 მეზღვაური განთავსდება.

UXV-ს ორი 164 ფუტი სიგრძის გემბანი ექნება, რომლებიც ერთად V-ს ფორმას წარმოადგენენ. მისი ასაფრენი ბილიკიდან უპილოტო საფრენი აპარატები ცაში ელექტრომაგნიტური კატაპულტის მეშვეობით აიჭრებიან, მათ აფრენას, მართვასა და დაშვებას კი ლოკატორები, ინფრაწითელი და რადიოსიხშირის სენსორები უზრუნველყოფენ.

მომავლის ხომალდი წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის ფუნქციასაც შეითავსებს და უპილოტო წყალქვეშა აპარატებით, მაღალტექნოლოგიური ჰიდროლოკატორებითა და ტორპედოებით, ასევე წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო შვეულმფრენებით (Super Lynx) აღიჭურვება. საჭიროების შემთხვევაში გემს დესანტის გადასხმა და სახმელეთო ჯარების უზრუნველყოფაც შეეძლება, რომლებსაც ნაპირიდან საცეცხლე მხარდაჭერის შვეულმფრენებითა და ჯავშანმანქანებით მოამარაგებს.

ლამის ყოვლისშემძლე UXV-ს საკმაო საშუალებები თავდასაცავადაც ექნება. მასზე „გემი-ჰაერის", „გემი-გემისა" და მართვადი რაკეტების გამშვები დანადგარები დამონტაჟდება. ხომალდი მოწინააღმდეგის მცურავ საშუალებებთან და სანაპირო მიზნებთან გამკლავებისთვის 6-დუიმიანი ჭურვის მსროლელ ქვემეხს გამოიყენებს.

27398

# საზღვაო ქვეითები შვეულმფრენთა პარკს აახლებენ

ამერიკელი საზღვაო ქვეითები 291 შვეულმფრენის Bell AH-1-ის განახლებას გეგმავენ. სამუშაოს დიდ ნაწილს კომპანია Bell Helicopter Textron შეასრულებს, რომელიც სამხედროებთან 12,1 მლრდ დოლარად შეფასებულ კონტრაქტს უახლოეს მომავალში გააფორმებს.

აშშ-ის საზღვაო ქვეითებს 131 შვეულმფრენის AH-1W SuperCobra-ს მოდერნიზაციაც განუზრახავთ. შედეგად ეს შვეულმფრენები ვერსია AH-1Z Viper-ად გარდაიქმნება, რომლის საბრძოლო მიზნით გამოყენებაზე ნებართვა რამდენიმე კვირის წინ გაიცა. საზღვაო ქვეითთა გეგმაში ასევე 58 ახალი AH-1Z-ის შეძენაც შედის.

ამასთან, აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ საზღვაო ქვეითთათვის 160 შვეულმფრენი UH-1N Huey შეუკვეთა, რომლებიც განახლების შემდეგ ვერსია UH-1Y Venom-ად გარდაიქმნება. ამ შვეულმფრენმა საბრძოლო ნათლობა 2009 წლის დასაწყისში, ავღანეთში მიიღო.

შვეულმფრენ AH-1Z-ების მოდერნიზაცია და ამერიკელ სამხედროებისთვის გადაცემა სავარაუდოდ, 2019 წლისთვის დასრულდება.



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ამერიკელთა უსწრაფესი რაკეტა

აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალებში ჰიპერბგერით ფრთოსან რაკეტაზე მუშაობენ, რომლის სიჩქარე ბგერისას ხუთჯერ აღემატება (თითქმის 6000 კმ/სთ). პენტაგონის მიზანი ისეთი რაკეტის შექმნაა, რომელსაც პლანეტაზე ნებისმიერი სამიზნის განადგურება გაშვებიდან მაქსიმუმ ორ საათში შეეძლება.

„ძრავას ტექნოლოგიაში ეს ნახტომი შეიძლება ომის შემდგომი პროპელერიანი ავიაციიდან რეაქტიულ თვითმფრინავებზე გადასვლას შევადაროთ", — განაცხადა ამაჟად პროექტის ხელმძღვანელმა ჩარლი ბრინკმა.

ფრთოსანი რაკეტა X-51A Waverider ამერიკული ექსპერიმენტული სარაკეტო პროგრამის ნაწილია. ცოტა ხნის წინ მისი პირველი წარმატებული საცდელი გამოცდა კალიფორნიის სანაპიროს სიახლოვეს, ოკეანის თავზე განხორციელდა. უპილოტო აპარატი, რომელიც ბომბდამშენ B-52 Stratofortress-ის ფრთებქვეშიდან გაუშვეს, მყარსაწვავიანი სარაკეტო ძრავის მეშვეობით 4,8 მახის სიჩქარით გაფრინდა. ამის შემდეგ ფრენის პროცესში ჰიპერბგერითი საჰაერო-რეაქტიული ძრავა (სკრამჯეტი) ჩაერთო, რომლის მეშვეობით რაკეტის სიჩქარემ 5 მახს მიაღწია.

Waverider-ის ძრავაში რეაქტიული ძრავების JP-7-ის საწვავი გამოიყენება, ამრიგად, ამ საჰაერო-რეაქტიული ძრავას 200-წამიანი მუშაობა მსოფლიოში თხევადი ნახშირწყალბადის საწვავზე მომუშავე სკრამ-ჯეტის პირველ რეალურ გამოცდად შეიძლება ჩაითვალოს.

# პენტაგონი სნაიპერებს მართვადი ტყვიებით მოამარაგებს

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს პერსპექტიული კვლევების სამმართველომ (DARPA) სნაიპერული შაშხანებისთვის მართვადი ტყვიების შექმნაზე მუშაობა დაიწყო. პროექტს EXACTO (EXtreme ACcuracy Tasked Ordnance) ჰქვია და მისი მიზანი ისეთი ტყვიის შექმნაა, რომელიც სნაიპერს ცვალებადი მიმართულების ქარის ან გასროლიდან გასროლამდე ტყვიის საწყისი სიჩქარის განსხვავების დროს მიზანში ზუსტად მორტყმის საშუალებას მისცემს.

კვლევებზე კომპანია Teledyne Technologies-ი მუშაობს, რომელმაც საამისოდ 25-მილიონიანი კონტრაქტი მიიღო. ახალი ტყვია .50 დიუმი (12,7 მმ) კალიბრის იქნება. პროგრამა ორ ეტაპადაა დაყოფილი. პირველი ეტაპი, რომელიც მიზნად სპეციალისტების მიერ მართვადი ტყვიის კომპიუტერული მოდელირების შექმნას ისახავდა, უკვე წარმატებით განხორციელდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ასეთი ტყვიის შექმნა რეალურად შესაძლებელია.

მეორე ეტაპით მართვადი ტყვიის რამდენიმე ვარიანტის გაკეთება და მათი გამოცდაა გათვალისწინებული. ახალ ტყვიას, რომლის სიჩქარე ჩვეულებრივზე მაღალი იქნება, გარკვეულწილად, ფრენის ტრაექტორიის კორექტირებაც შეეძლება. DARPA-ს ცნობით, სნაიპერები მას სწრაფად მოძრავი ობიექტების დაზიანებისთვის წარმატებით გამოიყენებენ.

თუ როგორ მოხდება ტყვიის ფრენის კორექტირება, საიდუმლოა. ცნობილია მხოლოდ ის, რომ სნაიპერული იარაღისთვის



ახალი საბრძოლო საშუალების შექმნასთან ერთად შესაბამისი ოპტიკური სამიზნის დამზადებაც იგეგმება,

DARPA-ში იმედოვნებენ, რომ მომავალში EXACTO-ს ტექნოლოგიებს მსხვილი კალიბრის საბრძოლო საშუალებებშიც დანერგავენ და მას ფლოტი, არმია და სამხედრო-საჰაერო ძალები წარმატებით მოიხმარენ.

# რუსეთის არმიაში მონოეთნიკური დივიზიები იქმნება

რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში გაცხარებით ბჭობენ ექსპერიმენტზე, რომელიც ზოგიერთ სამხედრო ნაწილში მონოეთნიკური და მონოკონფესიური ქვედანაყოფების შექმნას ითვალისწინებს.

რუსეთის გენშტაბის წარმომადგენლის ცნობით, მსგავსი შენაერთების ჩამოყალიბება ნაციონალურ ნიადაგზე წარმოშობილ დედოვშჩინასთან ბრძოლის მიზანს ემსახურება და ექსპერიმენტულ დივიზიებში მხოლოდ ერთი ეროვნების ან ერთი მრწამსის სამხედრო მოსამსახურეები გაერთიანდებიან.

რუს სამხედრო იდეოლოგებს ამ ექსპერიმენტის ჩატარება, ბოლო დროს რუსულ ჯარში რელიგიურ და ნაციონალურ ნიადაგზე გაჩენილი კონფლიქტების მოჭარბებამ აფიქრებინა. განსაკუთრებული რეზონანსი 2009 წლის აგვისტოში, ბალტიის ფლოტში მომხდარ ამბავს მოჰყვა, როდესაც დაღესტნელმა ჯარისკაცებმა თანამოსამსახურეების სხეულებით სიტყვა KAVKAZ გამოსახეს. დაღესტნელი სამხედრო მოსამსახურეები ყურადღების ცენტრში წელსაც მოექცნენ, რომლებმაც რუს ჯარისკაცებთან მასობრივი „დაკა-დაკა" გამართეს.

როგორც რუსული გაზეთები იუწყებოდნენ, არმიაში ჩხუბის მიზეზი სწორედ ეროვნულ ნიადაგზე გაჩენილი კონფლიქტი გახდა. შედეგად, პერმის ავიაბაზაზე ასამდე ჩრდილოკავკასიელმა ჯარისკაცმა ოფიცრებს დაუმორჩილებლობა გამოუცხადა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# Angel H1 – ელექტრომობილი და ელექტროსადგური ბორბლებზე



ამერიკული ავტომობილი „ჰამერი“, დიდი რაოდენობით საწვავის საჭიროებისა და დაბალი ეკოლოგიური სისუფთავის გამო არაერთგზის გამხდარა კრიტიკის ობიექტი, თუმცა, სიმართლე რომ ვთქვათ, ამ თვისებების გამო იმ ავტომობილის დაწუნება, რომელიც ძირითადად არმიისთვისაა განკუთვნილი, არცთუ გამართლებულია.

მიუხედავად ამისა, ცოტა ხნის წინ კომპანია Nation-E „ჰამერის“ „გაკეთილშობილების“ საქმეს შეუდგა და მოდელ H1-ის მოდერნიზებული — ეკოლოგიურად სუფთა ვარიანტის შექმნაზე ცნობა გაავრცელა. როგორც ირკვევა, ავტომობილში ბენზინის ძრავას ნაცვლად ელექტროძრავა და 60 კვტ/სთ სიმძლავრის აკუმულატორებია განთავსებული, რომლებიც არა მხოლოდ ავტომობილს კვებავენ, საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა ობიექტისთვის ელექტროენერგიის წყაროდაც გამოდგებიან.

ეს ელექტრომობილი-ყველგანმავალი, რომელსაც სახელად Angel H1 შეურჩიეს, სტიქიური უბედურების, ავარიებისა და ა.შ, ზონებში გამოყენებისთვისაა გამიზნული. მოდერნიზებულ „ჰამერს“ უგზოობა არ აბრკოლებს და ყველაზე ძნელად მისადგომ ადგილებში განთავსებულ საველე ჰოსპიტლების, სამეთაურო ცენტრების, კარვების ბანაკებისა და სხვა სამაშველო ობიექტების ელექტროენერგიით უზრუნველყოფა შეუძლია. მისი აკუმულატორების ელექტროენერგიის მარაგი თანამგზავრული კავშირის საკომუნიკაციო სისტემებსა და სხვადასხვა რადიოტექნიკურ აპარატურას გარკვეული დროით უპრობლემოდ გასწვდება.

ელექტრომობილ Angel H1-ის სავარაუდო ღირებულება და ტექნიკური მახასიათებლები ჯერჯერობით უცნობი რჩება. „ანგელოზი ჰამერის“ პირველი ნიმუშის წარმოდგენა ამ წლის ბოლოს მიუნხენში გასამართ გამოფენა eCarTec-ზე იგეგმება და მის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციაც ამის შემდეგ გავრცელდება.

# ჯანსაღი კვება ჯარისკაცებს გასუქებისგან დაიცავს

ზედმეტი წონის პრობლემა, რომელიც 21-ე საუკუნის კაცობრიობის თავსატეხი გამხდარა, ამერიკულ ჯარშიც აწუხებთ. სიტუაციას ისიც ართულებს, რომ ჯარისკაცს დიეტის დაცვას ვერ მოთხოვ — მას დიდი ფიზიკური დატვირთვის გადატანა უწევს, რაც გაძლიერებულ კვებას მოითხოვს. არადა, თანამედროვე ამერიკელი, 17-იდან 24 წლამდე მამაკაცების 27%-ის წონა იმ ზღვარს აღემატება, რომელიც სამხედრო სამსახურში მიღებისთვისაა დადგენილი.

ინიციატივა Soldier Athlete-ის ფარგლებში ჩატარებული ხანგრძლივი კვლევების შედეგად, სადაც დიეტოლოგები, ეკონომისტები და სერჟანტები მონაწილეობდნენ, ამერიკელმა სამხედროებმა შეიმუშავეს მენიუ, რომელიც ჯარისკაცს ოპტიმალური ფიზიკური ფორმის შენარჩუნებაში დაეხმარება და ზედმეტი წონის პრობლემას გადაუჭრის. ახალი მენიუ თავდაპირველად ამერიკის არმიის საწვრთნელი ბანაკების ბუფეტებში გამოჩნდება.

დიეტოლოგთა რჩევების გათვალისწინებით, ჯარისკაცთა მენიუში შემწვარ წიწილსა და კარტოფილს მოხარშული შეცვლის, ხოლო მაკარონი და პური მათთვის მხოლოდ უმაღლესი ხარისხის თეთრი ფქვილისგან აღარ დამზადდება. სამხედროებს გაზიან გამაგრილებელ სასმელებს — რძით, ხოლო ტორტებსა და ნამცხვრებს უცხიმო გაყინული იოგურტით შეუცვლიან. ჯარისკაცთა სასადილოებში მნიშვნელოვნად მოიკლებს ცხიმიანი პროდუქტების ჩამონათვალი და შემცირდება ასეთი კერძების ულუფაც. სამაგიეროდ, რაციონში დანაკლისის შევსება ახალი ხილითა და ბოსტნეულით მოხდება.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# გათავისუფლებული პერევი არ ნიშნავს დეოკუპაციის დაწყებას



საჩხერის რაიონის სოფელი პერევი, ბოლოს და ბოლოს, რუსული ოკუპაციის დაწყებიდან 26 თვის შემდეგ, დატოვეს რუსმა სამხედროებმა.

ეს ყველაზე კარგი უპირველესად მოსახლეობისთვისაა — აღარ მოუწევთ ყოველდღე სოფლიდან გასვლა-შესვლისას საზღვარგარეთული პასპორტების წარდგენა რუსი ოკუპანტებისთვის.

მაგრამ სოფელ პერევის დეოკუპაცია სულაც არ ნიშნავს ამ პროცესის დაწყებას მთლიანად ოკუპირებული ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში.

წესით, პერევიდან რუსი სამხედროები ჯერ კიდევ 2008 წლის სექტემბერში უნდა გასულიყვნენ, როდესაც დატოვეს დროებით ოკუპირებული გორი და სენაკი. თუმცა მაშინ ეს არ მოხდა. მიუხედავად იმისა, რომ თვად საბჭოურ რუკებზეც სოფელი პერევი საჩხერის რაიონს ეკუთვნოდა და არა „სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს".

მაშინ რუსეთის გენერალიტეტი ამას ასე ხსნიდა: ქართულმა შერეულმა სამხედრო-პოლიციურმა დაჯგუფებამ 2008 წლის 8 აგვისტოს სწორედ პერევის გავლით სცადა იერიშის მიტანა ჯავის რაიონზე, ეს შეიძლება კიდევ განმეორდეს და ამიტომაც ვაკონტროლებთ პერევსო.

წმინდა სამხედრო არგუმენტების გარდა, კრემლს პოლიტიკური მიზნებიც ჰქონდა, რაც საერთაშორისო პოლიტიკური ვაჭრობის საგნად გადაიქცა დროთა განმავლობაში.

საქმე ის არის, რომ ჟენევის მოლაპარაკებებზე ძირითადი ყურადღება სწორედ პერევის საკითხზე კეთდებოდა და გარკვეულწილად ჩრდილში ექცეოდა ბევრად უფრო საჭირბოროტო საკითხები, მათ შორის რუსეთის საოკუპაციო ჯარებისა და რუსი მესაზღვრეების მიერ ნელ-ნელა ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ადმინისტრაციული საზღვრების სახელმწიფოთა შორის საზღვრებად გადაკეთების პროცესი.

რუსეთის გენერალიტეტი დიდი ხანია მიხვდა, რომ პერევის მხრიდან არავინ აპირებს შეტევას ჯავაზე, მაგრამ კრემლის პოლიტიკური ინტერესები კიდევ ინარჩუნებდა რუსულ საოკუპაციო პოსტებს ამ ქართულ სოფელში.

ჯერჯერობით ძნელია იმის მტკიცება, თუ რაზე გაცვალა რუსეთმა პერევის დეოკუპაცია. შეიძლება ეს იყოს მისი გაწევრება მსოფლიოს სავაჭრო ორგანიზაციაში, რასაც აქამდე ქართული მხარე ბლოკავდა.

მოსკოვმა პერევის დეოკუპაციით სცადა პოლიტიკური დივიდენდების მოპოვებაც საერთაშორისო ასპარეზზე და ეს ნაბიჯი თავისი კეთილი განწყობით ახსნა. რუსმა დიპლომატებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ პერევის დეოკუპაციის შემდეგ რუსეთი შესრულებულად მიიჩნევს მედვედევ-სარკოზის 12 აგვისტოს 6-პუნქტიან ხელშეკრულებას. მოსკოვის პოზიცია, რათქმა უნდა, მიუღებელი უნდა იყოს თბილისისთვის, თუმც ზემოხსენებული ხელშეკრულების ერთ-ერთმა ხელმომწერმა, საფრანგეთის პრეზიდენტმა სარკოზიმ პერევის დეოკუპაციის შემდეგ თბილისს ურჩია, ხელი მოეწერა ცეცხლის განუახლებლობის ხელშეკრულებაზე, რასაც წლების განმავლობაში ჩვენგან ასე დაჟინებით ითხოვენ კრემლი, სეპარატისტული სოხუმი და ცხინვალი.

სამწუხაროდ, პერევის დეოკუპაცია არ ნიშნავს რუსული სამხედრო დანაყოფების ქართული მიწიდან გასვლის დაწყებას. პირიქით, რუსულმა საოკუპაციო ჯარებმა და მესაზღვრეებმა საბოლოოდ მონიშნეს ის საზღვრები, რომლებზეც განთავსდებიან და დაიცავენ სეპარატისტული სოხუმისა თუ ცხინვალის „დამოუკიდებლობას".

ფაქტობრივად, მოსკოვმა რუსეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ფსოუდან ენგურის გაყოლებაზე, ხოლო როკის გვირაბიდან ახალგორამდე ჩამოგვიჩოჩა, რაც ძალზე მწარე რეალობაა და ჯერჯერობით არც ჩანს პერსპექტივა იმისა, რომ პერევის შემდეგ რუსი ოკუპანტები დაპყრობილ სხვა ქართულ მიწებსაც დატოვებენ.



*ირაკლი ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# NATO-ს კვირეული საქართველოში



მარჯვნიდან მარცხნივ: NATO-ს საინფორმაციო ცენტრის დირექტორი თენგიზ გოგოტიშვილი და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ელენე ხოშტარია



შეხვედრა პოლიტოლოგებთან და ექსპერტებთან

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და NATO-ს შესახებ საინფორმაციო ცენტრის ორგანიზებით 18-დან 23 ოქტომბრამდე საქართველოში NATO-ს კვირეული ჩატარდა.

კვირეულში მონაწილეობისათვის საქართველოში ჩამოვიდნენ: NATO-ში აშშ-ის მუდმივი წარმომადგენლის მოადგილე ჯონ ჰეფერმანი, ლიტვის მუდმივი წარმომადგენელი ლინას ლინკევიჩიუსი, ლატვიის მუდმივი წარმომადგენელი იანის აიზმანისი, ესტონეთის მუდმივი წარმომადგენელი იური ლიუკი, ალიანსის საჯარო დიპლომატიის განყოფილების წარმომადგენელი დესპინა აფენტული, ორგანიზაციის თანამშრომლობისა და რეგიონული უსაფრთხოების სამმართველოს უფროსი გენერალი კარლოს ბრანკო და სხვ.

NATO-ს ქვეყნების წარმომადგენლებმა შეხვედრები გამართეს თბილისის, ქუთაისის, მცხეთისა და სიღნაღის საზოგადოების წარმომადგენლებთან, არასამთავრობო სექტორთან, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან, მოსწავლეებსა და ექსპერტებთან.

შეხვედრებზე სტუმრებმა ილაპარაკეს ლისაბონის მომავალი სამიტის მზადების შესახებ, ალიანსის ახალ სტრატეგიულ კონცეფციაზე, NATO-საქართველოს თანამშრომლობაზე, ალიანსის მნიშვნელობასა და მიზნებზე, ორგანიზაციის შექმნის ისტორიასა და ყველა იმ საკითხზე, რომელიც ქართველი საზოგადოებისათვის საინტერესო იყო.

გაეროში საქართველოს ყოფილი ელჩის რეზო ადამიას თქმით, შეხვედრებზე ლისაბონის მომავალი სამიტის წინ საქართველოს საკითხზე NATO-ში ზოგიერთი ქვეყნის პოზიცია გაირკვა. თავის მხრივ, ალიანსის წარმომადგენლებმა კარგად დაინახეს ქართული მხარის დამოკიდებულება და განწყობა.

NATO-ს შესახებ საინფორმაციო ცენტრის დირექტორის თენგიზ გოგოტიშვილის განცხადებით, კვირეულის დღეებში სხვადასხვა რეგიონში ინტელექტით, პროფესიით თუ სოციალური მდგომარეობით განსხვავებულმა ადამიანებმა გაიგეს, თუ რას აკეთებს საქართველო NATO-სთვის.

1999 წლის შემდეგ NATO-მ თავის რიგებში ყოფილი სოციალისტური და პოსტსაბჭოთა სივრცის 12 ახალი სახელმწიფო მიიღო. ამ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება და გამოყენება მნიშვნელოვანწილად დააჩქარებს საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ კავშირში მიღების პროცესს.

მაკა ქობალია



NATO-ს კვირეულის დღეებში ბავშვებიც მონაწილეობენ

# კვალიფიციური რჩევები

„არსენალი“ აგრძელებს რუბრიკას, რომელშიც კვალიფიციურ პასუხს გავცემთ ყველა დაინტერესებულ პირს მათთვის საინტერესო საკითხებზე. კითხვებზე უპასუხებს ასოციაცია „სამართალი და თავისუფლება“, რომელიც უფასო იურიდიულ მომსახურებას სთავაზობს წვევამდელებსა და სამხედრო მოსამსახურეებს. საკონტაქტო ტელეფონი: 95-89-80

**1. სავალდებულოა თუ არა სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა?**

— სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა სავალდებულოა ყველა მამაკაცისთვის 27-დან 40 წლის ჩათვლით, ასევე აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისთვის ერთჯერადად.

**2. შემიძლია თუ არა ვისარგებლო სარეზერვო სამსახურის გავლისას მობილური ტელეფონით?**

— რეზერვისტს უფლება აქვს იქონიოს მობილური ტელეფონი, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს სამხედრო მომზადებისაგან თავისუფალ დროს.

**3. ვარ სტუდენტი და გავლილი მაქვს სამხედრო სავალდებულო სამსახური. მეკუთვნის თუ არა სარეზერვო სამსახურში გაწვევა?**

— სტუდენტი, რომელსაც გავლილი აქვს სამხედრო სავალდებულო სამსახური ან სამხედრო კათედრა და აქვს სამხედრო ბილეთი, მაინც ექვემდებარება ერთჯერადად სარეზერვო სამხედრო სამსახურის გავლას.

**4. წელიწადში რამდენჯერ ხდება სტუდენტების სარეზერვო სამსახურში გაწვევა?**

— გაწვევის კონკრეტული ვადები არ არის განსაზღვრული. სტუდენტების გაწვევა ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში სასესიო პერიოდის გარდა.

**5. რა ვადით უნდა ვიმსახურო სამხედრო სარეზერვო სამსახურში?**

— რეზერვში გაწვეული პირი სამხედრო სარეზერვო სამსახურს გაივლის წელიწადში არა უმეტეს 45 დღის ვადით.

**6. ჩემი შვილი სწავლობს გერმანიაში. მის სახელზე მოვიდა უწყება სამხედრო სარეზერვო სამსახურში გაწვევის შესახებ. როგორ უნდა მოვიქცე?**

— საზღვარგარეთ სამუშაოდ ან სასწავლებლად მყოფი პირები თავისუფლდებიან სამხედრო სარეზერვო სამსახურისგან. სამობილიზაციო განყოფილებაში უნდა წარადგინოთ აღნიშნული ფაქტის დამადასტურებელი ცნობა.

**7. მყავს მცირეწლოვანი შვილი. შესაძლებელია თუ არა სარეზერვო სამსახურის გადავადება?**

— მცირეწლოვანი შვილის ყოლა არ წარმოადგენს სარეზერვო სამსახურის გადავადების პირობას.

**8. არ გამოვცხადდი სარეზერვო სამსახურის მოსახდელად უწყებაში მითითებულ დროს. რა სახის პასუხისმგებლობა დამეკისრება?**

— თუ სამობილიზაციო განყოფილებაში გამოუცხადებლობა გამოწვეული იყო საპატიო მიზეზით (ახლო ნათესავის გარდაცვალება, ავადმყოფობა, სტიქიური უბედურება ან სხვა სახის დაუძლეველი გარემოებები), პასუხისმგებლობა არ დაგეკისრებათ, ხოლო თუ გამოუცხადებლობის მიზეზს წარმოადგენდა სარეზერვო სამსახურისთვის თავის არიდება, აღნიშნული ითვალისწინებს ჯარიმას 500 ლარის ოდენობით.

**9. ვინ გადამიხდის ხელფასს სარეზერვო სამსახურის გავლისას?**

— რეზერვში ყოფნისას თქვენ შენარჩუნდებათ სამუშაო ადგილი და ხელფასი, რომლის გადახდას უზრუნველყოფს სამუშაო ადგილის ადმინისტრაცია.

**10. შეუძლია თუ არა ქალს გაიაროს სარეზერვო სამხედრო სამსახური?**

— ქალი თავისუფლდება სარეზერვო სამხედრო სამსახურისგან, მაგრამ სურვილის შემთხვევაში შეუძლია ნებაყოფლობით იმსახუროს.

**11. ვსწავლობ ინსტიტუტში, რომელმაც ვერ გაიარა აკრედიტაცია. მეკუთვნის თუ არა სარეზერვო სამსახურის გავლა?**

— არააკრედიტირებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს არ ეკუთვნით სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა.

**12. ვარ მეოთხე კურსის სტუდენტი. გავიარე სარეზერვო სამსახური ერთჯერადად. შემიძლია თუ არა უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ დამატებით ვიმსახურო ორჯერ, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური მოხდილად ჩამეთვალოს?**

— სავალდებულო სამხედრო სამსახური მოხდილად ჩაეთვლება სტუდენტს, რომელიც სწავლის პერიოდში სავალდებულო სარეზერვო სამსახურის გარდა დამატებით ორჯერ გაივლის სარეზერვო სამსახურს. ასევე, თუ სარეზერვო სამსახურის დამატებით ორი ვადით გავლა ემთხვევა სასწავლებლის დამთავრებას, სტუდენტი საკუთარი სურვილით შეიძლება გაიწვიონ სარეზერვო სამსახურში 27 წლის ასაკის მიღწევამდე და ამ შემთხვევაშიც სამხედრო ვალდებულება მოხდილად ჩაეთვლება.




„მსოფლიო დეტექტივების სერია"
ყოველ ორშაბათს! ჟურნალ „რეიტინგთან" ერთად
თითო კრიმინალური საქმე!
ცნობილი ავტორები, კლასიკა და ბესტსელერები
სირილ ჰეირი
ფრიდრიხ დიურენმატი
ჟორჟ სიმენონი
ბუალო – ნარსეჟაკი
ეჯი ედიგეი
ფრედ ვარგასი
ფასი 2 ლარი!
(ჟურნალთან ერთად 3 ლარი)
უკვე გამოსული წიგნები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!

ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიური მოვლენების



აზერბაიჯანის არმიის T-72

## აზერბაიჯანი

● ყარაბაღის ფრონტის ჩრდილო ნაწილში 12 ოქტომბერს აზერბაიჯანის არმიის 22 წლის ჯარისკაცი სადიღ ასადლოვი გაიყინა და გარდაიცვალა.

● აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აკადემიკოს რამიზ მეჰთიევის ინფორმაციით, გასულ 6 თვეში აზერბაიჯანზე კიბერშეტევების 30% ჩინეთიდან, 25% — სომხეთიდან, 15% — აშშ-დან, 10% რუსეთიდან და 20% სხვა ქვეყნებიდან დაფიქსირდა.

● აზერბაიჯანში ვიზიტით მყოფმა ირანის თავდაცვის მინისტრმა აჰმედ ვაჰიდმა 12 ოქტომბერს განაცხადა, რომ ირანმა მაჰმადიანურ ქვეყნებს სამხედრო დახმარება არაერთგზის შესთავაზა. მინისტრის განმარტებით, თუ აზერბაიჯანი დახმარების მიღებას მოისურვებს, თეირანი ამისათვის მზად არის.

● „ირანი აზერბაიჯანსა და კასპიისპირა სხვა ქვეყნებთან ერთობლივ სამხედრო სწავლებათა ჩატარებისთვის მზად არის“, — განაცხადა ბაქოში ვიზიტით ჩასულმა ირანის თავდაცვის მინისტრმა აჰმედ ვაჰიდმა.

● თურქული კომპანია MKEK-ი აზერბაიჯანთან მოლაპარაკებას აწარმოებს ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალების ერთობლივ წარმოებაზე. თავდაცვითი მრეწველობის სამინისტროსთან მიღწეული შეთანხმებით განზრახულია აზერბაიჯანელი სპეციალისტების მიერ შექმნილი სნაიპერული შაშხანა IST-12,7-ის, თურქული სნაიპერული შაშხანა Bora-12-ის, პისტოლეტ-ტყვიამფრქვევისა და დოლური ყუმბარსატყორცნების წარმოება.

● თავდაცვის სამინისტრო და ისრაელის ფირმა Elbit Systems-ი T-72 ტიპის მოდერნიზაციაზე შეთანხმდნენ. არჩევანი ტენდერის საფუძველზე გაკეთდა, სადაც ისრაელის ფირმასთან ერთად თურქული Aselsan-ი მონაწილეობდა. ორივემ ტენდერზე T-72 ცეცხლის მართვის ახალი სისტემითა და ჯავშნით წარადგინა. უცნობია, რა მოცულობისა და ხასიათის სამუშაო უნდა გასწიოს ისრაელის „ელბიტმა“. ჯერ კიდევ 2009 წლის სექტემბერში თავდაცვის სამინისტროსა და თურქეთისა და ისრაელის ფირმებთან მოლაპარაკება მიმდინარეობდა შეიარაღებიდან მოხსნილი T-54/T-55 ტიპის ტანკების ხიდგამდებად და სატვირთო საშუალებად გადაკეთების თაობაზე. 2009 წლის მონაცემებით, აზერბაიჯანის არმიის განკარგულებაში იყო: T-72 - 182 (62 რუსეთიდან 2009 წელს მიიღო), T-62/T-64 – დაახლოებით 100, T-54/T-55 დაახლოებით 100 და T-80У — 15 ერთეული.

● გასული წლის მარტ-დეკემბერში აზერბაიჯანმა რუსეთისაგან ცხრა 203 მმ-იანი თვითმავალი ქვემეხი 2С7 Пион-ი მიიღო. 2008 წელს რუსეთმა სამი „პიონი“ მიაწოდა.

● 29 ოქტომბერს დაიწყება ვინმე არიფ აბიდოვის სასამართლო პროცესი. მას ჩრდილო კავკასიაში, კერძოდ, ინგუშეთში რუს სამხედრო მოსამსახურეებზე თავდასხმასა და პაკისტანის ტერიტორიაზე ერთ-ერთი უკანონო შეიარაღებული ფორმირების წევრობაში ადანაშაულებენ. აბიდოვი კიკბოქსინგში მსოფლიო ჩემპიონი იყო და რამდენიმე წლის წინ ვაჰაბიტური ორგანიზაციის წევრი გახდა.

● სექტემბერში ANAMA-მ ქვეყნის ტერიტორიის 2 643 978 კვმ ნაღმებისა და აუფეთქებელი საბრძოლო საშუალებებისაგან გაასუფთავა. ნაპოვნია 2207 აუფეთქებელი ჭურვი, 18 ტანკ და 5 ქვეითსაწინაალმდეგო ნაღმი. ANAMA-ს სპეციალისტებმა უკვე გაასუფთავეს აზერბაიჯანის ტერიტორიის 143 900 245 კვმ და 627 407 აუფეთქებელი საბრძოლო საშუალება გააუვნებლეს.

## სომხეთი

● 12 ოქტომბერს სომხეთის არმიის მოტომსროლელი ქვედანაყოფი და ოპერატიული ჯგუფი 106 კაცის შემადგენლობით რუსეთის ქალაქ ჩელიაბინსკში გაფრინდა, სადაც 25-28 ოქტომბერს ჩებარკუ-



ყოველწლიურად ყარაბაღში სნაიპერთა ხელით ათეულობით ადამიანი იღუპება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიმოხილვა...



ჩრდილო კავკასიაში სპეცოპერაციები ძალადობის ალკვეთას არ შველის

ლის პოლიგონზე ოპერატიული რეაგირების კოლექტიური ძალების შემადგენლობაში სწავლება „ურთიერთმოქმედება-2010“-ში მიიღებენ მონაწილეობას.

● სომხეთის 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით ქვეყნის თავდაცვაზე 139 მილიარდ 100 მილიონი დრამი, ანუ 395 მილიონ 800 ათასი დოლარია გამოყოფილი, საიდანაც სამხედრო ხარჯები 134 მილიარდ 600 მილიონი დრამი, ანუ 373 მილიონ 300 ათასი დოლარია. თავდაცვის სამინისტროს ხარჯები 4 მილიარდ 500 ათასი მილიონი დრამით, ანუ 12 მილიონ 500 ათასი დოლარით გაიზარდა.

● აზერბაიჯანელი სნაიპერების გასანეიტრალებლად სომხეთი სამხედრო-დიპლომატიურ თუ სამხედრო ხასიათის მოქმედებათა გატარებას აპირებს. ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც ყარაბაღში აზერბაიჯან-სომხეთის შეხების ხაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ მონაკვეთზე 14 ოქტომბერს ყარაბაღის არმიის 22 წლის ჯარისკაცი ვიტალი იგატიანი თავში გამჭოლი ჭრილობისაგან გარდაიცვალა.

## ჩრდილო კავკასია

● როგორც 18 ოქტომბერს მახაჩყალაში რუსეთის შინაგან საქმეთა მინისტრმა რაშიდ ნურგალიევმა განაცხადა, დაღესტანში მდგომარეობა სტაბილურია და „იატაკქვეშ მოქმედმა ბანდიტებმა დიდი დანაკარგი განიცადეს“. მინისტრის მიერ მოყვანილი სტატისტიკის მიხედვით, 2010 წლის ცხრა თვეში დაღესტნელ მილიციელებს 174-ჯერ დაესხნენ თავს (2009 წლის იმავე პერიოდისათვის 159 იყო, დაიღუპა 89 მილიციელი, 171 — დაიჭრა, 93-მა კი შრომის უნარი დაკარგა.

● ეროვნული ანტიტერორისტული ცენტრის ინფორმაციით, 2010 წელს ჩრდილო კავკასიაში 301 ბოევიკი გაანადგურეს, 468 კი დააკავეს. ამ ხნის განმავლობაში 50 კონტრტერორისტული და 4500 ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ჩატარდა.

● ჩრდილო კავკასიის ფედერალურ ოლქში რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოს უფროსი, მილიციის გენერალ-ლეიტენანტი სერგეი ჩენჩიკი ტერორისტებისათვის სპეციალური ციხეების შექმნისა და სასჯელის ვადის გაზრდის „ნოვატორული“ წინადადებით გამოვიდა. გენერლის აზრით, ასეთ ციხეებში უნდა იხდნენ ნაციონალურ მოძრაობათა წარმომადგენლები, მაგრამ ვის გულისხმობდა, ჩენჩიკს არ დაუკონკრეტებია.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● შავი ზღვის ფლოტის სახლვაო მტრალავმა „ვალენტინ პიკულმა“ და კორვეტმა „ეისკმა“ 8 ოქტომბერს ახალი ათონის რაიონში ღამით [illegible]ტურ პირობებში აფხაზური გემი „ოტაპის“ ეკიპაჟს დახმარება აღმოუჩინეს.

● სერგეი ბაღაფშის შეფასებით, გალის რაიონში რუსეთის ჯარების შემოსვლით მართალია საზღვარზე ვითარება ძირეულად შეიცვალა, მაგრამ აფხაზეთის საზღვრები ჯერ კიდევ განსაზღვრული არ არის. „140-142 კმ საზღვრის უცბად გადაკეტვა შეუძლებელია, რადგან თვით საზღვარი მკაფიოდ განსაზღვრული არ არის. ამჟამად დამუშავების პროცესშია საზღვრის დაცვის საშუალებათა შერჩევა. არჩევანი რადიოელექტრონულ ან დაკვირვების ელემენტებიან, ზონდებსა ან ეკლიან მავთულს შორის გაკეთდება“, — განაცხადა ბაღაფშმა.

● შეიქმნა ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია „აფხაზეთის გვარდიის ვეტერანთა კავშირი“. ასეთი გადაწყვეტილება 12 ოქტომბერს აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების პოლკის ვეტერანთა კრებამ მიიღო. ორგანიზაციის თავმჯდომარედ პოლკის მეთაურის ყოფილი მოადგილე პაველ ლემჩუკი აირჩიეს.

● კომპანია „აბხაზსკოე მორსკოე პარახოდსტვოს“ გენდირექტორის მოადგილის ჯინარ კარაგ-ოღლის თქმით, სოხუმის პორტი უცხოური გემებისათვის გახსნილია. პორტში, ძირითადად, თურქული და რუსული მშრალტვირთმზიდები შედიან და ყოველდღე 18 ათასი ტონა ტვირთი გააქვთ. ღორღი-ხრეში სოჭში, ოლიმპიური ობიექტების მშენებლობაზე, ხოლო ქვანახშირი კი თურქეთში იგზავნება.

### ყარაბაღი

● ინგლისურმა არასამთავრობო ორგანიზაცია The HALO Trust-მა უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ყარაბაღში 4000 ჰა-ზე მეტი გაასუფთავა ნაღმებისა და სხვა ფეთქებადი საგნებისაგან. პროგრამის ხელმძღვანელის როლი კლარკის ინფორმაციით, გასანაღმია კიდევ 1000 ჰა. ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევა ნაღმებისა და სხვა ფეთქებადი საშუალებებისაგან გამოწვეულ უბედურ შემთხვევათა შემცირებაა.



სოხუმის პორტი დღეში 18 ათასს ტონა ტვირთს ამუშავებს?



დასანანია, როცა სიცოცხლით და მომავლის იმედით აღსავე ახალგაზრდები გვტოვებენ და ტოვებენ თავიანთ განუხორციელებელ ოცნებებს. თუმცა საამაყოა, როცა თითოეულმა მათგანმა სამშობლოსათვის დამიზნებულ ტყვიას შეუშვირა მკერდი და გმირის სახელი გაიყოლა იმქვეყნიურ ნათელ სამყაროში. თითოეული მათგანის სახელი კი ყოველი ქართველის მეხსიერებაში დარჩება.

# „ახალი აკვნები“

ცხინვალის რეგიონი საქართველოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიული ტერიტორიაა და ამავე დროს უძველესი მხარე.

საქართველოსათვის 2008 წლის აგვისტოს ომი, რუსეთის ფედერაციის მიერ პროვოცირებული კონფლიქტი, საკმაოდ მძიმე და ტრაგიკული იყო — დაიღუპა არაერთი ქართველი და ოსი ეროვნების საქართველოს მოქალაქე.

ომის ერთ-ერთი ტრაგიკული ეპიზოდი, რომელმაც საქართველო, და არა მარტო საქართველო შეძრა, სოფელ შინდისში მომხდარი შეტაკება იყო. მომხდარზე დაიწერა და გადაიღეს ფილმები. თუმცა რუსთაველის თეატრის მსახიობმა ედმონდ მინაშვილმა ამ შეტაკებაში დაღუპული მეგობრისა და უკვე ერთ-ერთი გმირის, მიხეილ დვალიშვილის საფლავზე დაიფიცა, რომ მათ სახელებს საქართველოს ისტორიის ფურცლები შეინახავს. კინოფილმ „ახალი აკვნების“ ავტორი **ედმონდ მინაშვილი** დღეს ჩვენი სტუმარია:

— სრულმეტრაჟიანი მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი ციფრული ფორმატით 80 წუთს გრძელდება. პროექტი ხორციელდება უწმინდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის ლოცვა-კურთხევით და ეს ძალიან მეამაყება. ამ ფილმის პრემიერა 9 ნოემბერს, კინოთეატრ „ამირანში“ გაიმართება.

**— ედმონდ, როდის გადაწყვიტეთ ფილმის გადაღება, რამ გიბიძგათ მსახიობს, გადაგეღოთ ფილმი?**

— აგვისტოში ვანის რაიონში ჯერ ერთი დაღუპული ჯარისკაცი, მერე მეორე, მესამე, მეოთხე ჩამოასვენეს... მეხუთე ჩემი ბავშვობის მეგობარი მიხეილ დვალიშვილი იყო. მიშიკოს ცხედარი თბილისის პროზექტურაში იყო რამდენიმე დღე და სოფელში რომ ჩამოასვენეს, იმდენად ცუდ მდგომარეობაში იყო, მეორე დღესვე დაასაფლავეს. ამ 17 გმირის ცხედარი აგვისტოს ცხელ დღეებში 4 დღე მინდორზე ეყარა.

საშინლად დამნაშავედ ვიგრძენი თავი, მე სოფელში ვისვენებდი და ჩემი ტოლი ბიჭები ომში იხოცებოდნენ. ეს იმდენად განვიცადე, რომ აღსარებაც ვუთხარი მოძღვარს. მიშიკოს დასაფლავების დღეს მის საფლავზე დავიფიცე, — მე ვიზრუნებდი, რომ მათი სახელები არასოდეს დავიწყებოდა საქართველოს.

**— რას მოგვითხრობს ფილმი?**

— 2008 წლის 11 აგვისტოს სოფელ შინდისში რუსული არმიის ჩასაფრებაში მოხვედრილი ქართველი ჯარისკაცების გმირობას. ამ შეტაკებას 17 ქართველი ჯარისკაცი შეეწირა. სწორედ მათი გმირული ბრძოლის წყალობით ქართული არმიის ბატალიონმა სამშვიდობოს გასვლა მოახერხა. უთანასწორო ბრძოლა შინდისის რკინიგზის სადგურთან გაიმართა. რუსული ქვედანაყოფი ბევრად აღემატებოდა ქართულ ბატალიონს და შეიარაღებული იყო მძიმე საბრძოლო ტექნიკით.

ალექსანდრე ონიანმა რუსებს ტყვედ რომ არ ჩავარდნოდა, თავის ნათლულთან, რომან ზოიძესთან ერთად, რომელიც უკვე მძიმედ იყო დაჭრილი, თავი აიფეთქა. ეს არის ერთ-ერთი ეპიზოდი ამ ტრაგედიიდან, რომელიც ყველაზე მეტად დამამახსოვრდა.

პროექტი „ახალი აკვნები“ დასაწყისიდანვე ხორციელდებოდა „12 გმირის“ სახელწოდებით, ვინაიდან ჩვენთვის ცნობილი იყო, რომ ამ შეტაკების დროს 12 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა. თუმცა ჩვენი გადამღები ჯგუფის შინდისში ჩასვლის შემდეგ გაირკვა, რომ ამ ბრძოლაში 17 ჯარისკაცი დაიღუპა. ამიტომაც გადავწყვიტეთ პროექტისთვის „ახალი აკვნები“ დაგვერქმია.

ამ ფილმის მიზანია, ქართველ საზოგადოებას დაანახვოს, რომ დღესაც არიან გმირები. გვინდა ქართველ ადამიანში უფრო მეტად გაიღვიძოს პატრიოტიზმის გრძნობამ და სამშობლოს სიყვარულმა, შემოვუნახოთ ისტორიას ამ გმირების და საერთოდ, ამ ომში დაღუპული ყველა ქართველი ჯარისკაცის სახელი.

**— ვინ დაგეხმარათ ფინანსურად ფილმის გადაღებაში?**

— როცა ფილმის გადაღება გადავწყვიტე, მივედი რობერტ სტურუასთან, რეზო ჩხეიძესთან, გიგა ლორთქიფანიძესა და გიორგი მარგველაშვილთან. მათთან გავიარე კონსულტაციები, მომცეს რჩევები. მათი სახელით მივდიოდი სპონსორებთან. შემდეგ ბატონმა რეზო ჩხეიძემ შემახვედრა პატრიარქს, უწმინდესმა საკურთხეველში დამლოცა და მომცა ამ პროექტის განხორციელებისათვის ლოცვა-კურთხევა. სპონსორების დახმარებით მოვაგროვეთ 7.000 ლარი და ამ თანხით დავიწყეთ გადაღება. შეიკრიბა 6-კაციანი გადამღები ჯგუფი და დაღუპულთა ოჯახები მოვინახულეთ.

ჩემთვის ყველაზე ძნელი იყო თითოეული ჯარისკაცის ოჯახში შესვლა, მათ მშობლებთან საუბარი და შვილების დაღუპვით გამოწვეული ტკივილის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფილმზე მუშაობის ეპიზოდი

თავიდან გახსენება. თითოეულ ოჯახში მისვლის დროს ვფიქრობდი, როგორ შევ-სულიყავი, რა მეთქვა, როგორ დამეწყო საუბარი. საოცრად ამაღელვებელი იყო ის მომენტი, როცა თითოეული ჯარისკაცის დედამ საკუთარი შვილივით ჩამიხუტა გულში. ჩვიდმეტივე გმირის საფლავზე მივედი და ყველა მათგანის საფლავზე ავანთე სანთელი. მე ეს მეამაყება.

**— როცა ამ 17 გმირის ისტორია მო-ისმინეთ, რა გრძნობა დაგიტოვათ?**

— გაოცებულმა გავიფიქრე, რა საოცრად ჰგავს-მეთქი ჩვიდმეტივე ერთ-მანეთს. ყველას ერთნაირი მისწრაფებები, მიზნები და ოცნებები ჰქონდა. ეს საოცარ-ია.

ამ გმირებიდან ჩემი მეგობარი მხოლოდ მიხეილ დვალიშვილი იყო, მაგრამ დღეს მგონია, ყველა მათგანი ჩემი მეგობარია. მე ისინი ფილმის გადაღებისას ძალიან ახლოს გავიცანი.

**— როგორც ვიცი, ფილმი არ არის ერთადერთი პროექტი, რომელსაც ახორციელებთ?**

— ახლა ვმუშაობთ წიგნზე „გულიდან მომ-დინარე სისხლის წვეთები“, სადაც მოთხრობილი იქნება 17-ივე გმირის ბიოგრაფია და კიდევ ბევრი რამ. შინდისში ნოემბერში საძირკველი ჩაე-ყრება ეკლესიის მშენებლობას. პა-ტრიარქის სურვილით ეკლესია იქნება წმინდა დიდმოწამე გიორგის სახელობისა და ეძღვნება ქართველთა და ოსთა ბრძოლის ველზე მ[illegible] ოვნას.

P.S. დაღუპული ჯარისკაცების გამოს-ვენება ერთი კვირის შემდეგ მოახერხა უწ-მინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ, ხოლო მინდორზე, რომელიც ქართველი ჯარისკაცების ოფლითა და სისხლით გაიჟღინთა, ბალახი დღესაც არ ამოსულა.

*მაკა ქობალია*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# 1992-93 წლების ომის ფინალი



გვარდიელი ტანკისტების ნაალაფარი აფხაზური ტანკი

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N19-21**

ახალდაბაზე 23 სექტემბრის უშედეგო შეტევა დაახლოებით ასამდე დაღუპულ-დაჭრილი მებრძოლის ფასად დაჯდა.

მოუმზადებელ ოპერაციაში, სადაც ჯარების ერთმმართველობა თუ ცალკეულ ქვედანაყოფთა მართვა მოშლილი იყო, კავშირის საშუალებები ცუდად მუშაობდა. ხშირად ერთადერთი ულუფა უმარილო მაკარონი იყო — გათვლა მხოლოდ ჯარისკაცების თავდადებასა და ვაჟკაცობაზე კეთდებოდა.

მტრის დამარცხებას ისევ ხელს უშლიდა ხელისუფლების სათავეში დაბრუნებისათვის მებრძოლ ზვიად გამსახურდიას ფაქტორი, რომლის გამოც შეიარაღებულ ფორმირებათა ერთი ნაწილი აქტიურ მოქმედებას თავს არიდებდა.

მოწინააღმდეგე ამას ხედავდა და აქცენტს თავდაცვითი ბრძოლებით ისედაც მცირერიცხოვანი ქართული ქვედანაყოფების თანდათან გამოფიტვა-დასუსტებაზე აკეთებდა.

შესაძლებლობებში შეზღუდულმა მოწინააღმდეგემ სწორად გათვალა და ძალებს ახალდაბა-კოდორის ხიდის რაიონში მოუყარა თავი, ანუ იქით, საითაც ქართულმა სარდლობამ შეტევის მთავარი მიმართულება გამოკვეთა.

სამაგიეროდ, სუსტად დაცული დარჩა ზღვაში კოდორის ჩადინების ადგილებში მდებარე ფონები.

მდინარის ამ ფონების გამოვლით 24 სექტემბერს მაშინდელმა თავდაცვის მინისტრმა გია ყარყარაშვილმა ბლოკირებული სოხუმიდან გამოაღწია და მდინარის მარცხენა სანაპიროზე გადმოვიდა.

დაახლოებით 300-მა გამოცდილმა მებრძოლმა ჯავშანტექნიკის რამდენიმე ერთეულით მდინარე ისევ გადალახა და ბლოკირებულ ქალაქში შეაღწია, ანუ სოხუმში დამხმარე ძალების შესაყვანად ცენტრალური გზის გახსნა მაინცდამაინც აუცილებელი არ იყო.

24 ან 25 სექტემბერს ერთი შეხედვით უცნაური შემთხვევა მოხდა: ნამუადღევს ოჩამჩირის ბრიგადიდან 3 ტანკი კოდორის ხიდით სოხუმში შეღწევას შეეცადა.

243-ე ბატალიონის ტანკმა №203-მა (ეკიპაჟი: ვალოდია პეგასი, ელგუჯა ჯიქია, მესამე ტანკისტის გვარი უცნობია) წინააღმდეგობის მიუხედავად, კოდორის ხიდი მაინც გაიარა და სოხუმში შეაღწია.

მეორე შეტევა ახალდაბაზე 25 სექტემბრისათვის გადაწყდა. ცენტრალური გზით შეტევას მარტყოფის ბატალიონი, ქუთაისის სამხედრო პოლიცია და ქვედანაყოფები განავითარებდნენ.

მარჯვენა ფლანგიდან გვარდიის სატანკო პოლკის დარჩენილი ტანკების მთავარი ამოცანა პოზიციათა გარღვევა და შემოვლითი მანევრით მოწინააღმდეგის ზურგში გასვლა იყო.

მარცხენა ფლანგზე, სანაპიროს გასწვრივ, ქობალიას დაქვემდებარებაში მყოფი ლაკიას რაზმი მოქმედებდა.

**ავღანელთა კავშირის რაზმის მეთაური კაპიტანი ზურაბ ციცხალაშვილი:** „აფხაზთა მოულოდნელი შემოტევის შესახებ როგორც კი ცნობილი გახდა, ჩვენმა კავშირმა კიდევ ერთი რაზმის ჩამოყალიბება დაიწყო და მასში „ავღანელებთან“ ერთად მოხალისეებიც გაერთიანდნენ. რამდენიმე დღეში რაზმი 56 მებრძოლით დაკომპლექტდა და იარაღის მიღების შემდეგ ავტობუსებით ოჩამჩირისაკენ გავემართეთ.

23-ში დღის მეორე ნახევარში ზემო კინდღში ვიყავით. ახალდაბაზე დაწყებული შეტევა უკვე დამთავრებული იყო და გზაზე რამდენიმე დამწვარი БМП დავინახეთ.

ახალდაბაზე მეორე შეტევის დაგეგმვისას ჩვენს რაზმს მოწინააღმდეგის პოზიციებზე მარჯვენა ფლანგიდან — მთების მხრიდან შემოვლა, ახალდაბა-კოდორის ხიდს შორის გზაზე გასვლა და ზურგში დარტყმის მიყენება ჰქონდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავალებული. ქართველი მებრძოლების არაორგანიზებულობასა და გაუმართლებელ მოქმედებებს მსხვერპლი ახლდა“.

შეტევას პირველ ხაზზე 22-ე მარტყოფის მექანიზებული ბატალიონის ქვეითთა საბრძოლო მანქანების კოლონა იყო.

კოლონას БМП №703 (ეკიპაჟი: კახა თურქიშვილი და რამაზ ახალკაციშვილი) მიუძღვებოდა. შემდეგ მოდიოდა БМП №704 (ეკიპაჟი: დათო ბედიანაშვილი და ემზარ ეპიტაშვილი), БМП №702 (ეკიპაჟი: კახა ლუჭაშვილი და ჯარჯი წოწკოლაური) და ა.შ.

**22-ე მარტყოფის მექანიზებული ბატალიონის მეთაური მაიორი რამაზ ახალკაციშვილი:** „25-ში დილით გვარდიის სარდალმა ჯემალ ჭუმბურიძემ БМП-ების ეკიპაჟები შეკრიბა და თითოეულს ისე დაელაპარაკა, როგორც ეს გადამწყვეტი ბრძოლის წინ ხდება ხოლმე. ჩვენს ბატალიონს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი — ცენტრალური გზით მოწინააღმდეგის პოზიციები უნდა გაერღვია.

გზაზე მოძრავი ტექნიკა კარგი სამიზნეა და დანაკარგის შესამცირებლად БМП-ების დესანტის გარეშე მოქმედება გადაწყდა. თითოეული ჩვენგანი დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდა, ამიტომაც ბატალიონის მედესანტეებმა ეკიპაჟების მარტო გაშვება არ მოისურვეს და БМП-ებში თავიანთი ადგილები დაიკავეს“.

საწყისი პოზიციებისაკენ მიმავალ გვარდიის 5 ტანკს ლოთი ქობალიას ფორმირებების ერთი ტანკი დაემატა. ნომრებწაშლილი და მოცისფრომოლურჯოდ შეღებილი „წარბებიანი“ ტანკი მკვეთრი შეფერილობის გამო შორიდან კარგად ჩანდა.

გვარდიის ტანკებმა გზიდან მარჯვნივ, ყანებში გადაუხვიეს და გაშლა დაიწყეს, ხოლო მე-6 ტანკი და თვითნაკეთი „გრადის“ დანადგარით აღჭურვილი ავტომობილი გზიდან მარცხნივ, ქობალიას რაზმის განლაგებისკენ წავიდნენ.

შეტევას წინ სუსტი საარტილერიო ცეცხლი უსწრებდა. ოთხმა Д-30-მა ჰაუბიცამ რამდენიმე ჭურვი გაისროლა, მაგრამ ჭურვები მუხტშემცირებული არ იყო, მოწინააღმდეგის პოზიციებს გადასცდა და კოდორის გადაღმა ჩამოვარდა.

ტანკები ყანებში დაახლოებით 600-800 მ სიგანის ფრონტით გაიშალა და შეტევა ქვეითთა გარეშე დაიწყო.

აფხაზთა გამაგრებულ-დაცული პოზიციები წინასწარ გამოვლენილი არ იყო და შეტევაზე გადასული ჯავშანტექნიკა პირველივე დაბრკოლებას — ტანკსაწინააღმდეგო თხრილს მალევე გადაეყარა.

ყველაზე მარცხნივ მყოფი ტანკი №404 თხრილის კედელს ლულით შეერჭო. ბრძოლის ქარცეცხლში ეკიპაჟმა ამას ყურადღება არ მიაქცია, გასროლა გაკეთდა და ტანკის ლულა ყვავილივით გადაიხსნა.

დაზიანებული ტანკის ევაკუირების საშუალება არ იყო, ამიტომაც მისი ადგილზევე განადგურება გახდა საჭირო.

ტანკსაწინააღმდეგო ჭურვების ბორტებში მოხვედრისაგან მწყობრიდან №443 გამოვიდა. გვერდით მყოფი მეორე ტანკი კორპუსით დაფარვას შეეცადა, მაგრამ მანევრირებისას ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი ძრავას ნაკვეთურში მოხვდა და გაჩერდა.

სატანკო შეტევის მარჯვენა ფლანგზე ბატალიონის მეთაურის, მაიორ მაქსიმ ცეცაძის ტანკი №401 (ეკიპაჟი: მაქსიმ ცეცაძე, გიორგი ბესტავაშვილი, თამაზ ლომიძე, ვანო გიგუაშვილი) მოქმედებდა.

იმ ბრძოლის ზოგიერთი მონაწილის გადმოცემით, მაქსიმ ცეცაძის ტანკმა მოწინააღმდეგის ზურგში გასვლა შეძლო და იქ უთანასწორო ბრძოლაში აფხაზებმა ტანკის მწყობრიდან გამოყვანა მოახერხეს. მისი ეკიპაჟის ბედი დღემდე გაურკვეველია.

ცენტრალურ გზაზე გაშლილი მარტყოფის ბატალიონის ექვსი БМП კი ჩასაფრებაში მოყვა. კოლონის სათავეში მყოფი ქვეითთა საბრძოლო მანქანის წინ მოულოდნელად უზარმაზარი ხე დაეცა და გზა გადაკეტა.

კოლონა შეჩერდა, აფხაზებმა ამით ისარგებლეს და ჯავშანტექნიკის დახვრეტაზე გადავიდნენ.

პირველი ტანკსაწინააღმდეგო ჭურვები მეწინავე №703-ს მოხვდა და მწყობრიდან გამოიყვანა. მძიმედ დაზიანდა №704-ც.

ბატალიონის პირადი შემადგენლობიდან რამდენიმე მებრძოლი დაიჭრა და დახმარება სჭირდებოდა. არადა მოწინააღმდეგის ძლიერი ცეცხლის გამო ეს შეუძლებელი იყო.

კრიტიკულ სიტუაციაში დაზიანებული №704-დან დათო ბედიანაშვილმა აფხაზთა პოზიციებს ცეცხლი გაუხსნა და უკანა მყოფ №702-ს დაჭრილების გამოყვანის საშუალება მისცა.

БМП №704 ბრძოლის ქარცეცხლში მოექცა. დაზიანებულ მანქანას ცეცხლი მოედო და აფეთქდა. დათო ბედიანაშვილი დაიღუპა და თავისი სიცოცხლის ფასად მრავალი თანამებრძოლი გადაარჩინა. იმავე ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და სისხლისაგან დაიცალა ტარიელ საძაგლიშვილი.

**114-ე ბატალიონ „ავაზას“ სადაზვერვო ოცეულის მეთაური ლეიტენანტი დავით ჩუბინიძე:** „სოჭის შეთანხმების შემდეგ ჩვენი ბატალიონიდან ტამიშზე 60-65 მებრძოლი მძიმე ტექნიკის გარეშე დარჩა.

შეტევა დავიწყეთ ისე, რომ სიტუაციაში გარკვეულები არც კი ვიყავით. ჩვენი ასეული გზიდან ხელმარჯვნივ მოქმედებდა. გვესროდნენ სხვადასხვა მხრიდან და ყველანაირ საშუალებას. შტაბთანაც კავშირი არ გვქონდა. ჩანდა, რომ ჩვენს შეტევას მოწინააღმდეგე ელოდა და ორგანიზებული თავდაცვა დაგვახვედრა“.

როგორც მოსალოდნელი იყო, შეტევა შეჩერდა. ცალკეულ მებრძოლთა გმირობამ საქმეს არ უშველა და მოწინააღმდეგემ დაკავებული პოზიციები შეინარჩუნა.

*თემურ ჩაჩანიძე*

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**


გვარდიისსატანკო ბატალიონის მეთაური მაიორი მაქსიმ ცეცაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა




21 სექტემბერს მომხდარი ტერაქტის ადგილი

# ვის აფრთხილებენ უცნობი ტერორისტები

*21 სექტემბრის ღამის პირველ საათზე თემქის, გლდანისა და სანზონის მცხოვრებნი ძლიერი აფეთქების ხმამ გააღვიძა. საცხოვრებელი კორპუსები შეზანზარდა, ხოლო ავტომობილების სიგნალიზაციის წივილ-კივილმა იქაურობა გააყრუა. აფეთქებამ ამ სტრიქონების ავტორსაც დაუფრთხო ძილი. მეორე დღესვე, უნდა ითქვას, საკმაოდ ოპერატიულად, გაკეთდა პირველი ოფიციალური კომენტარი და ითქვა, რომ აფეთქება მოხდა აშშ-ის საელჩოს შენობის ირგვლივ აღმართულ დამცავ კედელთან, რომლის ნაწილიც გამონგრეულია. არავინ დაშავებულა, მხოლოდ დაზიანებულია ახლომდებარე შენობები. სავარაუდოდ, დამონტაჟებული იყო ორი თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობა, საიდანაც ერთი აფეთქდა, ხოლო მეორე შინაგან საქმეთა სამინისტროს გამნაღმველებმა გააუვნებლეს.*

*აშშ-ის საელჩოს პრესსამსახურის განცხადებით, აფეთქებას საელჩო არ დაუზიანებია, აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.*

*ორიოდე დღის შემდეგ აშშ-ის ელჩმა საქართველოში ჯონ ბასმა განაცხადა, რომ კმაყოფილია გატარებული საგამოძიებო მოქმედებებით. თუმცა მომხდარიდან ერთ თვეზე მეტი გავიდა და საქმე კვლავ გაუხსნელია. ისიც უნდა ითქვას, რომ არც ქართულ მასმედიას არ გამოუჩენია დიდი ინტერესი, თითქოს ამერიკის საელჩოსთან აფეთქებები ყოველ შაბათ-კვირას ხდებოდეს. ამ ფაქტზე საინტერესო მოსაზრებები აქვთ ექსპერტებს. კერძოდ, ითქვა, ამერიკას ვერავინ ასწავლის უსაფრთხოების დაცვას, მას ეს უმაღლეს დონეზე აქვსო. მიუხედავად დიდი პატივისცემისა, ექსპერტების აზრს ვერ დავეთანხმებით. ფაქტები სრულიად საპირისპიროს ამტკიცებენ. XXI საუკუნეში შემთხვევით არაფერი ხდება, მით უფრო, აფეთქება ისეთი სტრატეგიული ობიექტის მახლობლად, როგორიც აშშ-ის საელჩოა.*

*ჯერჯერობით უცნობია, ვინ შეიძლება იდგეს 2010 წლის 21 სექტემბერს მომხდარი აფეთქების უკან და რა მიზანი ამოძრავებდა? ვერსიების ნაკლებობას ნამდვილად ვერ დავიჩივლებთ. დავიწყოთ ყველაზე კურიოზულით.*

## ტერაქტი საკუთარ თავს?

საინფორმაციო საშუალებებით გავრცელდა საქართველოს ლეიბორისტული პარტიის გამოხმაურება აშშ-ის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე აფეთქების თაობაზე. ლეიბორისტები, როგორც ყოველთვის, ხელისუფლებას ადანაშაულებენ. პარტიის განცხადებაში ნათქვამია: „ამ უსუსური, უკანონო ქმედებით (ანუ აფეთქებით — ბ.ა.) ხელისუფლება ცდილობს, დაარწმუნოს შეერთებული შტატები და მსოფლიო საზოგადოებრიობა, რომ მხოლოდ მათ აქვთ სურვილი და მხოლოდ მათ შესწევთ უნარი შეაჩერონ საქართველოში მსოფლიო ტერორიზმის საფრთხე, რაც სიცრუეა“. ამ პატარა ციტატაში ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებებია. საინტერესოა, საკუთარი თავისთვის „ტერაქტების მოწყობით“ საქართველოს ხელისუფლებამ ტერორიზმთან მებრძოლი ქვეყნის იმიჯი როგორ უნდა შეიქმნას? არასტაბილური ქვეყნის იარლიყი კი უკვე გამოწერილი გვაქვს. ეს საქმე ცხელ კვალზე, სულ ცოტა, ერთი კვირის შემდეგ რომ გახსნილიყო, ტერაქტის ორგანიზატორები რომ დაეკავებინათ და ამით თავი გამოეჩინათ ვაშინგტონთან, მაშინ კიდევ შეიძლებოდა დაეჭვების საბაბი გვქონოდა. ასე რომ, რაც უფრო დიდხანს იქნება ეს საქმე გაუხსნელი, მით კარგად ორგანიზებულ პროვოკაციასთან გვქონია საქმე.

## პირადი შურისძიება?

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, ეს შეიძლება ერთი ადამიანის მიერ მოწყობილი აქტია, რომელიც გამოწვეულია პიროვნული პროტესტით, ან სულაც ფსიქიკურად დაავადებული ადამიანის სულიერი აშლილობის შედეგია. ძნელი წარმოსადგენია, აშშ-ში გასამგზავრებელ ვიზაზე უარის გამო ვილაც მოქალაქე შინ გაქცეულიყო, სულ მცირე ნახევარ კილოგრამამდე (აფეთქების სიძლიერიდან გამომდინარე) ასაფეთქებელი ნივთიერება სარდაფიდან ამოეტანა (ან თუნდაც შავ ბაზარზე შეეძინა), ღამით, პატრულებით გაძეძგილ ქალაქში, გაერისკა და საელჩოს შენობის ირგვლივ აღმართულ დამცავ კედელთან ისე პროფესიონალურად დაემონტაჟებინა ასაფეთქებელი მოწყობილობა, რომ კედელი კი არ დანგრეულიყო, არამედ ოდნავ გამურულიყო და შელესილი ნაწილი ჩამოშლილიყო. კიდევ უფრო დაუჯერებელია, ეს მოზომილი(!!!) აფეთქება აშშ-ის საგარეო პოლიტიკით უკმაყოფილო ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანს ჩაედინა და კვალიც ოსტატურად დაეფარა. აფეთქება ბიზნესგარჩევების მიზეზით?

ზოგიერთი ექსპერტი არც იმას გამორიცხავს, რომ აფეთქება შესაძლოა კერძო ბიზნესინტერესებს უკავშირდებოდეს და საქმის გარჩევა განგსტერულად, ალ კაპონეს მეთოდით წარიმართა. თუ მასმედიით გავრცელებულ ფოტოებს ყურადღებით დავაკვირდებით, კარგად დავინახავთ, რომ საელჩოს დამცავი კედლის ოდნავ ჩამოშლილი ზედაპირის მოსაზღვრედ, დაახლოებით 1,5 მეტრში მხოლოდ სასაფლაოა და აფეთქებამ ერთ-ერთი საფლავის გისოსებიც დააზიანა. აფეთქების ადგილი საკმაოდ მოშორებულია კომერციული ობიექტებისგან (უპირველესად კი გაუქმებული ავტობაზრობისგან) და ამიტომაც ეს ვერსიაც უსაფუძვლოდ მიგვაჩნია.

## აფეთქება ტერორისტული დაჯგუფების ორგანიზებული იყო?

დღე არ გავა, მსოფლიოს რომელიმე კუთხეში არ მოხდეს ტერაქტი, რომელსაც ყოველდღიურად ათეულობით მშვიდობიანი ადამიანის სიცოცხლე ეწირება.

ბოლო დროის თითქმის ყველა ტერაქტის უკან ჯერჯერობით მოუხელთებელი მილიონერი უსამა ბინ ლადენი მოიაზრება. მისი დაფინანსებით უპირველესად ისლამისტი ფანატიკოსი ტერორისტები სარგებლობენ.

ამავე დროს ტერორისტებმა რადიკალურად შეცვალეს მოქმედების სტილი. ამჟამად წვერებიანი და „კალაშნიკოვით“ შეიარაღებული ბოევიკების ნაცვლად, ტერაქტებს სათვალეები-

ანი ინტელექტუალები გეგმავენ, რომლებიც სულ ახალ-ახალ გზებს ეძებენ მიზნის მისაღწევად.

ქვემოთ სხვადასხვა ქვეყანაში აშშ-ის საელჩოებსა და საკონსულოებზე ტერორისტთა თავდასხმებზე გიამბობთ და მკითხველი დარწმუნდება, რომ მათ ერთი ხელწერა და მიზანი ჰქონდათ: მაქსიმალური მსხვერპლი და მაქსიმალური ზიანის მიყენება ამერიკის დიპლომატიური მისიებისთვის. ტერორისტები დაუყოვნებლივ იღებდნენ პასუხისმგებლობას ყველა ტერაქტზე, რადგანაც „პიარი“ მათი „ბრძოლის“ აუცილებელი ნაწილია.

## აშშ-ის საელჩოებზე თავდასხმების მოკლე ქრონოლოგია

მსოფლიოში არ მოიძებნება მეორე ქვეყანა, რომელსაც ასე ეთაყვანებოდნენ და ასე სძულდეთ. ამერიკა ყოველთვის იყო ტერორისტების სამიზნე. განსაკუთრებული საფრთხე კი აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს ემუქრება. ერთი შეხედვით ამერიკის ხელისუფლებას მაქსიმალურად აქვს დაცული უსაფრთხოების ზომები (განსაკუთრებით 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ): უკიდურესად გამკაცრებულია საელჩოებსა და საკონსულოებთან მიახლოება (როგორც ავტომობილით, ასევე ფეხით მოსიარულეთათვის), შეიარაღებული საზღვაო ქვეითები დიპლომატიური წარმომადგენლობის ყველა სტრატეგიულ წერტილს იცავენ, გარე პერიმეტრზე კი, როგორც საერთაშორისო კონვენციები მოითხოვს, მასპინძელი ქვეყნის სამართალდამცავი სტრუქტურები უზრუნველყოფენ დიპლომატიური წარმომადგენლობის უსაფრთხოებას. გარდა ამისა, ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც გახშირდა თვითმკვლელი ტერორისტებისა და დანაღმული ავტომობილების გამოყენება ტერაქტის მოსაწყობად, აშშ-ის საელჩოებსა და საკონსულოებს მასიური გალავნები შემოარტყეს, ხოლო მისასვლელი გზები ბეტონის ფილებით ჩახერგეს. თვით შენობები კი ზემძლავრი რკინაბეტონის კონსტრუქციებითაა ნაგები. უსაფრთხოების ამ ხილულ ზომებს უნდა დაემატოს აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში სპეცსამსახურების (უპირველესად ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს, უსაფრთხოების სამსახურისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს) მრავალრიცხოვანი თანამშრომლები. მათი მოვალეობაა მოიპოვონ ინფორმაცია და თავიდან აიცილონ ტერაქტები.

ერთი შეხედვით უსაფრთხოების ყველა ზომა დაცულია, თუმცა საერთაშორისო ტერორისტული დაჯგუფებები მაინც ახერხებენ ტერაქტების ჩატარებას.

1979 წელს, ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ, რადიკალურად განწყობილმა ისლამისტებმა იერიშით აიღეს თეირანში აშშ-ის საელჩო და მძევლად აიყვანეს მისი 52 თანამშრომელი, რომლებიც 444 დღე დატყვევებული ჰყავდათ.




1983 წელს ტერორისტები თავს დაესხნენ ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში აშშ-ის საელჩოს და რამდენიმე დიპლომატი მოკლეს. რამდენიმე თვის შემდეგ ასევე ბეირუთში თვითმკვლელმა ტერორისტმა (სავარაუდოდ, დაჯგუფება „ჰეზბოლას“ მებრძოლმა) დანაღმული სატვირთო ავტომობილი აშშ-ის საელჩოს შენობას შეაჯახა, რის შედეგადაც 63 კაცი დაიღუპა.

ეს იყო დანაღმული სატვირთო ავტომობილით ტერაქტის ჩატარების პირველი შემთხვევა. მიჩნეულია, რომ ეს ტაქტიკა უსამა ბინ ლადენის მასწავლებელმა იმად მუჰნიემ მოიფიქრა.

პერუში მოქმედი „ტუპაკ ამარუს სახელობის რევოლუციური მოძრაობის“ მებრძოლები, რომლებიც მარქსიზმსა და ჩე გევარას იდეოლოგიას ეთაყვანებიან, 1984 წელს თავს დაესხნენ პერუს დედაქალაქ ლიმაში ამერიკის საელჩოს.

1984 წელს ტერორისტები კვლავ დაესხნენ თავს აშშ-ის საელჩოს ბეირუთში, რის შედეგადაც 20 კაცი დაიღუპა.

1996 წლის 15 თებერვალს საბერძნეთის დედაქალაქ ათენში აშშ-ის საელჩოს ტერორისტებმა ყუმბარსატყორცნებით ცეცხლი გაუხსნეს. ერთი ჭურვი ამერიკის ელჩის სააბაზანოს მოხვდა, თუმცა ამ ტერაქტის შემდეგ არავინ დაშავებულა.

1998 წელს „მუჰნიეს მეთოდით“ დაჯგუფება „ალ-ქაიდას“ ტერორისტებმა კენიასა და ტანზანიაში მდებარე ამერიკის საელჩოები ააფეთქეს. იემენში ათეულობით ადამიანი დაიღუპა.

2002 წლის 21 იანვრის საღამოს ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში აშშ-ის საელჩოს შენობასთან მძლავრი აფეთქება მოხდა. როგორც მეორე დილით გაირკვა, ამოქმედდა მხოლოდ ერთი ნაღმი, ხოლო მიმდებარე ტერიტორიაზე კიდევ რამდენიმე ასაფეთქებელი მოწყობილობა იყო დამონტაჟებული.

2004 წლის 7 დეკემბერს საუდის არაბეთის ქალაქ ჯიდაში აშშ-ის საკონსულოს თავს დაესხნენ „ალ-ქაიდას“ მებრძოლები, რის შედეგადაც დაიღუპა 12 კაცი (საკონსულოს ხუთი თანამშრომელი, საუდის არაბეთის უშიშროების სამსახურის ოთხი ოფიცერი და სამი ტერორისტი).

2006 წლის 11 სექტემბერს სირიის დედაქალაქ დამასკში აშშ-ის საელჩოს დაესხნენ თავს.

2007 წლის 10 იანვარს ათენში აშშ-ის საელჩოს კვლავ ყუმბარსატყორცნებით გაუხსნეს ცეცხლი. არავინ დაშავებულა. სავარაუდოდ, ტერაქტი „17 ნოემბრის“ სახელწოდებით მოქმედი ბერძენი ტერორისტების მიერ იყო მოწყობილი.

2008 წლის 17 სექტემბერს იემენში აშშ-ის საელჩოს დაესხნენ თავს. დაიღუპნენ იემენის უშიშროების სამსახურის 10 თანამშრომელი და ექვსი ტერორისტი.

2010 წლის 4 აპრილს პაკისტანის ქალაქ ფეშავარში აშშ-ის საკონსულოსთან ნამდვილი ბრძოლა გაიმართა, ჯერ ერთდროულად გაისმა ოთხი აფეთქება, რასაც „თალიბანის“ ტერორისტების თავდასხმა მოჰყვა. დაიღუპა ოთხი კაცი.

აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე თავდასხმების მოკლე ქრონოლოგია ერთი კურიოზული „ტერაქტით“ გვინდა დავასრულოთ. 2010 წლის 23 მაისს უკრაინის დედაქალაქ კიევში მდებარე აშშ-ის საელჩოს ავტოსადგომზე შეიპარა მამაკაცი (ოფიციალური ვერსიით ფსიქიკურად დაავადებული), რომელმაც დიპლომატების ავტომობილები დანით დააზიანა, ხოლო დაცვის ერთ-ერთი წევრი, უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომელი ხელში დაჭრა.

ბესიკ ალადაშვილი
*ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში,*
*უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი*

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# საქართველოს საგარეო დაზვერვა
# მითი და რეალობა



ნოე რამიშვილი

(გაგრძელება)

## ვინ იყო ნოე რამიშვილის მკვლელი?

ნოე რამიშვილის მკვლელობა ადრევე რომ მზადდებოდა, ეს სხვადასხვა დოკუმენტური წყაროთი დასტურდება. ამ პოლიტიკურ მკვლელობამდე ორი წლით ადრე, 1928 წლის 3 დეკემბერს, ცნობილი ქართველი ემიგრანტი ვასო დუმბაძე შემდეგი შინაარსის წერილს სწერს სპირიდონ კედიას (სტილი დაცულია — ბ.ა.):

„ძვირფასო ძმაო სპირიდონ,

ერთი ვერსია — ვითომც მე მენახოს შენ მიერ გიორგი მაჩაბლისადმი მიწერილი წერილი, რომელშიაც მოხსენებული იყო ბ.ნ. ჟორდანიას, ბ.ნ. რამიშვილის და ჩემი მოკვლის განზრახვა, არის ნაყოფი ვისიმე ავადმყოფი ფანტაზიისა ან განძრახ შეთხზული, რომ განხეთქილება ჩამოაგდოს მეგობართა და სხვადასხვა წრეებთა შორის. მე არც ამნაირი წერილი მინახავს და არც ოდესმე გიორგი მაჩაბელთან ამაზე საუბარი მქონებია...

მაშ არის ვიღაცა — იდუმალი პირი, რომელსაც ვინმედგან დავალებული აქვს წყალის ამღვრევა და აქ ჩვენი ახლანდელის დროის სულმოკლეობის და სიჩქარის მაგიერ — სულგრძელობა, სიდინჯე და სიბრძნე უნდა გამოვიჩინოთ, რომ ნამდვილმა მტერმა არ გეიხაროს.

შენი ძმა და მეგობარი

ვასო დუმბაძე".

სპირიდონ კედიას პირად არქივში დაცული ამ წერილიდან კარგად ჩანს, რომ საბჭოთა დაზვერვა უკვე ეძებდა ნოე რამიშვილის მკვლელობის პოლიტიკური მოტივებით შენიღბვის ვერსიებს.

იმ პერიოდში ემიგრაციაში მყოფ მენშევიკებსა და ედპ-ს შორის ჯერ კიდევ საქართველოში არსებული დაპირისპირება უკიდურესად გამწვავდა. ბოლშევიკების საგარეო დაზვერვაც ცდას არ აკლებდა ემიგრაციაში მყოფ ამ ორ პოლიტიკურ ძალასა და მათ ლიდერებს შორის იდეურ-პიროვნული დაპირისპირების გაღრმავებას.

ამიტომ ჟორდანიასა და რამიშვილის მკვლელობის დაგეგმვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერების მიერ, საბჭოთა დაზვერვის აზრით, ბუნებრივად უნდა წარმოჩენილიყო. გარდა ამისა, ძალზე აქტიური, ავტორიტეტული და შეძლებული ქართველი ემიგრანტების, გიორგი მაჩაბლის და ვასო დუმბაძის კომპრომეტირებაც ბოლშევიკებისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

გავიხსენოთ, რომ გიორგი მაჩაბლის, პავლე კვარაცხელიას, ვანო კობახიძისა და ვასო დუმბაძის ინიციატივით 1931 წლის 1-ელ დეკემბერს აშშ-ში დაარსდა ქართული სათვისტომო, რომლის პირველი თავმჯდომარე პ. კვარაცხელია, შემდეგ გ. მაჩაბელი, შემდეგ კი ვასო დუმბაძე იყვნენ.

გიორგი მაჩაბელი, მსოფლიოში ცნობილი სუნამო „პრინც მაჩაბლის" შემქმნელი და მილიონერი, რომელიც ქართული ემიგრაციის დიდი ფინანსური მხარდამჭერი იყო, 1935 წელს მოულოდნელად და ძალზე საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა.

არსებული ინფორმაციით, ძალზე საინტერესო და ავანტიურისტული ბიოგრაფიის მქონე ვასო დუმბაძე გარდაცვალებამდე, 1943 წლამდე, აშშ-ში საქართველოს არაოფიციალურ წარმომადგენლად ითვლებოდა.

როგორც ჩანს, საბჭოთა დაზვერვამ ნოე რამიშვილის მკვლელის მოძებნა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრებში ვერ მოახერხა და არჩევანი ჭანუყვაძის კანდიდატურაზე შეჩერდა.

„არსენალის" წინა ნომერში ვწერდით, რომ ჭანუყვაძის შესახებ ძალზე ცოტა რამ არის ცნობილი. ვიცით, რომ ევროპის ქვეყნების, უპირველესად საფრანგეთის, პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა ჭანუყვაძის სასამართლო პროცესს. მას იცავდა ცნობილი ფრანგი ადვოკატი ანრი ტორესი. ძალზე საინტერესო ფაქტია, რომ ტორესი საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წევრი იყო. პარიზის სასამართლომ ჭანუყვაძეს 10 წლით პატიმრობა და 20 წელი გაძევება მიუსაჯა.

თავად ჭანუყვაძის შესახებ ყველა დოკუმენტური წყარო (ქართულიც და უცხოურიც) ამტკიცებს მკვლელის საბჭოთა სპეცსამსახურებთან კავშირს, მაგრამ ამის დამამტკიცებელი არგუმენტი არ მოჰყავთ. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რამიშვილის მკვლელობა ნამდვილად საბჭოთა სპეცსამსახურებ-

„ლიგა"
სამკურნალო გაერთიანება
სექსოპათოლოგია
- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა
ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაქრაძე
მის: თაბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39
www.league.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა



სპირიდონ კედია



გიორგი მაჩაბელი



ნორინა ჟილი-მაჩაბელი

ის დაგეგმილი და ორგანიზებული იყო. თუმცა ჭანუყვაძის ოგეპეუს აგენტობა სპეცსამსახურების დოკუმენტური წყაროებით და ქართული ემიგრანტული ლიტერატურით ჯერჯერობით არ დასტურდება.

ყველა ჩვენგანის ვალია, რომ საქართველოს ისტორიის უცნობ ფურცლებს საერთო ძალით მოვფინოთ ნათელი. ამიტომ ჩვენ ერთგულ მკითხველს მივმართავთ თხოვნით, თუ ნოე რამიშვილის მკვლელობის, ასევე ჭანუყვაძის შესახებ ცნობები აქვს, არ დაიზაროს და „არსენალის" რედაქციას მოაწოდოს.

## ნოე რამიშვილის მკვლელობის გამოძახილი ემიგრაციაში

ნოე რამიშვილის მკვლელობამ დიდი რეზონანსი გამოიწვია ევროპაში, აზიასა და ამერიკაში. თითქმის ყველა ქვეყანაში, სადაც ქართველი ემიგრანტების კოლონიები იყო, სამგლოვიარო ღონისძიებები ჩატარდა. მკითხველისთვის საინტერესო იქნება, თუ უფრო დაწვრილებით გავიხსენებთ იმ ტრაგიკულ დღეებს.

„1930 წელს ნოე რამიშვილის მკვლელობამ, დასაფლავებამ და მისი მკვლელის გახმაურებულმა პროცესმა, საზოგადოების ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ქართული კოლონიის გარდა, დაკრძალვას უცხოელებიც დაესწრნენ. სამძიმრის დეპეშები გაგზავნეს ვარშავის, ბერლინის, სტამბოლის, ბელგიის, ხარბინის, ოდენკურის, გრენობლის, ბორდოს, ლიონის კოლონიებმა. 1931 წლის 25 იანვარს პარიზში, სასაფლაოზე, ბერი შალვა ვარდიძის მიერ გადახდილ ნოე რამიშვილის პანაშვიდს დაესწრნენ მთავრობის წევრები, ელჩი ა. ჩხენკელი, ქართული კოლონიის წევრები. გალობდა პ. მოსულიშვილის მოყვარულთა გუნდი. იანვარში მას პანაშვიდი სპარსეთში არსებულმა ეროვნულმა კომიტეტმაც გადაუხადა. 14 ივნისს ბანიოს სასაფლაოზე (სადაც ნოე რამიშვილი იყო დაკრძალული — ბ.ა.) სამოქალაქო პანაშვიდზე ს. მენაღარაშვილი სიტყვით გამოვიდა, 8 დეკემბერს კი ვარშავაში, კათოლიკურ ეკლესიაში, გადაუხადეს პანაშვიდი, რომელსაც ესწრებოდნენ ქართველები, კავკასიელები, უკრაინელები და თათრები. 10 დეკემბერს „პრომეთეს" დარბაზში სამოქალაქო პანაშვიდზე სიტყვით გამოვიდნენ: თავმჯდომარე სმალსტოცკი, აღმოსავლეთის ინსტიტუტის დირექტორი სენატორი სედლიცკი, აზერბაიჯანელი ემილ ბეი რასულ-ზადე, მთიელი გორსკი, აგრეთვე იდელ-ურალის, თურქმენეთისა და ყუბანის წარმომადგენლები, ქართველთაგან ს. მდივანი. 13 დეკემბერს სამგლოვიარო კრება ქართული კოლონიის გამგეობამ ჩაატარა. ნ. რამიშვილი გაიხსენეს: ს. გეგელაშვილმა, მ. წულუკიძემ, ერ. რამიშვილმა, რ. მკურნალმა" (რ. დაუშვილი, „ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში", თბილისი, 2007 წ. გვ. 208-209).

ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ნოე რამიშვილის მკვლელობას მენშევიკების პარტიის წარსულსა და აწმყოს უკავშირებდა.

ნოე რამიშვილის გარდაცვალებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ, 1932 წლის 10 იანვარს, პარიზში გაიმართა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პარიზის ორგანიზაციის კრება, რომელმაც ამგვარად შეაფასა მკვლელობის ფაქტი:

„ის, ვინც მარქსის ნააზრევის მიმდევარი და შემსრულებელია, სისხლსა და ტერორს ბოლომდის გაჰყვება, რადგან სისხლს ის საიდუმლო თვისება აქვს, რომელსაც ძალუძს სამუდამო გათიშვა და დაკავშირება. ასეთ ტერორისტულ ატმოსფეროში, ასეთ ტერორისტულ მოძღვრების სკოლაში აღიზარდა ჭანუყვაძე და მან ჩაიდინა ყოვლად დაუშვებელი (ბოროტება და) დანაშაული — მან მოჰკლა გამზრდელი. ჩვენ ვგმობთ საერთოდ ასეთ მოვლენებს და ამასთანავე ერთად ვგმობთ იმ პარტიის მოქმედებასა და ბრძოლის მეთოდებს, რომელიც საქართველოში და უცხოეთში საამისო ატმოსფეროსა და პირობებს ჰქმნის.

საქ. ერ. დემოკრატიული პარტია არაა არც ტერორისტული მოძღვრების მიმდევარი და არც რევოლუციონური პარტია და ესეც — მკვლელობა და ტერორისტული აქტები მათი შემოღებული და საკუთარი მონოპოლიაა."

როგორც ვხედავთ, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებს ამ პოლიტიკური მკვლელობის მიზეზები და მიზნები ღრმად არ უძებნიათ, მათ ვიწროპოლიტიკურ ბრალდებებს ვერ დააღწიეს თავი.

ნოე რამიშვილის მკვლელობის შემდეგ ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში დაშლა-დაქუცმაცების პროცესი უფრო სწრაფად განვითარდა.

ბესიკ ალადაშვილი

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „პატარა ავიაციის" დიდი კოლექციონერი

ჰაერში პირველი თვითმფრინავის აფრენიდან 100 წლიწადზე ოდნავ მეტი გავიდა და მთელ მსოფლიოში მეხუთე ოკეანეთი გატაცებულთა რიცხვმა რამდენიმე მილიონს უკვე კარგა ხანია გადააჭარბა. თუმცა ამ გატაცებას სხვადასხვა გამოხატულება აქვს. ზოგი ბავშვობიდანვე ცაზე ფრენასა და მფრინავობაზე ოცნებობს, აბარებს სპეციალიზებულ სამხედრო თუ სამოქალაქო საფრენოსნო სასწავლებელში, რომლის დასრულების შემდეგ მფრინავი ხდება. ზოგის პროფესია ავიაციისგან ძალიან შორს არის და მისგან სრულად განსხვავებულია თუმცა, ეს არ უშლის ხელს მოყვარული პილოტის ლიცენზიის მოპოვებაში. ზოგიც საკუთარ ავტოფარეხში აწყობს თვითნაკეთ პატარა თვითმფრინავებს და მათზე დაფრინავს. ბევრი კი ნამდვილი თვითმფრინავების აწყობას მოდელიზმს ამჯობინებს და პლანერებისა და რადიომართვადი თვითმფრინავების მოდელებს ქმნის. ეს რეალურად მოქმედი საავიაციო მოდელებია.

არსებობს საავიაციო მოდელიზმის კიდევ ერთი სახეობა – სასტენდო მოდელიზმი, რომელიც მსოფლიოში ძალზე პოპულარულია. მაღაზიაში ყიდულობ რომელიმე თვითმფრინავის მოდელს, რომელიც ასობით დეტალისგან შედგება. მიგაქვს სახლში, ინსტრუქციის მიხედვით თანამიმდევრულად აწყობ დეტალებს და ცოტა ხანში მოდელი გამოიკვეთება. შემდგომ მას დაფარავ გრუნტის საღებავით, ელოდები გაშრობას, რის შემდეგაც უკვე კამუფლაჟის ფერებით ღებავ, მიაკრავ საბორტო ნომრებს, განმასხვავებელ ნიშნებს, საბორტო წარწერებს და თვითმფრინავის მოდელიც მზად არის. თაროზე დგამ და ყოველდღე ტკბები საკუთარი შემოქმედებით. ბევრს ეს პროცესი უინტერესოდ მოეჩვენება, მაგრამ ავიაციისა და სასტენდო მოდელიზმის მოყვარულს უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. რა თქმა უნდა, მოდელის აწყობის ზემოთ აღწერილი პროცესი გაცილებით შრომატევადია და ზოგჯერ ერთი მოდელის აწყობას შეიძლება ერთი თვეც კი მოანდომოთ. საავიაციო მოდელი რეალურ თვითმფრინავსა თუ შვეულმფრენს სრულად იმეორებს და მასშტაბში არის შესრულებული, უმეტეს შემთხვევაში ეს არის 1/72 და 1/48.

დასანანია, რომ საქართველოში სასტენდო მოდელიზმით არცთუ ისე ბევრია გატაცებული, მაგრამ ამ არცთუ ისე ბევრში არის კაცი, რომელსაც საქართველოში, ყველაზე დიდი საავიაციო-სასტენდო მოდელების კოლექცია აქვს.

**ნუგზარ მამაცაშვილმა** თვითმფრინავების მოდელების აწყობა ბავშვობიდანვე დაიწყო და მის კოლექციაში თვითმფრინავებისა და შვეულმფრენების მოდელების რიცხვმა 300 ცალს უკვე დიდი ხანია გადააბიჯა. ბატონ ნუგზარის კოლექცია საფრენი აპარატების უხვი ნაირსახეობით გამოირჩევა. აქ ნებისმიერი ტიპისა და დანიშნულების თვითმფრინავის


ნუგზარ მამაცაშვილი თავისი მოდელების ფონზე

ეროვნული ბიბლიოთეკა


მიუხედავად იმისა, რომ კოლექციაში თვითმფრინავები ჭარბობენ, აქ თითქმის ყველა დანიშნულების შვეულმფრენის მოდელის ნახვა შეიძლება


1930-იან წლებში, საბჭოთა კონსტრუქტორ პოლიკარპოვის მიერ შექმნილი თვითმფრინავების მოდელები

ნახვა შეიძლება: მზვერავების, გამანადგურებლების, დამრტყმელის თუ სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენების, ბომბდამშენების და გზაგადამჭრელების, ვერტიკალური აფრენა-დაფრენისა და შორი რადიოლოკაციური აღმოჩენის თვითმფრინავების. ეს მასშტაბური კოლექცია მის მეპატრონეს ხუთ ნაწილად აქვს დაყოფილი: პირველი და მეორე მსოფლიო ომების ავიაცია, მათ შორის არსებული შუალედური პერიოდი, „ცივი ომის“ დროს შექმნილი საფრენი აპარატები და ბოლო პერიოდში გამოშვებული თვითმფრინავები და შვეულმფრენები. მოდელისტის სამუშაო ოთახში სპეციალურ თაროებზე, რომლებიც მისივე დიზაინითაა გაკეთებული, ნახავთ პირველი მსოფლიო ომისდროინდელ „ფოკერ ტრიპლანს“, რომელზეც ცნობილი გერმანელი „წითელი ბარონი“ დაფრინავდა, მეორე მსოფლიო ომისდროინდელ სხვადასხვა მოდიფიკაციის გერმანულ Bf-109-სა და Fw-190-ს, იმავე პერიოდის საბჭოურ Ла-5ФН-ს და Ил-2-ს, „ცივი ომის“ ორ ყველაზე გამოჩენილ მეტოქეს F-4 Phantom II-სა და МиГ-21-ს, დამრტყმელ შვეულმფრენებს Ми-24-ს, Ка-52-სა და AH-64 Apache-ს და უახლეს, მეხუთე თაობის გამანადგურებლებს F/A-22-სა და F-35-ს.

ყველაფერი კი ფრენაზე ოცნებით დაიწყო, თუმცა ბატონმა ნუგზარმა სულ სხვა პროფესია აირჩია, ავიაციის სიყვარულით შეპყრობილმა კი მოდელების აწყობა ბავშვობიდანვე დაიწყო.

**— ბატონო ნუგზარ, როგორ დაიწყეთ საავიაციო-სასტენდო მოდელიზმი?**

— ავიაციამ ბავშობიდანვე გამიტაცა, ჩემი ოცნება, მფრინავი გავმხდარიყავი, ოცნებად დარჩა. ბიძაჩემი სამხედრო მფრინავი იყო და თვითონაც საავიაციო მოდელების აწყობით იყო გატაცებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა



აშშ-ის საგემბანო ბაზირების შორი რადიოლოკაციური აღმოჩენის თვითმფრინავი E-2 Hawkeye

გამანადგურებელი МиГ-15, რომლის წარმოებაც თბილისის საავიაციო ქარხანაში ხდებოდა

ორადგილიანი გამანადგურებელი Су-30

ეროვნული ბიბლიოთეკა




ამერიკული საგემბანო მოიერიშე A-7 Corssar, რომელსაც აქტიურად ვიეტნამის ომში იყენებდნენ, დღეს მხოლოდ საბერძნეთის სამხედრო-საჰაერო ძალების შეიარაღებაშია




ალექსანდრე ქართველიშვილის მიერ შექმნილი, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი ამერიკული P-47 Thunderbolt

გამანადგურებლები МиГ-29 (ზედა) და МиГ-21. სხვათა შორის ამ თვითმფრინავის ერთადგილიანი ვარიანტის 17 ცალის ოდენობით თბილისის საავიაციო ქარხანასაც აქვს გამოშვებული



ეროვნული ბიბლიოთეკა
ეროვნული








შემდგომ მისი გატაც[illegible]დო. 12 წლის ვიყავი, როდესაც პირველი მოდელი ავაწყვე. აღარ მახსოვს, რომელი თვითმფრინავი იყო, თუ არ ვცდები, სამოქალაქო Ту-134. ერთხელ რომ ააწყობ მოდელს, მერე ახალ-ახალი მოდელის აწყობის სურვილი გიჩნდება. მართალია, აწყობისას მიღებული სიამოვნება ერთჯერადია, მაგრამ არანაკლებ სასიამოვნოა, როცა თაროებზე საკუთარი ხელით აწყობილი მოდელები აწყვია. მაშინ არ იყო მოდელების იმხელა არჩევანი, როგორიც ახლა არის. ჩემს ბავშვობაში მელიქიშვილის ქუჩაზე მაღაზია იყო, Юнный Техник-ი ერქვა, შემდგომ ის სანაპიროზე, ქორწინების სახლთან გადაიტანეს და თვითმფრინავების მოდელების შოვნა იქ შეიძლებოდა. საბჭოთა კავშირში ყველაზე გავრცელებული ფირმა Novo-ს მოდელები იყო, მაგრამ ძნელად იშოვიდი. მოდელებს უკრაინაც უშვებდა, ბაქოს ქარხანა კი P-36 „აირ კობრას“ მოდელებს, მაგრამ ცუდი ხარისხის პლასტმასით. კარგი ხარისხის მოდელები ჰქონდა გდრ-ს, მაგრამ შოვნა იყო ძნელი. მაშინ მოდელისტები უფრო მეტი იყვნენ, ვიდრე დღეს. ყოველ შაბათ-კვირას გორკის კლუბში, მთელი თბილისის მოდელისტები იკრიბებოდნენ და თავიანთ ქმნილებებს ერთმანეთს აჩვენებდნენ. რა თქმა უნდა, უმეტესობას საბჭოური წარმოების მოდელები ჰქონდა. რა თქმა უნდა, დიდი პოპულარობით საზღვარგარეთული მოდელები სარგებლობდა. ჩეხური მოდელები მაშინაც კარგი იყო და ახლაც ძალიან კარგია. მაშინ მოდელისტისთვის ჩეხეთში ჩასვლა სამოთხეში მოხვედრას ნიშნავდა. ჩეხური მოდელები ძვირი ღირდა, მაშინ როცა საბჭოური მოდელის ფასი 3-4 მანეთს არ აღემატებოდა. მახსოვს გორკის კლუბში ერთა მოდელმა თავის ბრიტანული ბიპლან Bristol Bulldog-ის ჩეხური მოდელი 150 მანეთად გაყიდა.

**— კოლექციის შეგროვება როდის დაიწყეთ?**

— თითქმის 17 წელიწადია ვაგროვებ. ამ ხნის განმავლობაში 1/72 მასშტაბის თვითმფრინავებსა და შვეულმფრენებს

მოდელების მრავალფეროვან კოლექციაში თითქმის ყველა დანიშნულების თვითმფრინავის ნახვა შეიძლება. ზემოდან ქვემოთ: მეორე მსოფლიო ომისდროინდელი გერმანული მოპიკირე ბომბდამშენი Ju-87, „ცივი ომის“ დროინდელი ამერიკული საგემბანო გამანადგურებელი F-4 Phantom II, მეორე მსოფლიო ომისდროინდელი გერმანული მზვერავი Fw-189



1/48 მასშტაბში შესრულებული საგემბანო გზაგადამჭრელი F-14

ვაწყობდი, 3-4 წელია, რაც 1/48 მასშტაბზე გადავერთე. მისი აწყობა უფრო საინტერესოა, რადგან მეტი წვრილ-წვრილი დეტალი აქვს. მაგალითად, შასი, უფრო სრულყოფილია 1/72 მასშტაბთან შედარებით.

კოლექციაში ძალიან ძველი მოდელებიც მაქვს. ყველაზე ძველი გდრ-ის მეორე მსოფლიო ომისდროინდელი საბჭოთა ბომბდამშენი Ту-2-ია, რომელიც, ალბათ, უკვე 35 წლიწადს იქნება გადაცილებული. მაქვს მოდელებიც, რომელთა ასაკი 28-30 წელს აღემატება. დღეს კოლექციაში 1/72 მასშტაბში შესრულებული 286 მოდელი, 1/48-ში კი — 86 ცალი მაქვს, მაგრამ მხოლოდ თვითმფრინავები.

კოლექციის შეგროვება არ იყო ადვილი. მართალია, საბჭოთა პერიოდში მოდელები ძალზე იაფი ღირდა, მაგრამ არჩევანი დიდი არ იყო და არც ხარისხით ბრწყინავდა. მოდელის ყიდვა ერთი საქმეა და აწყობა — მეორე. „ნოვოს“ ფირმის მოდელებს უმეტესად ღია ფერის პლასტმასი ჰქონდა და საღებავები არ მოჰყვებოდა. საღებავი თავად უნდა გეშოვა, რომ აწყობილი მოდელი შეგეღება. მოდელს ფუნჯებით ვღებავდით, რადგან აეროგრაფის შოვნა წარმოუდგენელი იყო. დეტალებიც დეფიციტური საქონელი იყო, მაგრამ მაინც ვახერხებდით და კარგ მოდელებს ვაწყობდით.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და საზღვრების გახსნის შემდეგ უცხოური ფირმების მოდელების შოვნა გაიოლდა. ხელმისაწვდომი გახდა იაპონური „ჰასეგავასა“ და „ტამიას“, იტალიური „იტალიერის“, გერმანული „რეველის“ მოდელები და ხარისხით საბჭოთა მოდელებს გაცილებით სჯობდნენ. შედარებაც კი არ შეიძლებოდა. ინტერნეტის ფართოდ გავრცელების შემდეგ კი სახლიდან გაუსვლელად შეგვეძლო სასურველი მოდელის თუ აქსესუარის შეკვეთა.

საქართველოში სასტენდო მოდელიზმი დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. ალბათ, ეს იმის ბრალია, რომ კარგი მოდელის აწყობა-შეღებვისთვის საჭირო აქსესუარებისა და საღებავების შეძენა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა. გარდა ამისა, ბევრ დროსაც გართმევს. ყოფილა შემთხვევა, ერთი მოდელის აწყობაზე ერთი თვე დამჭირვებია. მოდელის ხარისხიანად აწყობა საკმაოდ შრომატევადი საქმეა.

*თემურ პულუზაშვილი*

დიდი კოლექციის მცირე ნაწილი, სადაც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი თვითმფრინავებია გამოფენილი





არსენალი
ელექტრონული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




# მფრინავი ვეფხვები

საფრანგეთის სამხედრო-საჰაერო ძალების Mirage 2000




შვედების JAS 39 Gripen



კანადური F/A-18 Hornet




ნაცრისფერი ვეფხვი, ბრიტანეთის სამეფო საზღვაო ფლოტის შვეულმფრენ Lynx-ზე

ეროვნული ბიბლიოთეკა





ერთ დროს თბილისში აწყობილ Су-25-ს პერუში ვეფხვის თავი მიახატეს



საბერძნეთის სამხედრო-საჰაერო ძალების A-7 Corsair II




კანადური „ჰორნეტები“

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პაკისტანური ტანკები



ტანკების შექმნის იდეა ინგლისში პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წლის ზაფხულში დაიბადა, როცა გერმანელთა კარგად დაცული პოზიციების გარღვევა ცოცხალი ძალის უზარმაზარ დანაკარგს იწვევდა. ამიტომაც მახვერპლის შესამცირებლად სამხედროები მექანიკური, მუხლუხებიანი, დაჯავშნული საშუალების შექმნის საჭიროებამდე მივიდნენ.

იდეის ხორცშესხმამ ერთ წელზე ცოტა მეტი მოითხოვა და 1916 წლის 15 სექტემბერს მდინარე სომის მახლობლად, სოფელ ფლერთან ბრძოლებში ბრიტანელთა ტანკებმა მოწინააღმდეგის პოზიციებს პირველად შეუტიეს.

ახალი ტექნიკა სხვა ქვეყნების სამხედროებსაც მოეწონათ და მალე საკუთარი კონსტრუქციის ტანკების წარმოების ორგანიზება გერმანიამ და საფრანგეთმა შეძლეს, ხოლო ომის შემდგომ წლებში ამ ქვეყნებს შეუერთდნენ იაპონია, იტალია, პოლონეთი, საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია, შვედეთი და სხვ.

„არსენალში" მოსული წერილებისა და კითხვების პასუხად ჟურნალი აქვეყნებს პუბლიკაციების ციკლს, რომელიც ეძღვნება ტანკების განვითარებას, ტენდენციებსა თუ პერსპექტივებს, შეიარაღებისა და დაცვის ელემენტების თავისებურებებს, სხვადასხვა ქვეყნის ტანკების კონსტრუქციულ სიახლეებს, ტანკმშენებლობის დღევანდელ მდგომარეობასა და ა.შ.

ჩვენ უკვე განვიხილეთ უნგრეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, ბულგარეთის, ჰოლანდიის, ბრაზილიის, არგენტინის, ირანის, ინდოეთის ტანკმშენებლობის ისტორია, ამ ნომერში პაკისტანელთა მიღწევებზე გიამბობთ...



59-I მოდელის ტანკი



69-II მოდელის ტანკები მარშის დროს

1947 წლის 14 აგვისტოს ყოფილი ბრიტანეთის ინდოეთის ტერიტორიაზე რიგით მეორე დამოუკიდებელი სახელმწიფო — პაკისტანი გაჩნდა. ახალწარმოქმნილი ქვეყნის არსებობის პირველი წელი ინდოეთთან ჯამუ და ქაშმირის შტატის გამო დაწყებული ომით აღინიშნა.

დღემდე მოუგვარებელი ამ პრობლემის შედეგი რამდენიმე პატარა ომია, ამიტომ პაკისტანის ხელისუფლებისათვის ბრძოლისუნარიანი არმიით ინდოეთთან შეძლებისდაგვარი სამხედრო პარიტეტის შენარჩუნება აქტუალურ საკითხად რჩება.

გასული საუკუნის 50-იანი წლების შუახანებში პაკისტანის არმიის გადასაიარაღებლად მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა. ბრიტანეთის ინდოეთის არმიისგან მიღებულ საკავალერიო პოლკებში ცხენები ჯავშანტექნიკით შეიცვალა.

საფუძველი ჩაეყარა სატანკო კორპუსს, რომელიც ამერიკული (საშუალო

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისლამაბადის სატანკო ამბიციები

ტანკები — 230 M47 Patton I, 202 M48 Patton II და 305 M4A1/M4A3 Sherman-ი, მსუბუქი ტანკები — 150 M24 Chaffee და გაურკვეველი რაოდენობის M36B1 Jackson-ი), ჩინური (59 მოდელის 350 ტანკი) და საბჭოთა (150 T-54/T-55) წარმოების ტექნიკით დაკომპლექტდა.

სატანკო პარკის შესავსებად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა და გაჩნდა საკუთარი ჯავშანსატანკო წარმოების შექმნის სურვილი, რომლის ხორცშესხმაშიც მთავარი როლი ჩინეთმა ითამაშა.

ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში რავალპინდიდან 35 კილომეტრში მდებარე ქალაქ ტაქსილაში ჩინელი სპეციალისტების დახმარებით 1971 წელს მძიმე მანქანათმშენებელი საწარმო აშენდა. საწარმო პაკისტანის არმიის შეიარაღებაში არსებული 59 მოდელის ტანკების რემონტ-მოდერნიზაციაზე იყო გათვლილი.


პაკისტანისათვის დამზადებული უკრაინული T-80UD

თანდათან წარმოების გაფართოება მოხერხდა. გაჩნდა კიდევ რამდენიმე ქარხანა და 1992 წლის სექტემბრიდან პაკისტანში შეიარაღების მწარმოებელმა დიდმა კომპანია Heavy Industries Taxila (HIT)-მ დაიწყო მუშაობა.

ამჟამად HIT-ი მსხვილი სამხედრო-სამრეწველო კომპლექსია, სადაც სატანკო, ჯავშანტრანსპორტიორების, ქვემეხების, ჯავშანტექნიკის სარემონტო და სხვა ქარხნებია გაერთიანებული.

კომპანიის საქმიანობაში მთავარი ადგილი ჩინური კონსტრუქციის ჯავშანტექნიკის წარმოებამ დაიკავა. სატანკო ქარხნის პირველი პროდუქცია 59-I მოდელის ტანკები იყო.

პაკისტანში აწყობილ ტანკებს საბაზო მოდელისაგან უმნიშვნელო ცვლილებები განასხვავებდა: შეცვლილი სამიზნეები, ინგლისური წარმოების საკვამლე ყუმბარსატყორცნები და კოშკურის კიჩოზე ნივთების დასაწყობად დადუღებული სპეციალური კალათი.

1982 წლიდან ჩინეთი გაუმჯობესებული 69-II მოდელის ტანკების წარმოებაზე გადავიდა, ხოლო პაკისტანმა მისი (ადგილობრივი აღნიშვნა 69-IIMP) დამზადება 1993 წლიდან დაიწყო.


ძირითადი უახლესი ტანკი Al Khalid-ი

69-ე მოდელის ტანკებს ჰქონდათ ინფრაწითელი პროჟექტორი, ლაზერული მანძილმზომი, სავალი ნაწილის დამცავი ეკრანები და ყველაზე შესამჩნევი სიახლე — ოთხკუთხა გარსაცმში მოთავსებული შეწყვილებული ფარები.

კომპანია HIT-მა 69-IIMP მოდელის დაახლოებით 400 ტანკი გამოუშვა.

85-ე მოდელის ტანკი ჩინური ტანკმშენებლობის გარდატეხის წერტილად ითვლება. ის არის პირველი ჩინური ტანკი, სადაც 125 მმ-იანი გლუვლულიანი ქვემეხი და ქვემეხის დამტენი ავტომატია გამოყენებული.

კოშკურა შედუღებით არის დამზადებული, დასავლური წარმოების ტანკების მსგავსად კიჩოში პატარა ნიშა აქვს.

სპეციალურად პაკისტანისათვის ჩინელმა სპეციალისტებმა ტანკის ორი მოდელი შექმნეს:

85-IIA — ეკიპაჟების მოსამზადებელი სასწავლო ტანკია. აქვს ცეცხლის მართვის ინტეგრირებული სისტემა, რომელიც გასროლის იმიტაციას ახდენს და სროლის ეფექტურობას განსაზღვრავს.

85-IIM (პაკისტანური აღნიშვნა 85-IIAP) — ძირითადი საბრძოლო




მოდერნიზებული ტანკი Al-Zarrar-ი

**Al-Zarrar:** მასა — 45 ტონა, ეკიპაჟი — 4 კაცი, დიზელის ძრავა — 730-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 65 კმ/სთ-ში, შეიარაღება — 125 მმ-იანი ქვემეხი და შეწყვილებული 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, 12,7 მმ-იანი საზენიტო ტყვიამფრქვევი;

ტანკია და ტექნიკურ-ტაქტიკური მახასიათებლებით ჩინური მოდელის იდენტურია.

ტაქსილის ქარხანა 85-IIAP მოდელის ტანკებს თავიდან ჩინური აგრეგატებითა და კვანძებით აწყობდა, მაგრამ სამამულო საწარმოო ბაზის განვითარებამ ჯავშანკორპუსებისა და კოშკურების ადგილზე დამზადების საშუალება მისცა.

არსებული მონაცემებით, პაკისტანის არმიის განკარგულებაში 85-ე მოდელის დაახლოებით 275 ტანკია.

კომპანია HIT-ის საწარმოო პროგრამის მეორე მიმართულებაა მოძველებული ჯავშანტექნიკის მოდერნიზაცია.

პაკისტანის არმიის სატანკო პარკის დიდ ნაწილს 59 მოდელის ტანკები შეადგენს. ამ ტანკების საცეცხლე ძალის ამაღლებაზე, გამავლობისა თუ ჯავშანდაცვის გაუმჯობესებაზე რამდენიმე წელი დაიხარჯა.

ტანკზე მუშაობის პირველ ეტაპზე (1990-97 წლები) სხვადასხვა სახის სიახლე მოისინჯა და ყოველმხრივი შემოწმების შემდეგ, 1998-2003 წლებში სამუშაოთა მეორე ეტაპი დაიწყო.

2000 წელს მოდერნიზებული ტანკის Al-Zarrar-ის პირველი საჯარო დემონსტრირება მოხდა, ხოლო 2004 წლის 26 თებერვალს ქვეყნის პრეზიდენტის ფერვეზ მუშარაფის მონაწილეობით არმიას განახლებული პაკისტანურ-ჩინური 80 „ალ-ზარარი“ გადაეცა.

პაკისტანელმა სპეციალისტებმა ტანკებს საფუძვლიანი მოდერნიზაცია ჩაუტარეს — შეიცვალა ძრავა-ტრანსმისია, შეიარაღება, ცეცხლის მართვის სისტემა, ჯავშანდაცვა და სხვ.

ტანკზე დაყენებულია 125 მმ-იანი გლუვლულიანი რუსული 2A46-ის ჩინური ულიცენზიო ანალოგი, მაგრამ ავტომატურად დამტენი მექანიზმის გარეშე.

აქვს ფრანგული ცეცხლის მართვის სისტემა, სადაც გაერთიანებულია მეთაურისა და მემიზნის სტაბილიზებულ-კომბინირებული სამიზნეები თბოვიზორიანი არხითა და ლაზერული მანძილმზომით, საბორტო ციფრულ-ბალისტიკური გამომთვლელი, ორსიბრტყიანი სტაბილიზატორი და ატმოსფერული გადამწოდი.

ტანკის კორპუსი, კოშკურის შუბლი სახურავთან ერთად, ჩინური წარმოების დინამიკური დაცვის ელემენტებით არის დაფარული. გვერდებზე საბორტო რეზინქსოვილიანი დამცავი ეკრანებია დაყენებული.

გაუმჯობესდა დამოუკიდებელი ტორსიონული დაკიდების სისტემა.

პაკისტანი მსგავს მოდერნიზაციას სხვა ქვეყნებსაც სთავაზობს, სადაც საბჭოთა T-54/T-55-ები ან ჩინური 59 მოდელის ტანკები სამსახურს ისევ განაგრძობს.

განვითარების მომდევნო ეტაპზე პაკისტანის ტანკმშენებლობა ლიცენზირებული ტექნიკის წარმოებიდან ერთობლივ პროექტებზე გადავიდა და 1988 წელს ძირითადი საბრძოლო ტანკის საპროექტო სამუშაოებში ჩინური კომპანია NORINCO და პაკისტანური Heavy Industries Taxila გაერთიანდა.

პროექტირებისას NORINCO-მ ბაზად სერიულ წარმოებაში მყოფი საკუთარი კონსტრუქციის 90-II მოდელი გამოიყენა. შეინარჩუნა ტრადიციული საბჭოთა კომპონირების სქემა და პაკისტანის მოთხოვნათა გათვალისწინებით კონსტრუქციაში ცვლილებები შეიტანა.

ჩინეთში დამზადებული პროტოტიპები პაკისტანს გამოსაცდელად 1991 წლის აგვისტოში გადაეცა.

გამოცდა 1992 წელს დაიწყო და 1998 წლის ზაფხულში დასრულდა. სამხედროებმა ტანკი მოიწონეს და უკრაინული წარმოების დიზელისძრავიანი Al-Khalid-ი არმიამ შეიარაღებაში მიიღო.

2000 წელს კომპანია HIT-მა 15 „ალ-ჰალიდი“ გამოუშვა და საცდელი ექსპლუატაციისათვის საარმიო ქვედანაყოფებს გადასცა.

გამოცდის ამ ეტაპზე მთელი ყურადღება კონსტრუქციის გაუმჯობესებასა და ძრავის ცხელი კლიმატური პირობებისათვის ადაპტირებაზე გადავიდა.

„ალ-ჰალიდს“ ჩინური „თანამოძმისაგან“ უფრო დაბალი სილუეტი, რამდენ-

პაკისტანში აწყობილი ჯავშანტრანსპორტიორი Talha



ეროვნული ბიბლიოთეკა

იმე გარეგნული დეტალი და კონსტრუქციული თავისებურებები განასხვავებს.

პაკისტანურ ტანკში გამოყენებულია ერთ ბლოკში გაერთიანებული ოპოზიტური, ცილინდრების ჰორიზონტალური განლაგების მქონე 6ТД-2 ტიპის დიზელის ძრავა და ავტომატური ტრანსმისია. ამის გამო კიჩოს ნაწილი უკრაინულ T-84-ს ძალიან დაემსგავსა.

ჯავშანი მრავალშრიანია და კორპუსი, კოშკურა და კოშკურის უკანა ნაწილზე დამაგრებული კალათი დაკიდებული დინამიკური დაცვის ელემენტებით არის დაცული.

სავალი ნაწილის დასაცავად სპეციალური გვერდითი ეკრანებია გამოყენებული.

გარედან ტანკი დაფარულია სპეციალური საღებავით, რომელმაც მოწინაალმდეგის ინფრაწითელ სხივებზე მომუშავე აღმომჩენი აპარატურის მუშაობა უნდა გააძნელოს.

ცეცხლის მართვის სისტემა ფრანგული წარმოებისაა და მასში გაერთიანებულია: მეთაურის პანორამული სამიზნე, მემიზნის კომბინირებული სამიზნე თბოვიზორით (ორივე სამიზნე აღჭურვილია ლაზერული მანძილმზომით და სტაბილიზატორები აქვს), მართვის პანელი, შეარაღების ორსიბრტყიანი სტაბილიზატორი, ციფრული ბალისტიკური გამომთვლელი და ატმოსფერული გადამწოდები.

შეუძლია მოძრაობის დროს რამდენიმე სამიზნეს თანხლება გაუკეთოს და თბური სისტემის დახმარებით დამოუკიდებლად ღამითაც იმოქმედოს.

აქვს საბრძოლო მართვის კომპლექსური სისტემა, რომელიც ტაქტიკურ მდგომარეობასა და მოწინააღმდეგის სამიზნეებზე მონაცემთა გაცვლას უზრუნველყოფს.

ტანკის შეიარაღება ჩინური წარმოების 125 მმ-იანი გლუვლულიანი ქვემეხისა და ორი ტყვიამფრქვევისაგან შედგება. ქვემეხი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტებით სროლაზეც არის გათვლილი.

**Al Khalid**: მასა – 47 ტონა, ეკიპაჟი – 3 კაცი, დიზელის ძრავა – 1200-ცხ.ძალიანი, სიჩქარე – 72 კმ/სთ-სი, სვლის მარაგი – 450 კმ, შეიარაღება — 125 მმ-იანი ქვემეხი და შეწყვილებული 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, 12,7 მმ-იანი საზენიტო ტყვიამფრქვევი;

გამოშვებული ტანკების ზუსტი რაოდენობა უცნობია, სავარაუდოდ, 20-50 ერთეულს შეადგენს.

2006 წლიდან მუშაობა „ალ-ჰალიდს" მეორე მოდელზე მიმდინარეობს და მისი დასრულება 2012 წლისათვის არის მოსალოდნელი.



დაჯავშნული ავტომობილი Mohafiz-ი

ტანკს ახალი კონსტრუქციის კოშკურა, მოდერნიზებული დინამიკური დაცვა და უფრო ძლიერი 1500-ცხ.ძალიანი დიზელის ძრავა აქვს.

125 მმ-იანი ქვემეხიდან სროლის სიჩქარე წუთში 9 გასროლამდე მოიმატებს და საბრძოლო მარაგი ახალი თაობის ჭურვებით დაკომპლექტდება.

ტანკის ცალკეული ელემენტები ჩინური 99-ე მოდელიდან არის აღებული, ხოლო აღჭურვაში მთავარი ადგილი უკრაინულმა და ფრანგულმა აპარატურამ დაიკავა.

ოპტიკურ-ელექტრონული უკუქმედების უკრაინული კომპლექსი Varta ინფრაწითელი, საკვამლე და აეროზოლური დაბრკოლებებისგან შედგება და ტანკისკენ წამოსული მართვადი რაკეტული ჭურვის ტრაექტორიიდან აცდენას იწვევს, ხოლო ლაზერულ თვითდამიზნებად ქობინებს, მანძილმზომებს თუ სამიზნეებს ინფრაწითელი დაბრკოლებებითა და კვამლის ღრუბლებით დაბრკოლებებს უქმნის.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ ტანკისათვის პაკისტანელმა მეცნიერებმა სამამულო წარმოების ჯავშანი შექმნეს.

ტანკში გამოყენებულია ფრანგული ფირმა Sagem-ის თბოვიზორები და ცეცხლის მართვის სისტემა.

პაკისტანის არმიაში ძირითადი ტანკის ერთ-ერთი ვაკანსია უკრაინაში დამზადებულმა T-80UD-მ დაიკავა.

1994-95 წლებში ტანკმა პაკისტანში გამოცდის ციკლი გაიარა და ტენდერი მოიგო. 1996-99 წლებში უკრაინამ პაკისტანს 650 მილიონ დოლარად ღირებული დიზელისძრავიანი 320 ძირითადი საბრძოლო ტანკი T-80UD მიაწოდა.

საბჭოთა პერიოდში შექმნილი T-80 აირტურბინიანი ძრავათი იყო აღჭურვილი და ექსპლუატაციისას, გან-



ქვეითთა საბრძოლო მანქანა Al-Hamza



დაჯავშნული საევაკუაციო მანქანა Al-Hadeed-ი

საკუთრებით ცხელ კლიმატში, ტექნიკური ხარვეზები ჰქონდა, ამიტომაც გამოჩნდა ტანკის დიზელისძრავიანი ვერსია.

სახმელეთო ჯარების მოტორიზებული ქვედანაყოფები პაკისტანში დამზადებული ამერიკული M113 ტიპის ჯავშანტრანსპორტიორებითა და მის ბაზაზე შექმნილი სხვადასხვა დანიშნულების თვითმავალი ტექნიკით არის აღჭურვილი.

M113 მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ჯავშანტრანსპორტიორია. 1989 წლის დასაწყისში პაკისტანის მთავრობამ კომპანია United Defence LP-გან A2Mk1 მოდელის წარმოების ლიცენზია შეიძინა.

საწყის ეტაპზე M113-ჯავშანტრანსპორტიორი ამერიკული მაკომპლექტებელი ნაწილებითა და მასალებით დამზადდა.

პაკისტანელმა სპეციალისტებმა ალუმინის შენადნობის ფურცლებისაგან ჯავშანტრანსპორტიორის კორპუსის შედუღებით დამზადება აითვისეს და კონსტრუქციაში უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანეს.

ჯავშანტრანსპორტიორთა მომდევნო პარტიისათვის მაკომპლექტებელთა შეძენის დროისთვის ვაშინგტონმა ბირთვული პროგრამის გამო პაკისტანს სანქციები დაუწესა. ამიტომაც შემუშავდა M113-ის ბაზაზე ქვეითთა საბრძოლო მანქანის შექმნის პროგრამა და 2002 წლის ყარაჩის სამხედრო გამოფენაზე კომპანია HIT-მა საკუთარი კონსტრუქციის Talha წარადგინა.

„ტალჰა“ გარეგნულად M113-ს ჰგავს, მაგრამ ამერიკული ძრავა-ტრანსმისია შეცვლილია და მისი ადგილი უკრაინულმა დიზელის ძრავა УТД-20-მა დაიკავა.

ჯავშანდაცვის გასაძლიერებლად საწვავის დამატებითი ავზები კორპუსზე გარედან არის დაკიდებული. ასევე გათვალისწინებულია კორპუსზე სხვა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

დასხვა სახის ჯავშანფილების დასაყენებელი სპეციალური სამაგრები.

**Talha**: მასა — 12,5 ტონა, ეკიპაჟი – 2-3 კაცი და დესანტი - 10 კაცი, დიზელის ძრავა – 275-ცხ. ძალიანი ან 330-ცხ.ძალიანი, სიჩქარე – 70 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი – 428 კმ, შეიარაღება — 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი;

ამერიკული ჯავშანტრანსპორტიორის შასის კომპანია HIT-ის სპეციალისტებმა მრავალმხრივი დანიშნულება მოუძებნეს და სხვადასხვა სახის თვითმავალ საბრძოლო საშუალებათა დასამზადებლად იყენებენ:

Maaz-ი — ტანკსაწინააღმდეგო თვითმავალი დანადგარი. აღჭურვილია სამამულო წარმოების ტანკსაწინააღმდეგო კომპლექს Baktar-Shikan-ით (Cinuri HJ-8-ის ანალოგიურია);

Mouz-ი — თვითმავალი საზენიტო-სარაკეტო დანადგარი. შასიზე დამონტაჟებულია „მიწა-ჰაერის" კლასის შვედური სარაკეტო კომპლექსი RBS 70;

Sakb-ი – საკომანდო-სამეთაურო მანქანა;

Al-Hamza – ქვეითთა საბრძოლო მანქანა. აღჭურვილი 25 მმ-იანი ჩინური ქვემეხით;

Saad-ი – პერსპექტიული ქვეითთა საბრძოლო მანქანა. სადესანტო განყოფილების სახურავის კიდეებს გვერდული დახრა აქვს და მასში სამ-სამი ამბრაზურა არის დატანებული. შეიარაღებულია 14,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევით. გამოყენებულია 350-400-ცხ.ძალიანი დიზელის ძრავა;

Al-Hadeed-ი – დაჯავშნული საევაკუაციო მანქანა. შასიზე დამონტაჟებულია ამწე მექანიზმი და 20 ტონამდე მასის დაზიანებული ტექნიკის ევაკუირება შეუძლია;

Al-Qaswa – საწვავის, საბრძოლო მასალებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა ტრანსპორტიორია. საჭიროების შემთხვევაში შასი-პლატფორმა რადარის, სამაცივრო დანადგარის, რადიოსადგურის ან სამედიცინო მოდულის დასაყენებლად გამოდგება;

პაკისტანში სამამულო წარმოების ბორბლებიანი ჯავშანტექნიკის შექმნა პირველად 80-იანი წლების ბოლოს სცადეს, როცა არმიის საჭიროებისათვის მცირე რაოდენობის კომერციული დანიშნულების სატვირთო ავტომობილები (4X2) დაიჯავშნა.

Cheeta სახელის მქონე ამ ავტომობილებზე ჯავშანფურცლებით მძღოლის კაბინა და ძარის მხოლოდ ბორტები დაიფარა.

ძარაზე ტანკსაწინააღმდეგო ან კომპაქტური საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები, ხოლო ზოგიერთზე კი 14,5 მმ-იანი ტყვიამფრქვევები დაიდგა.



ჯავშანტრანსპორტიორი M-113

ავტომობილები ძირითადად სასწავლო დანიშნულებას ასრულებდა და არმიული ჯავშანტექნიკისათვის მძღოლებს ამზადებდა.

მიღებული გამოცდილება კომპანია HIT-მა ბორბლებიანი დაჯავშნული ავტომობილ Mohafiz (4X4)-ის შესაქმნელად გამოიყენა.

ჯავშანავტომობილების პირველი პარტია Toyota Land Cruiser-ის შასიზე იყო აწყობილი და მისი დემონსტრირება 2000 წლის ნოემბერში შედგა.

სერიულ წარმოებას 2003 წელს გადაეცა და Sasad Land Rover Defender-ია გამოყენებული.

კორპუსი ალუმინის შენადნობის ფურცლებისაგან შედუღებით არის დამზადებული და სროლისათვის 10 ამბრაზურა აქვს დატანებული.

მთავარი საცეცხლე წერტილი — კორპუსზე დაყენებული და ტყვიამფრქვევით აღჭურვილი წრიულად მბრუნავი კოშკურაა.

„მოჰაფიზი" სპეცდანიშნულების ქვედანაყოფებისა და საპოლიციო ძალებისათვის არის განკუთვნილი.

**Mohafiz**-ი: მასა – 3,957 ტონა, ეკიპაჟი – 2 და დესანტი — 8 კაცი, დიზელის ძრავა – 110-ცხ.ძალიანი, შეიარაღება — 7,62 მმ-იანი ან 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი;

მიუხედავად იმისა, რომ პაკისტანი ძირითადად ლიცენზირებულ და არცთუ თანამედროვე ჯავშანტექნიკას აწარმოებს, სხვა ქვეყნების დაინტერესება მაინც შეიმჩნევა და ტექნიკის პატარ-პატარა პარტიებსაც ყიდის. მაგალითად, პაკისტანური ქვეითთა საბრძოლო მანქანა მეზობელი ერაყის სამხედროებს მოეწონათ და არმიისათვის 44 „ტალჰა" შეიძინეს.

*შალვა გოგიბერიძე*



უზრუნველყოფის სატრანსპორტო საშუალება Al-Qaswa

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ჰეზბოლა"
# ალაჰის რჩეული შიიტი შაჰიდები





„ჰეზბოლას" გენერალური მდივანი ჰასან ნასროლა

„ჰიზბუ-ლ-ილლაჰი", ანუ „ღვთის პარტია", რომელსაც უფრო ხშირად „ჰეზბოლას" სახელით მოიხსენიებენ, მსოფლიოს ყველაზე მრავალრიცხოვანი შიიტური სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფებაა. მას აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, ისრაელში, ნიდერლანდებში, ეგვიპტეში, კანადასა და ავსტრალიაში ტერორისტულ გაერთიანებად მიიჩნევენ, თუმცაღა სხვა ქვეყნებში „ჰეზბოლას" წარმომადგენლობები ან შვილობილი ორგანიზაციები ხშირად ლეგალურადაც კი არსებობენ.

„ჰიზბუ-ლ-ილლაჰი" ლიბანური დაჯგუფებაა, მაგრამ რადგანაც შიიტურია, არაბული სამყაროს ფარგლებს გარეთ უმეტესად სპარსულ ყაიდაზე, „ჰეზბოლად" იწოდება. მსგავსი სახელით ცნობილია აგრეთვე თურქ ისლამისტ-რადიკალთა (სუნიტთა) ორგანიზაციაც — „ჰიზბუ-ლ-ილლაჰი თურქი", ამიტომ არაბულ ქვეყნებში „ჰეზბოლას" აღსანიშნავად ძირითადად გამოიყენება სახელწოდება „ჰიზბუ-ლ-ილლაჰი ლუბნანი", ანუ „ღვთის ლიბანური პარტია". საინტერესოა ისიც, რომ თვით ცნება „ჰიზბუ-ლ-ილლაჰი" ყურანიდანაა ამოღებული — „ღვთის პარტია აუცილებლად გაიმარჯვებს", — წერია მე-5 სურის 56-ე აიაში.

დღეს „ჰეზბოლა" მთელ ახლო აღმოსავლეთში ირანის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი მოკავშირეა; ამიტომაც, ცხადია, დასავლეთს მეტად აშფოთებს ის გარემოება, რომ ხსენებული დაჯგუფება ლიბანის გარდა, სხვა ისლამურ ქვეყნებშიც იკიდებს ფეხს, მფარველობს და აფინანსებს სხვადასხვა სახის ისლამურ-რადიკალურ გაერთიანებებს, მორწმუნეებს პერიოდულად მოუწოდებს „წმინდა ომისკენ" და ა.შ. ორგანიზაციის მიზანია ლიბანში ირანის მსგავსი ისლამურ-შიიტური რეჟიმის დამყარება, რაც მთელი მსოფლიოს გამუსლიმანებისათვის საწყის ეტაპად ესახებათ.

## როგორ შეიქმნა „ღვთის პარტია"

გასული საუკუნის ბოლომდე, ლიბანი მთელ არაბულ სამყაროში ერთადერთი სახელმწიფო იყო, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას არა მუსლიმანები, არამედ ქრისტიანი-მარონიტები შეადგენდნენ; მუსლიმანთაგან კი აქაც ისევე, როგორც სხვაგან, სუნიტები ჭარბობდნენ. მრავლად ცხოვრობდნენ დრუზებიც, ხოლო შიიტთა რაოდენობა სათვალავში ჩასაგდებიც არ იყო. ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე ამ მიმდინარეობის წარმომადგენლები გავლენას ვერ ახდენდნენ.

70-იანი წლების დასაწყისში ლიბანის ტერიტორიაზე აუარებელი პალესტინელი ლტოლვილი გადავიდა. ადრე ისინი თავს, ძირითადად, იორდანიას აფარებდნენ, თუმცა მას შემდეგ, რაც იასირ არაფატმა ქვეყნის შეიარაღებული ძალების რამდენიმე მაღალჩინოსანთან ერთად მეფე ჰუსეინის ტახტიდან ჩამოსაგდებად გადატრიალების მოწყობა დააპირა, იორდანიიდან ყველა პალესტინელი გააძევეს. 1973 წელს ლიბანის ხელისუფლებამ ეს ხალხი დიდსულოვნად შეიფარა და მათ შეიარაღებული ძალების შექმნის უფლებაც კი მისცა. მალე ლიბანის სამხრეთში გაჩნდა „პალესტინის გათავისუფლების არმიის" ბანაკები, ამან კი, როგორც მოსალოდნელიც იყო, დიდად შეაშფოთა ისრაელი.

სამხრეთ ლიბანში, ძირითადად, ქრისტიანები ცხოვრობდნენ და ებრაელთა აღშფოთებას ისინიც იზიარებდნენ. საქმე ის იყო, რომ პალესტინელები არ ემორჩილებოდნენ ლიბანურ კანონებს და რაკი ხელისუფლების დიდი მხარდაჭერით სარგებლობდნენ, ისე იქცეოდნენ, როგორც სურდათ. 1975 წელს ლიბანელ ქრისტიანთა რადიკალური პარტიის — „ალ-კატაიბის" შეიარაღებულ რაზმებსა და პალესტინელებს შორის პირველი შეტაკებებიც მოხდა. იასირ არაფატმა, რომელსაც ბეირუთში პასუხი მოსთხოვეს, კონფლიქტის გაღვივებაში, ტრადიციულად, ისრაელი დაადანაშაულა და განაცხადა, რომ „პალესტინის გათავისუფლების არმიის" მებრძოლები ებრაელებს თავისას არ გაატანინებდნენ. ერთი სიტყვით, ლიბანში რელიგიური დაპირისპირება გაჩაღდა, რაშიც იმწამსვე ჩაერივნენ ისრაელი და სირია — პირველმა მხარი ქრისტიან-მარონიტებს დაუჭირა, მეორემ კი მუსლიმანებს.

დაპირისპირების დაწყებისას ქრისტიანთა უპირატესობა აშკარა იყო — ისრაელისა და მის ზურგს უკან მდგარი დასავლეთის ქვეყნების წყალობით, მათ არც შეიარაღება აკლდათ და არც საერთაშორისო მხარდაჭერა, მიუხედავად იმისა, რომ რიცხოვნობით დიდად ჩამორჩებოდნენ მუსლიმანებს — ამ უკანასკნელთა საერთო რაოდენობა 70-იანი

ეროვნული

წლების ბოლოს 45 ათას მებრძოლს აღწევდა, მაშინ როცა ქრისტიანთა შეიარაღებულ ძალებში ირიცხებოდა სულ რაღაც 15 ათასამდე მებრძოლი. როგორც წესი, მუსლიმან მებრძოლთა შორის სუნიტები ჭარბობდნენ, თუმცაღა შიიტებსაც ჰყავდათ მოხალისეთა ბრიგადები, რომლებიც ბრძოლებში დიდად ვერაფრით გამოირჩეოდნენ.

სწორედ ამ დროს — 1979 წელს — ირანში მოხდა ისლამური რევოლუცია; შაჰის პროდასავლური რეჟიმი დაემხო და ხელისუფლება უმაღლესი სასულიერო ლიდერის, აიათოლა რუჰოლა მუსავი ხომეინის ხელში მოექცა; ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე მოვლენებს ხომეინი მუდამ დიდ ყურადღებას უთმობდა და ისრაელის სახელმწიფოს არსებობასაც, ცხადია, მუსლიმანთათვის კატეგორიულად მიუღებლად თვლიდა. ირანში რევოლუციის გამარჯვებამ მას საშუალება მისცა, უფრო აქტიურად გამოხმაურებოდა ლიბანის კონფლიქტსაც — ხომეინიმ 1982 წელს საჯაროდ დაგმო ლიბანში ისრაელის არმიის შეჭრა და განაცხადა, რომ ისლამური ირანი ყველაფერს იღონებდა ლიბანელ მუსლიმანთა დასახმარებლად. სხვათა შორის, სწორედ ამავე დროს ირანსა და ერაყს შორის ომი მიმ-



დინარეობდა; ირანულ არმიას ერაყის შიიტური პროვინციები ეკავა და ირანის ლიდერიც ხსენებული განცხადებით ისლამურ სამყაროში პოზიციის უფრო მეტად განმტკიცებას ცდილობდა.

ხომეინის ჩანაფიქრით, პირველ ეტაპზე აუცილებელი იყო ლიბანის კონფლიქტში მონაწილე შიიტური შეიარაღებული ძალების ორგანიზება და აღჭურვა, პარალელურად კი ქვეყანაში შიიტთა რაოდენობაც უნდა გაზრდილიყო. „ლიბანური გეგმის“ აღსრულება ითავა ხომეინის მარჯვენა ხელმა — იმამმა საიედ ალი ჰოსეინი ხამენეიმ, ვინც რევოლუციის დროს ისლამურ შეიარაღებულ ძალებს უშუალოდ მეთაურობდა, ხოლო 1981 წელს ირანის პრეზიდენტი გახდა. ხამენეი დაუკავშირდა ლიბანელ შიიტთა დაჯგუფებებს და მათი მეშვეობით ქვეყანაში ისლამური რევოლუციის ექსპორტირებას შეუდგა.

იმხანად ბრძოლის ველად ქცეულ ლიბანში მოქმედებდა შიიტთა საქველმოქმედო გაერთიანება „აზ-ზაქათი“ („მოწყალება“), რომლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახლდათ შეიხი ჰუსეინ ფადლალა — წარმოშობით ერაყელი. გაერთიანებას მოწყობილი ჰქონდა საველე ჰოსპიტლები, უპატრონო ბავშვთა თავშესაფრები და შიიტური რელიგიური






სკოლები — ჰავზები. გაერთიანების აქტივისტები ომისგან დაზარალებულ მუსლიმანებს უსასყიდლოდ ეხმარებოდნენ და თან, როგორც წესი, შიიზმს უქადაგებდნენ. ჰუსეინ ფადლალამ, მწირი დაფინანსების მიუხედავად, მაინც შეძლო ბევრი ლიბანელის შიიტად მოქცევა და, ბუნებრივია, მიიპყრო ხამენეის ყურადღება.

გასული საუკუნის 80-იანი წლების შუახანებში, როცა ირან-ერაყის ომი დასასრულს უახლოვდებოდა, შეიხი ფადლალა საიდუმლოდ ჩავიდა თეირანში და

ორგანიზაცია თავის გარშემო მრავალ ადამიანს იკრებს. მათ შორის ქალები და ბავშვებიც არიან





შეიხი ჰუსეინ ფადლალა



„ჰეზბოლას“ თავისი მებრძოლები ჰყავს

ხამენეის შეხვდა. ამ უკანასკნელმა მას ფინანსური დახმარება აღუთქვა და თან ურჩია, ლიბანელ შიიტთა ბრძოლას სათავეში ჩასდგომოდა. შეიხ ჰუსეინ ფადლალას ეს წინადადება მართლაც ჭკუაში დაუჯდა და ლიბანში დაბრუნებისთანავე შიიტების დარაზმვას შეუდგა — მან „აზ-ზაქათი“ საერთაშორისო ორგანიზაციად გამოაცხადა და ირანის მხარდაჭერით ლიბანში მიიწვია ის ერაყელი შიიტები, რომლებიც ირან-ერაყის ომში ირანელების მხარეზე იბრძოდნენ. ამ დროისათვის ლიბანელი მუსლიმანები ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებს აკონტროლებდნენ და „აზ-ზაქათმაც“ სწორედ იქ მოაწყო „სარეაბილიტაციო ბანაკები“ — მომავალი სამხედრო ბაზები შიიტური შეიარაღებული დაჯგუფებისათვის.

იმხანად, შეიხ ჰუსეინ ფადლალას საქმიანობას ტერორიზმთან საერთო არაფერი ჰქონდა — ის შიიზმს ქადაგებდა, იკრებდა ახალმოქცეულებს და სულ რამდენიმე წელიწადში, ლიბანში ძლიერი შიიტური საზოგადოება შექმნა. რა თქმა უნდა, ამ ყველაფერს მან ირანელთა დახმარებით მიაღწია, მაგრამ ირანის ისლამური რევოლუციის გამარჯვებამ მთელ მუსლიმანურ სამყაროში შიიტური იდეები თავისთავადაც გახადა პოპულარული. შეიხმა ფადლალამ და მისმა მხარდამჭერებმაც სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინეს და კარგი შედეგიც მიიღეს.

შეიხ ფადლალას ინიციატივით, 1985 წელს, ლიბანში გამოქვეყნდა ე.წ. „ღვთის პარტიის მანიფესტი“, რომელშიაც ეწერა, რომ ლიბანელ მუსლიმანებს აუცილებლად უნდა ეცხოვრათ ისე, როგორც ამას შარიათი და ყურანი მოითხოვდა: „ჩვენ, ვინც თავს მუსლიმანებად მივიჩნევთ, უნდა გვახსოვდეს ერთი რამ: თუ ისლამის ნორმებს არ დავიცავთ ყველგან და ყველაფერში, სულიერად დავეცემით... ყოველმა მუსლიმანმა ისე უნდა იცხოვროს, რომ ღვთის პარტიის წევრად იწოდებოდეს. ეს უდიდესი პატივია და მხოლოდ იმათ ერგება, ვინც თავის თავს უძღვნის ალაჰს“, — ასე იწყებოდა მანიფესტი, რომლის სათაურიდან გამომდინარე, ლიბანში შეიხ ფადლალას მომხრეებს „ჰიზბუ-ლ-ილლაჰი“, ანუ „ჰეზბოლა“ უწოდეს და ახალ შიიტურ სექტად მიიჩნიეს.

1988 წლისათვის, როდესაც ლიბანის სამოქალაქო ომი დასასრულს მიუახლოვდა, ჰუსეინ ფადლალა ქვეყანაში ისლამური რესპუბლიკის დამყარების აუცილებლობაზე ალაპარაკდა. ის ირწმუნებოდა, რომ მხოლოდ ამგვარად იყო შესაძლებელი ებრაელი და ამერიკელი მასონებისაგან თავდაცვა; შიიტი შეიხი, საიედ ალი ჰოსეინი ხამენეის (რომელიც უკვე ირანის სულიერი წინამძღოლი გამხდარიყო) მსგავსად, თვლიდა, რომ ისრაელის სახელმწიფო უნდა გაუქმებულიყო, ყველა პალესტინელი ლტოლვილი შინ უნდა დაებრუნებინათ და ყოფილი ბრიტანეთის პალესტინის მთელ ტერიტორიაზე საერთო-სახალხო რეფერენდუმი ჩაეტარებინათ იმის გადასაწყვეტად, თუ როგორ უნდა გაეყოთ მიწები ებრაულ და არაბულ თემებს შორის. ამავდროულად, ყველა იმ რეპატრირებულ ებრაელს, ვინც 1948 წლამდე ისრაელში არ ცხოვრობდა, შეიხ ფადლალას აზრით, პალესტინა უნდა დაეტოვებინა.

ლიბანში ისლამური რესპუბლიკის დამყარების მიზნით შეიხ ფადლალას ლოცვა-კურთხევით შეიქმნა „ისლამური ჯიჰადის საზოგადოება“ („აჯ-ჯამაა ალ-მუჯაჰედინ ალ-ისლამიია“), რომელმაც ქრისტიანი-მარონიტებისა და მათი მომხრეების (უპირველეს ყოვლისა, ისრაელის) წინააღმდეგ ბრძოლა ტერორისტული მეთოდებით დაიწყო. შიიტი მებრძოლები გამოირჩეოდნენ უკიდურესი სისასტიკით, ბრწყინვალე ორგანიზებითა და სამხედრო საქმის კარგი ცოდნით. ამავდროულად, ლიბანშივე გამოჩნდა სხვა შიიტური ტერორისტული ორგანიზაცია — „ისლამური წინააღმდეგობა“ („ალ-მუკავამა ისლამიია“); მას ებრაულმა სპეცსამსახურებმა „ტელეფონის ტერორისტები“ შეარქვეს, რადგანაც ტერაქტის მსხვერპლთ წინასწარ აფრთხილებდნენ ტელეფონით. 1989 წელს, როცა ლიბანში სამოქალაქო ომი შეწყდა და მხარეთა განიარაღების პროცესი დაიწყო, ზემოთ ხსენებულმა შიიტურმა დაჯგუფებებმა იარაღის დაყრაზე უარი განაცხადეს. ამ გადაწყვეტილების შესახებ კი შეიხმა ფადლალამ ლიბანის ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში ამგვარი კომენტარი გააკეთა: „ვიდრე ისრაელი არსებობს, ომი არ შეწყდება... ღვთის პარტია აუცილებლად გაიმარჯვებს!“

მოგვიანებით, მთელ ახლო აღმოსავლეთში ყველასათვის ცნობილი გახდა, რომ „ისლამური ჯიჰადის ორგანიზაცია“ და „ისლამური წინააღმდეგობა“ სინამდვილეში ერთი დაჯგუფების — „ჰეზბოლას“ საბრძოლო ფსევდონიმები იყო. 1990 წელს შეიხმა ჰუსეინ ფადლალამ ოფიციალურად განაცხადა, რომ „ჰეზბოლა“ ლიბანის პოლიტიკაში მოსვლას გეგმავდა. იმხანად შიიტ შეიხს მთელი ქვეყნის მასშტაბით უკვე უამრავი მომხრე ჰყავდა და საპარლამენტო არჩევნების მოგება არც გასჭირვებია. ასე გადაიქცა „ჰეზბოლა“ ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ ძალად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### „ჰეზბოლას" სტრუქტურა, ტაქტიკა, იდეოლოგია და ძირითადი ამოცანები

„ჰეზბოლას" თანამედროვე სტრუქტურა მეტად რთულია. ორგანიზაცია შედგება მრავალი ნახევრად დამოუკიდებელი კომპონენტისგან და მის მეთაურად ალაჰი ითვლება. ალაჰის ნების გამომხატველია აიათოლა — შიიტების უმაღლესი სასულიერო ლიდერი, შემდეგ კი ვალი ალ-ფაკიჰი, ანუ შარიათის მცოდნე იმამი. ვალი ალ-ფაკიჰს ემორჩილება „ჰეზბოლას" მმართველობის მთავარი ორგანოს — „ისლამური საბჭოს" („აშ-შურა ალ-ისლამიია") ხელმძღვანელი (1992 წლიდან ეს პოსტი უკავია ჰასან ნასრალას).

ისლამურ საბჭოს, რომელიც 7 წევრისგან შედგება, ექვემდებარება ცენტრალური საბჭო („ალ-მაჯლის ალ-მარქაზი"), რომელიც განაგებს თავდაცვისა და პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ კომიტეტებს. თავდაცვის კომიტეტში შედის რამდენიმე შეიარაღებული დაჯგუფება — „ისლამურ-რევოლუციური ფრონტი", „ისლამური ჯიჰადი", „ისლამური წინააღმდეგობა"... აგრეთვე, „იმამ მაჰდის სკაუტების" სახელით ცნობილი ახალგაზრდული პარამილიტარული გაერთიანება, სახმელეთო და სამხედრო-საჰაერო ძალები. პოლიტიკურ-ადმინისტრაციული კომიტეტი მოიცავს პოლიტბიუროს, ჯიჰადის საბჭოს, იურიდიულ საბჭოს, აღმასრულებელ საბჭოს და საპარლამენტო საბჭოს.

აღმასრულებელ საბჭოს ექვემდებარება 8 გაერთიანება: სოციალური, ისლამური ჯანმრთელობის დაცვის, საინფორმაციო, პროფკავშირული, საფინანსო, საერთაშორისო ურთიერთობათა, საგანმანათლებლო და უსაფრთხოებისა; ასევე ორი საქველმოქმედო ორგანიზაცია: „ალ-ბაით ალ-მალი", რომელიც „ჰეზბოლას" ინვესტიციებს განაგებს და „ისლამური ჯიჰადის მხარდამჭერთა საქველმოქმედო ორგანიზაცია", რომლის მთავარ მოვალეობას შემოწირულობის შეგროვება შეადგენს.

აღმასრულებელი საბჭოს საინფორმაციო გაერთიანება მართავს სატელიტურ ტელერადიოკომპანია „ალ-მანარს" („შუქურა") და რადიოსადგურს „ანნური" („შუქი"), რომლებიც არაბულის გარდა, 23 ენაზე (მათ შორის — რუსულადაც) მაუწყებლობენ. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ აშშ რადიოსადგურ „ანნურს" „განსაკუთრებით საშიში ფსიქოლოგიური ზეწოლის საშუალებად" მიიჩნევს. ლიბანში ამერიკის საელჩომ 1988 წლიდან (მაშინ დაიწყო მაუწყებლობა რადიოსადგურმა) დღემდე ბეირუთს 50-ზე მეტი საპროტესტო ნოტა გაუგზავნა ერთადერთი მოთხოვნით — „ანნურისთვის" რეგისტრაცია გაეუქმებინათ, მაგრამ ამაოდ.

„ჰეზბოლას" შეიარაღებულ დაჯგუფებათა საბრძოლო ტაქტიკა დღეს წმინდა პარტიზანულად ვერ ჩაითვლება, რადგან ორგანიზაციას საკმაოდ აქვს მძიმე ტექნიკაც და უახლესი სარაკეტო სისტემებიც, რომელთაც პარტიზანები, როგორც წესი, არ იყენებენ. თუმცაღა, საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ჰეზბოლას" აქტივისტები ქალაქში პარტიზანული ომის დიდოსტატები არიან. 2006 წელს, როცა ისრაელის არმიასა და ხსენებულ ორგანიზაციას შორის შეიარაღებული კონფლიქტი დაიწყო, ებრაელ ჯარისკაცებს ძალიან გაუჭირდათ ლიბანის დასახლებულ პუნქტთა გაკონტროლება — თვით დაბომბილ და მიწასთან გასწორებულ ნანგრევებშიც კი ერთი პარტიზანი მაინც აღმოჩნდებოდა ხოლმე და სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა ისრაელის თავდაცვის ძალებს. რაც შეეხება ტერორს, „ჰეზბოლას" ამ საქმეშიც დიდი გამოცდილება აქვს. ხშირად შაჰიდებად უკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანებს არჩევენ. „ჰეზბოლას" ახლო აღმოსავლეთის თითქმის ყველა ქვეყანაში (რაღა თქმა უნდა, ისრაელის გარდა) აქვს ონკოლოგიური საავადმყოფოები, რომელთა პაციენტები პოტენციურ შაჰიდებად ითვლებიან.

*მიხეილ ლაბაძე*

გაგრძელება იხ. შემდეგ ნომერში



ახლო აღმოსავლეთში ომი არ წყდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ირმებზე მონადირენი"



## აშშ-ის არმიის სადაზვერვო ქვედანაყოფების მოქმედებები ერაყში

2005 წლის ოქტომბერი. ერაყი. ბაიჯი. ამერიკელთა მოწინავე ოპერატიული ბაზა სუმარელა. შტაბ-სერჟანტი ტიმოთი ჰალორანი და მისი რაზმი ყურადღებით აკვირდებოდნენ გზატკეცილს, რომელსაც გასწვრივ მაღალი ძაბვის ელექტროსადენები მიუყვებოდა. ისინი დაღამებას ელოდნენ. გზაზე ამ დროს მოძრაობა არ შეინიშნებოდა. იმის გამო, რომ ჯარისკაცები ერთმანეთთან ლაზღანდარობდნენ, მათ შემხედვარეს ეგონებოდა, რომ ეს დაუდევარი ქცევა უსაქმურობის ბრალი იყო, თუმცა ამ „უდარდელი ჯარისკაცების" ჯგუფი სინამდვილეში პროფესიონალებისაგან შემდგარი რაზმი იყო, რომელიც საბრძოლო ოპერაციისთვის ემზადებოდა.

მზვერავთა ეს რაზმი აშშ-ის არმიის 42-ე ქვეითთა დივიზიის შორი პატრულირების 173-ე ქვედანაყოფის შემადგენელი ნაწილი იყო. ერაყში იგი მიზნობრივ-ტაქტიკურ ჯგუფ „თავისუფლებაში" ირიცხებოდა, სადაც 2005 წლის იანვრიდან უშიშროებისა და სტაბილიზაციის შემანარჩუნებელ სამხედრო ოპერაციებს (სამშობლოში მუდმივი დისლოკაციის ადგილი ამერიკის შტატი როდ-აილენდი) ატარებდა. ამ ოპერაციებს რაზმის მეთაური კაპიტანი მაიკლ მენინგი „შეტევით დაზვერვებს" უწოდებდა. რაზმი თავისი პასუხისმგებლობის ზონაში ქვეითთა ოცეულებთან, დაზვერვის ჯგუფებსა და თითქმის ყველა საარმიო ქვედანაყოფთან თანამშრომლობდა. მათი ძირითადი ამოცანა იყო მოჯანყეების უშუალოდ კომუნიკაციებზე აღმოჩენა და განადგურება. ამისთვის იყენებდნენ ტაქტიკას, რომელსაც პირობითად „ირმების მომწყვდევა" დაერქვა. „მარეკების" როლს ასრულებდნენ მზვერავებთან ერთად მოქმედი სამანევრო ქვედანაყოფები, „ირმებისას" — მოჯანყეები, ხოლო მიზნობრივი ტაქტიკური ჯგუფ „თავისუფლების" ქვედანაყოფები „მონადირეების" როლში გამოდიოდნენ.

მზვერავს განსაკუთრებული თვისებები უნდა ჰქონდეს. „ნადირობაში" მონაწილეობა შორ პატრულირებას, მუდმივ თვალთვალს, მოწინააღმდეგის სავარაუდო მოძრაობის ადგილებში ჩასაფრებით მოქმედებებს და სხვა ფართო სპექტრის ამოცანების გადაწყვეტას მოითხოვს. სამარაში 2005 წლის მარტ-მაისის პერიოდში რაზმის ჯგუფებს ორ-ორი დღე-ღამე თვალმოუხუჭავად უხდებოდათ საფარში ყოფნა. ამიტომაც არის, რომ ამ ქვედანაყოფებში განსაკუთრებული მორალური თვისებების მებრძოლებს უყრიან თავს, ისეთებს, რომლებსაც არა მარტო რისკის გაწევა შეუძლიათ, არამედ მტკიცე ნებისყოფაც აქვთ, არიან ამტანნი და ისეთ გაუსაძლის პირობებში შეუძლიათ დიდხანს ყოფნა, ნორმალური ადამიანი ერთ საათსაც რომ ვერ გაძლებს. მათ თვალთვალის დროს საათობით უხდებოდათ საწრეტ თხრილებში წოლა. გარდა ამისა, რაც ყველაზე მთავარია, მზვერავებმა უნდა გამოიმუშაონ როგორც კოლექტიური, ასევე მარტო მოქმედების უნარიც. ისინი უსიტყვოდ უნდა უგებდნენ ერთმანეთს, რათა საჭიროების შემთხვევაში არა მარტო დააზღვიონ თანამებრძოლი, არამედ მისი გასა-

ტბა ტარ-ტარი, სამარის მახლობლად



ეროვნული ბიბლიოთეკა

კეთებელიც გააკეთონ, თუ ამას ვითარება მოითხოვს. კოალიციური ძალების სარდლობამ არაერთხელ განაცხადა, რომ 173-ე რაზმის მოქმედებები სამარაში მაღალი შედეგიანობით გამოირჩეოდა.

საომარი მოქმედებების დროს რაზმს არაერთხელ უთანამშრომლია 69-ე ჯავშანსატანკო ბრიგადის მე-3 ათასეულთან. ამ დროს მათი პასუხისმგებლობის ზონა იყო მარშრუტი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებნი „ფალუჯის გზას“ უწოდებენ. მაშინ ამ გზაზე ყველაზე მეტი დანაშაული ხდებოდა, რადგან იგი აჯანყებულთა მთავარი სატრანსპორტო არტერია იყო. სამარაში რაზმის მებრძოლები პატრულირებდნენ იმ რაიონში, სადაც მოჯანყეების დიდი აქტივობა შეინიშნებოდა. ერთხელ, როცა მზვერავები მოულოდნელად შეეჩეხნენ მოწინააღმდეგეს, იძულებული გახდნენ იარაღი გამოეყენებინათ. შემდეგ მოულოდნელად ატეხილ ბრძოლაში თითქმის ყველა ქვედანაყოფი ჩაება. მზვერავებმა ამ ბრძოლაში კარგად გამოიყენეს რელიეფი და მოწინააღმდეგე გაანადგურეს.

ბინდდება და მზვერავთა ჯგუფი მოქმედების დაწყების ბრძანებას ელის. როგორც იქნა, დაიძრნენ და გზაზე მტვრის ბული დააყენეს, ისინი უახლოვდებიან მავთულის ღობეს, რომელსაც დაახლოებით 300 მეტრი მანძილი აშორებთ. შუა გზაში სერჟანტი ჰალორანი რაზმს ხრეშიან მონაკვეთზე აჩერებს და დანარჩენების მოახლოებას ელოდება, რათა შემდეგ სწრაფად გადალახონ დარჩენილი მანძილი. მავთულის ღობესთან მზვერავები რამდენიმე წუთით ჩერდებიან და მიწაზე გაწოლილები გარემოს აყურადებენ. რწმუნდებიან, რომ ყველაფერი ნორმალურადაა. გადადიან ღობეზე, შემდეგ გზაზე და სიბნელეში უჩინარდებიან. დაღამდა. ეს კარგია, რადგან სიბნელე მეომრებს მტრის მახვილი თვალისგან დაიფარავს. მიუხედავად ამისა, მათ კარგად იციან, რომ წინ ჩასაფრებული მოსალოდნელი ხიფათიც არსად გამქრალა. რაზმი ვიწრო შარაგზის გასწვრივ მწკრივდება და კვლავ მოძრაობის დაწყებას ელის. ამ დროს კი ისმის მოტორის ხმა და მთელი ჯგუფი ტალახში წვება, სანამ გზაზე სატვირთო მანქანა გაივლის, რათა შემდეგ კვლავ მოკლე გადარბენებით და მოკლე შესვენებებით გააგრძელოს გზა. ეს ტაქტიკა აუცილებელია ერაყში ქალაქებისა და სოფლების სიახლოვეს შეუმჩნევლად გადასაადგილებლად.



## ადგილობრივი პირობების გათვალისწინება

შორი პატრულირების და თვალთვალის რაზმი, ერაყში იძულებული გახდა შეეცვალა თავისი ძირითადი დანიშნულება და ახლო დაზვერვის ფუნქციები შეესრულებინა. მას აგრეთვე სხვა არაპროფილური ამოცანების შესრულებამაც მოუწია იმავე ტაქტიკისა და ხერხების გამოყენებით, მაგრამ ამჯერად ბაზიდან მცირე მანძილის მოშორებით. ეს მოიცავდა რაზმის დაზვერვით გასვლას დასავლეთ უდაბნოში ერთი თვით. ეფექტურად სამოქმედო ჯგუფის მებრძოლებს სამარიდან ტბამდე, რომელსაც ტარ-ტარი ჰქვია, მუდმივად უხდებოდათ საკუთარი ადგილმდებარეობის განსაზღვრა. სწორედ ამ რაიონში დათარეშობდა აჯანყებულთა მოზრდილი ქვედანაყოფი. ჯარისკაცები პერიოდულად ჩერდებოდნენ დასახლებულ პუნქტებში და ადგილობრივი მოსახლეობისგან სადაზვერვო მონაცემებს აგროვებდნენ. მათთან კარგი ურთიერთობის დამყარებით მზვერავები მიმდინარე სიტუაციის განმსაზღვრელი ცნობების შეგროვებასთან ერთად, რაიონში ინფორმატორთა ქსელსაც ქმნიდნენ. ადგილობრივი პოლიციის ოფიცრებზე დაყრდნობით მრავალი ავლანელი მოქალაქე გადაიბირეს, რითაც ამ საქმეში წარმატებასაც მიაღწიეს, ჩატარებული სამუშაოს შედეგად კი, რაზმმა სამარაში დიდი გავლენა მოიპოვა.

## სამყურა

სამარაში დავალების შესრულების შემდეგ ქვედანაყოფი მოწინავე ოპერატიულ ბაზა სუმარელაში გადაისროლეს მიზნობრივი ტაქტიკური ჯგუფის დასახმარებლად, რათა ხელი შეეშალათ მოჯანყეებისთვის, რომლებიც თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობებით ნაღმავდნენ გზებს. რაზმმა მოქმედება დაიწყო სხვა ქვედანაყოფებთან ერთად და პარალელურად შეუდგა 103-ე ჯავშანსატანკო ბრიგადის პირველი ბატალიონის მიზნობრივ-ტაქტიკური ჯგუფის „დრუგანის“ ინტერესებში შემავალი ამოცანის შესრულებას, რაც ერაყის სტრატეგიული გზებისა და სხვა ობიექტების გათავისუფლებაში გამოიხატებოდა. ამ ამოცანას რაზმმა კარგად გაართვა თავი. მათმა ეფექტურმა მოქმედებებმა აჯანყებულთა შეტევებისგან დაიცვა გზები და საკვანძო ობიექტები, რომლებიც თავის მხრივ საკუთარი ასაფეთქებელი მასალით დანაღმეს. ჯავშანსატანკო ბრიგადის პირველი ბატალიონის მებრძოლებთან ერთად მზვერავებმა დააკავეს ქალაქ ბაიჯიში მოქმედი ტერორისტული დაჯგუფების ორი წევრი, რომლებიც დანაღმული ავტომობილის აფეთქებას ცდილობდნენ ბაზრის ტერიტორიაზე, ისინი, როგორც შემდეგ გაირკვა, ამ დაჯგუფების ლიდერები იყვნენ.

მათი გაუვნებლების შემდეგ ტერორისტული შეტევები მკვეთრად შემცირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და. ეტყობა, ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ამ მონაკვეთზე წარმოებული ნაღმების ომში.

ჯგუფის დაჯავშნული „ჰამერების“ საქვემეხე კოშკურებსა და კარებზე სამყურაა გამოსახული, რაც შორიდანაც კარგად მოჩანს. ეს არის რაზმ Murphy-ის ემბლემა, რომელიც ირლანდიიდან პირველი და მეორე თაობის ემიგრანტთა მრავალსახეობას გამოხატავს. ჯარისკაცებმა საგანგებოდ შეარჩიეს ეს სიმბოლო, რათა მტერს სცოდნოდა, ვისთან ჰქონდა საქმე. სამყურას გამოსახულების დანახვაზე ბოევიკები ხვდებიან, რომ მათ წინააღმდეგ ჰაგარი ბიჭები, ნამდვილი პროფესიონალები იბრძვიან.

ჯგუფი უდაბნოში მოძრაობს, ჯარისკაცები ხან ქვიშაში ეფლობიან წელამდე, ხან ქვაღორღიან მონაკვეთზე მიფორთხავენ. პერიოდულად ჩერდებიან, რათა საკუთარი ადგილმდებარეობა გაარკვიონ და რადიოკავშირის სეანსი ჩაატარონ. მიუხედავად ამისა, ისინი სწრაფად მიიწევენ წინ. ბოლოს, როგორც იქნა, მიადგნენ სათვალთვალო პუნქტს, რომელიც მომცრო ქედის ფერდობზე მდებარეობდა და ჩაწვნენ. სერჟანტმა ჰალორანმა მათ აუხსნა, რომ ამ ადგილიდან მეომრები უნდა დაჰკვირვებოდნენ გზის მონაკვეთს, რომელზეც აჯანყებულები ხშირად ნაღმავდნენ გზას თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობებით. მეკავშირემ რადიოსადგური გამართა და ბაზას შეატყობინა ჯგუფის ადგილზე მისვლის ამბავი. ამის შემდეგ მზვერავებმა ღამის ხედვის აპარატურა მოიმარჯვეს და მონაკვეთის თვალთვალს შეუდგნენ.

ღამეულ ცაზე ვარსკვლავები აკიაფდნენ, მალე „ირმის ნახტომი“ გამოიკვეთა და უდაბნო რძისფრად გაანათა. მეომრები აპარატურის მეშვეობით სიბნელეში ყურადღებით აკვირდებოდნენ ყოველ წერტილს. ჰალორანმა ადგილზე ამოცანის დასახვისას ჯგუფს თვალთვალის ყველა საშუალების გამოყენება უბრძანა. სუფევდა აბსოლუტური სიჩუმე, რომელსაც დროდადრო ჩურჩული თუ დაარღვევდა.

ვარსკვლავებთან ერთად აინთნენ ახლომდებარე ქალაქების ლამპიონები. დროდადრო ჩასაფრებულებამდე კანტიკუნტად აღწევდა საუბრისა და ძაღლის ყეფის ხმები, რაც ჩასაფრებულებს ისეთ ილუზიას უქმნიდა, თითქოს ისინი მშობლიური ქალაქის ან სოფლის გარეუბანში იმყოფებოდნენ და არა ერაყის უდაბნოში, ტერორისტებს გამოდევნებულები. თუმცა, გამოცდილი მზვერავები მაინც ახერხებდნენ ამ ქაოსურ ხმაურში შემთხვევითი გასროლისა თუ მანქანის ძრავის მუშაობის ხმის გამორჩევას.

## თავისებურებანი

პატრულირება მჭიდროდ დასახლებულ ქალაქებსა და სოფლების რაიონებში, რომლებშიც საკვანძო პუნქტებია განთავსებული, რასაც მზვერავები „პასუხისმგებლობის ზონაში სიმძიმის ცენტრებს“ უწოდებენ, განსაკუთრებულად რთული იყო, რადგან სწორედ ამ რაიონებში აწყობდნენ აჯანყებულები ყველაზე მეტ ტერორისტულ აქტებს, აფეთქებდნენ თვითნაკეთ ფუგასურ მოწყობილობებს, აწყობდნენ ხაფანგებს და ჩასაფრებებს. ასეთ „სიმძიმის ცენტრებად“ ითვლებოდა ქალაქები სამარა და ბაიჯი, ამიტომაც შორი პატრულირების რაზმის მთავარი ძალისხმევა მიმართული იყო ამ რაიონში, აჯანყებულთა ძირგამომთხრელი საქმიანობის აღმოსაფხვრელად.

მიზნის მისაღწევად რაზმმა ერთ-ერთი სოფლიდან 200 მ მანძილის მოშორებით მოაწყო სათვალთვალო


სპეცრაზმელთა ეფექტურმა მოქმედებებმა აჯანყებულთა შეტევებისგან დაიცვა გზები და საკვანძო ობიექტები, რომლებიც თავის მხრივ საკუთარი ასაფეთქებელი მასალით დანაღმეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუნქტი, სოფლის მკვიდრებს კი აზრადაც არ მოსდიოდათ ახალი მეზობლების არსებობა. საკმაოდ ღია ადგილმდებარეობა აქ დაფარულად მოქმედების საშუალებას არ იძლეოდა. არც უცხო თვალისაგან შეუმჩნეველი, დასამალი ადგილი იყო ახლომახლო. ამიტომ დაზვერვისას უმრავლეს შემთხვევაში სიბნელის — მზვერავის ერთგული მოკავშირის იმედად უნდა ყოფილიყვნენ. მეომრებმა კარგად იცოდნენ, რომ „სიმძიმის ცენტრებში“ მოჯანყეების გარდა ცხოვრობდა გლეხობა და შინაური პირუტყვი. ამიტომ ჯარისკაცების დათმობაზე წასვლამ მოუწიათ.

ზოგიერთი ჯარისკაცის აზრით, უდაბნოში ქვეითად მოქმედება გაცილებით ეფექტური იყო, რადგან ნაკლებსავარაუდო იყო ნაღმზე აფეთქება. გარდა ამისა, მოწინააღმდეგის შეუმჩნევლად შეიძლებოდა ნებისმიერი სადაზვერვო სამუშაოს შესრულება.

## მტერი და მოყვარეც თანაბრად სახიფათოა

გზაზე მოძრაობა არ შეიმჩნევა, რაც საფარში ჩაწოლილი მზვერავების გულისწყრომას იწვევს. ბოლოს, გზატკეცილზე, როგორც იქნა, გამოჩნდა მიკროსატვირთო მანქანა, რომელიც საშუალო სიჩქარით მოძრაობდა და მტერის კორიანტელს აყენებდა. ალბათობის წესების თანახმად შესაძლებელი იყო სატვირთოს რამდენიმე დამნაღმველი ტერორისტი მოჰყავდა, მაგრამ მანქანა მშვიდობიანად გაატარეს, თუმცა რაზმი სამოქმედოდ იყო შემართული. მსგავსი შემთხვევები კარგად არ მოქმედებს მებრძოლთა ფსიქიკაზე, მაგრამ პროფესიონალიზმი და გამოცდილება მზვერავებს ემოციის მოთოკვას აიძულებს. მათ კარგად იციან, რომ ამოცანა აუცილებლად უნდა შეასრულონ, მათ უნდა აღმოაჩინონ და გააუვნებლონ ერაყელი დამნაღმველები. ამიტომაც უწევთ ჩასაფრებულებს საათობით წოლა სახელდახელოდ მოწყობილ სათვალთვალო პუნქტში.

მალე საფრთხისა და განგაშის ახალი საფუძველი გამოჩნდა — კოალიციის ზურგის უზრუნველყოფის კოლონა და ბადრაგი მოდიოდა მტვრის კორიანტელში. ძრავების ხმაურში ძლივსღა ისმოდა ძროხების ბღავილი და ძაღლების ყეფა. კოლონის მძლავრი მაშუქების არეალში მზვერავების საფარი მოხვდა. ჩასაფრებულები იძულებული შეიქნენ ფერდობზე ჩაცურებულიყვნენ და ქედის ძირში, მომცრო შვერილზე დალოდებოდნენ კოლონის ჩავლას. მალე მათ



ჯგუფი უდაბნოში მოძრაობს, ჯარისკაცები ხან ქვიშაში ეფლობიან წელამდე, ხან ქვაღორღიან მონაკვეთზე მიფორთხავენ. პერიოდულად ჩერდებიან, რათა საკუთარი ადგილმდებარეობა გაარკვიონ და რადიოკავშირის სეანსი ჩაატარონ

თავზე საჰაერო ბადრაგის ცეცხლით მხარდამჭერმა შვეულმფრენებმა გადაუფრინეს. მიუხედავად იმისა, რომ მზვერავთა ჯგუფი მოცემულ რაიონში სხვა ქვედანაყოფებთან ერთად შეთანხმებულად მოქმედებდა, მათ მაინც არჩიეს კოლონის დაცვისთვის შეუმჩნეველი დარჩენილიყვნენ, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ეგრეთ წოდებული „მეგობრული ცეცხლი“ ემუქრებოდათ.

კაპიტან მენინგის აზრით, ბოევიკთა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის ასამაღლებლად საჭირო ნაღდი ინფორმაცია მოწინააღმდეგის ჯარისკაცს აქვს, ისინი ხომ რეალური საომარი შეჯახების დროს ეუფლებიან მას. გარდა ამისა, მზვერავები ინფორმაციას იღებენ ადგილობრივ მცხოვრებთაგანაც.

ღამის პირველ საათზე ჯგუფი ჩასაფრების ადგილს ტოვებს და ბაზაში ბრუნდება. ბედად გზად შეხვდათ პოსტების ჩამომვლელი სატვირთო მანქანა, რომელიც სიამოვნებით გამოიყენეს და საწყის წერტილს დასვენებულები დაუბრუნდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისინი იარა[illegible]ა ალჭურვილობას რაზმის „ჰამერში“ ალაგებენ, თვითონ კი ბარში მიდიან ნაყინის საჭმელად, შემდეგ — სადაზვერვო განყოფილებაში, რათა უფროსობას მოახსენონ, რომ დავალების შესრულების დროს საეჭვო და სახიფათო ვერაფერი შენიშნეს.

ხვალ ისინი ისევ გადავლენ მავთულხლართებზე ახლო პატრულირების შესასრულებლად. ერაყში საკმაოდ რთული მდგომარეობაა. კოალიციის ჯარებთან მებრძოლ მოჯაჰედებს ფულს უხდიან გზების დანაღმვისთვისა და კოლონებზე თავდასხმისათვის. მატერიალური ინტერესის გარდა, მათ აქვთ ძლიერი სტიმულიც — მათ ყოველივე არამუსლიმანური ეზიზღებათ.

ადგილობრივმა მოსახლეობამ რომ მოჯაჰედებს მხარი აღარ დაუჭიროს, ბევრი რამ არის გასაკეთებელი, საამისოდ ამერიკელებს დიდი შრომა მოუწევთ. მათი ძალისხმევა არა მარტო საბრძოლო მოქმედებებზე უნდა იყოს მიმართული, არამედ ერაყელთა ნდობის გამყარებისა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისკენ.

# შავი ზღვის ფლოტის ახალი ფრეგატები




1135-ე პროექტის ხომალდი

გამოცხადდა შავი ზღვის ფლოტისათვის ასაგებ ფრეგატებზე ჩატარებული ტენდერის შედეგები: უპირატესობა გაერთიანებულ გემთსაშენ კორპორაციაში შემავალ კალინინგრადის გემთსაშენი ქარხანა „იანტარის“ წინადადებათა პაკეტს მიენიჭა.

„იანტარმა“ 11356 პროექტის სამი ფრეგატის მშენებლობა 2014 წლისათვის უნდა დაასრულოს, — ასეთია სატენდერო კომისიის მოთხოვნა.

არჩევანი „იანტარის“ სასარგებლოდ შემთხვევით არ გაკეთებულა. ქარხანა 2007 წლიდან იმავე პროექტით ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის სამ ფრეგატს (F45 Ter, F46 Tarkash, F50 Trikand) აგებს და სამივეს დასრულება 2011-12 წლისათვის არის დაგეგმილი.

ტენდერში დამარცხებულ გაერთიანებული სამრეწველო კორპორაციის სანქტ-პეტერბურგის „ბალტიის გემთსაშენ ქარხანას“ ნაკლები გამოცდილება არა აქვს. პეტერბურგელმა გემთმშენებლებმა 2003-04 წლებში ინდოეთისათვის 11356 პროექტის 3 ფრეგატი (F40 Talwar, F43 Trishul, F44 Tabar) ააშენეს.

რუსეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდლის ადმირალ ვლადიმირ ვისოცკის თქმით, შავი ზღვის ფლოტი 2013 წლიდან ყოველწლიურად 1-2 ფრეგატით შეივსება. 2015 წლისათვის ფლოტს ახალი პროექტის არანაკლებ 5 ფრეგატი უნდა ჰყავდეს.

დარჩენილი ორი ხომალდის ვაკანსიას, ალბათ, 22350 პროექტის ფრეგატები შეავსებს.

ამჟამად სანქტ-პეტერბურგის „სევერნი ვერფზე“ 22350 პროექტის „ადმირალ ფლოტა სოვეტსკოგო სოიუზა გორშკოვი“ და „ადმირალ ფლოტა კასატანოვი“ მშენებლობის სტადიაშია და ოქტომბერში პირველი ხომალდის წყალში ჩაშვება არის მოსალოდნელი.

რუსებმა დასახული გეგმები თუ შეასრულეს, მაშინ შავი ზღვის ფლოტის შემადგენლობიდან ჩამოიწერება წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო დიდი ხომალდი „ქერჩი“, აგრეთვე სადარაჯო ხომალდების კლასის 41 წლის „სმეტლივი“ და მორალურად მოძველებული „ლადნი“ და „პიტლივი“.

2009 წელს ფლოტს უკვე გამოაკლდა ვეტერანი „ოჩაკოვი“ და მისი ჩამოწერა 2011 წლისათვის არის გადაწყვეტილი.

ინდოეთის სამხედრო-საზღვაო ფლოტში 11356 პროექტის ხომალდების მექანიზმებმა, აღჭურვილობა-შეიარაღებამ სათანადო და თანაც ხანგრძლივი გამოცდა გაიარა, ამიტომაც რუსეთის პოლიტიკურ-სამხედრო ხელმძღვანელო-

რეაქტიული ბომბმტყორცნი РБУ-6000






11356 პროექტით ინდოეთისათვის აგებული ფრეგატი F44 Tabar-ი

11356-ე პროექტის ხომალდის ტექნიკური მონაცემებია: მაქსიმალური წყალწყვა — 4035 ტონა, სიგრძე — 124,8 მეტრი, მაქსიმალური სიჩქარე — 30 კვანძი, ცურვის სიშორე ეკონომიური სვლით — 4850 მილი, ენერგეტიკული დანადგარი — ორი აირტურბინა საერთო სიმძლავრით 56 ათასი ცხ.ძალა, ეკიპაჟი — 220 კაცი;

ფრეგატი, როგორც უნივერსალური ხომალდი, საჰაერო, წყალზედა-წყალქვეშა თუ სახმელეთო სამიზნეებთან ბრძოლის ყველა საშუალებით არის აღჭურვილი.

საჰაერო თავდაცვას საშუალო სიშორის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი **М-22 Штиль-1** (24 საზენიტო რაკეტა **9М317**) უზრუნველყოფს. კომპლექსის რეაქციის დრო 5-10 წამია, სამოქმედო რადიუსი 2,5-50 კმ და რაკეტის საბრძოლო ნაწილი 62 კგ-ს იწონის.

საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი **Каштан**-ის ორი მოდული ხომალდს მოწინააღმდეგის მაღალი სიზუსტის იარაღისა (მ.შ. ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტები) და მცირე ზომის სამიზნეებისაგან იცავს.

თითოეული მოდულის შემადგენლობაში შედის ორი ექვსლულიანი ავტომატი **АК-630 М-2** და ორი ოთხრაკეტიანი (32 რაკეტა **9М311**) ბლოკი.

დამატებით საზენიტო საშუალებას რვა ერთეული ხელით გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი **Игла-1Э** მიეკუთვნება.

ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი **Клаб-Н**-ის შემადგენლობაშია ვერტიკალური სტარტის რვა 3М-54 ტიპის რაკეტა (საბრძოლო ნაწილის წონა 220 კგ-ია) და მოდიფიკაციის მიხედვით სამოქმედო რადიუსი 10-დან 300 კმ-ის ფარგლებში მერყეობს.

„კლაბს" შეუძლია მოწინააღმდეგის საცეცხლე თუ რადიოელექტრონული წინააღმდეგობისას წყალზედა-წყალქვეშა ხომალდების, სახმელეთო სტაციონარული თუ მოძრავი სამიზნეების დაზიანება.

ფრეგატს ცხვირზე აქვს 100 მმ-იანი საარტილერიო დანადგარი **А-190Э**, რომლის ელექტრონული სისტემა სამიზნის ძებნას, დაფიქსირებასა და თანხლებას ავტომატურ რეჟიმში უზრუნველყოფს.

დანადგარს რეაქციის მინიმალური დრო აქვს, წუთში 80 გასროლას აკეთებს და სროლის მაქსიმალური სიშორე 20 კმ-ს აღწევს.

წყალქვეშა ნავებთან საბრძოლველად ხომალდის განკარგულებაშია ოცლულიანი რეაქტიული ბომბსატყორცნი **РБУ-6000-1** და ორი სატორპედო აპარატი **ДТА-53-11356-2**.

კიჩოზე შვეულმფრენისათვის (წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო **Ка-27** ან რადიოლოკაციური კონტროლის **Ка-31**) ასაფრენ-დასაჯდომი მოედანი და ანგარია გათვალისწინებული.



ხომალდსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსი Клаб-Н-ის 3М-54 ტიპის რაკეტის სტარტი



საშუალო სიშორის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი М-22 Штиль-1

ბამ უკვე აპრობირებული პროექტი ჯერ კიდევ გამოუცდელ 22350-ე პროექტს ამჯობინა.

თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ 11356-ე გემთმშენებლობის უკვე განვლილი პერიოდია.

1964 წელს საბჭოთა გემთმშენებლობის ერთ-ერთმა საკონსტრუქტორო ბიურომ წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო 3200 ტონა წყალწყვის საოკეანო ხომალდის შექმნის დავალება მიიღო. პროექტს ნომერი 1135 და შიფრი „ბურევესნიკი" მიენიჭა.

იმდროინდელი საბჭოთა წარმოების სარაკეტო შეიარაღების დიდი მასაგაბარიტული მახასიათებლები საშუალო წყალწყვის (2500-3500 ტონა) უნივერსალური ხომალდების აგების შესაძლებლობას არ იძლეოდა, ამიტომაც წყალქვეშა ნავებთან საბრძოლო და შემტევი [illegible]რაღების მატარებელი სპეციალური ხომალდების იდეა დომინირებდა.

ამ მიდგომით შეიქმნა 1135-ე პროექტი, სადაც მთავარი ადგილი წყალქვეშა ნავებთან ბრძოლის საშუალებებმა დაიკავა: 4 — წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო რაკეტა Метель-ი, 2X4 533 მმ-იანი წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო სატორპედო აპარატი და 2 რეაქტიული ბომბსატყორცნი РБУ-6000;

საზენიტო შეიარაღებაში შევიდა: 2X2 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Оса-М და 2X2 76 მმ-იანი საარტილერიო დანადგარი;

ხომალდების ყველაზე სუსტი ადგილი — წყალზედა სამიზნეებთან ბრძოლის საშუალება — 76 მმ-იანი საარტილერიო დანადგარები იყო.

არაბალანსირებული შეიარაღების გამოსასწორებლად სპეციალურად

ეროვნული ბიბლიოთეკა



წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო შვეულმფრენი Ka-27

შეიქმნა წყალზედა-წყალქვეშა სამიზნეებთან ბრძოლის კომპლექსი Раструб-Б-ი, მაგრამ დაბალი პარამეტრების (წყალზედა სამიზნეებზე სროლის მაქსიმალური სიშორე 50 კმ იყო) გამო გავრცელება ვერ პოვა.

ხომალდების სერიული მშენებლობის პროცესში საბრძოლო შესაძლებლობათა ამაღლების მიზნით პროექტში ცვლილებები შევიდა.

მაგალითად, მოდერნიზებულ 1135M პროექტზე კიჩოს არტილერია ორი ერთლულიანი 100 მმ-იანი ქვემეხით შეიცვალა.

საზენიტო შეიარაღების გასაძლიერებლად რამდენიმე ხომალდს საზენიტო კომპლექსი Оса-М ან Оса-МА დაემატა.

თუ ხომალდების შეიარაღება კრიტიკას იწვევდა, სამაგიეროდ სპეციალისტები ხომალდების კარგ ზღვაოსნურ თვისებებს ერთხმად გამოყოფდნენ.

ამ მოსაზრების გათვალისწინებით საზღვაო მესაზღვრეებისათვის 3774 ტონა წყალწყვის 11351-ე პროექტი შეიქმნა.

ხომალდის ცხვირიდან მოხსნილი წყალქვეშა ნავსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსის ადგილი 100 მმ-იანმა ქვემეხმა დაიკავა, ხოლო კიჩოზე 76 მმ-იანი საარტილერიო დანადგარების მაგივრად შვეულმფრენისათვის ანგარი გაკეთდა.

80-იანი წლებში ყურადღება ხომალდების უნივერსალიზაციაზე გამახვილდა და შემტევი შეიარაღების გაძლიერების საჭიროება გაჩნდა.

მომზადდა სამოდერნიზაციო 11352-ე პროექტი, სადაც კიჩოს რეაქტიული ბომბსატყორცნი РБУ-6000-ის ადგილას 2X4 ხომალდსაწინააღმდეგო რაკეტა Уран-ის კომპლექსების დაყენება იყო ჩაფიქრებული.

პროექტი ასევე თანამედროვე თაობის რადიოტექნიკურ აპარატურაზე გადასვლასაც ითვალისწინებდა.

ამ პროექტით ორ ხომალდზე რადიოტექნიკური აპარატურა შეიცვალა, მაგრამ მიზეზთა გამო კომპლექსი „ურანის“ დაყენება არ მოხერხდა.

კიდევ ერთმა ხომალდმა (11353-ე პროექტი) არასრული მოდერნიზაცია გაიარა და ახალი ჰიდროაკუსტიკური კომპლექსი მიიღო.

სხვა ქვეყნების დასაინტერესებლად მომდევნო 11356-ე პროექტი შეიქმნა, სადაც თავდაპირველი პროექტიდან მხოლოდ კორპუსი შემორჩა და შეიარაღება მთლიანად განახლდა.

რამდენიმე წელიწადში რუსეთის ფლოტს ეყოლება ფრეგატების კლასის ხომალდები, რომელთა მოვალეობა იქნება ოკეანეებსა და ზღვებში წყალზედა-წყალქვეშა ხომალდების წინააღმდეგ მოქმედება, საჰაერო თავდასხმების მოგერიება როგორც დამოუკიდებლად, ასევე სახომალდო ჯგუფის შემადგენლობაში და სხვ.

ახალი ფრეგატებით რუსეთის შავი ზღვის ფლოტის შესაძლებლობები გაიზრდება, რაც უპირველესად ძალის დემონსტრირებას ისახავს მიზნად.

*თემურ ჩაჩანიძე*



საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Каштан-ი

# ქარს გატანებული ხუთი მილიარდი



„უპილოტო საფრენი აპარატების შექმნაზე რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ბოლო პერიოდში 5 მლრდ რუბლი დახარჯა და სულ უშედეგოდ", — განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ ვლადიმირ პოპოვკინმა. მისი თქმით, 2009 წელს ჩატარებული გამოცდა რუსეთის სამრეწველო კომპლექსის მიერ შემოთავაზებულმა ვერც ერთმა უპილოტო საფრენმა აპარატმა ვერ გაიარა.

ერთადერთი რუსული წარმოების უპილოტო საფრენი აპარატი, რომელსაც რამდენიმე წელია დროდადრო იყენებენ, იაკოვლევის სახელობის საკონსტრუქტორო ბიუროს შექმნილი აპარატი Пчела-1-ია, რომელზეც მუშაობა 1990 წელს დაიწყო. აპარატი საკმაოდ კომპაქტური გამოვიდა. სტარტს იღებს დენთის ამაჩქარებლების მეშვეობით, რელსური მიმმართველისგან, რომელიც სატვირთო მანქანის შასიზეა დაყენებული. დავალების შესრულების შემდეგ (მისი მოქმედების რადიუსი 60 კმ-ია და ჰაერში 2 სთ-ის განმავლობაში შეუძლია ყოფნა) აპარატი მიწაზე სპეციალური პარაშუტით ეშვება. აპარატი თვალთვალის სატელევიზიო და სითბოვიზური სისტემებითაა აღჭურვილი და მისი გამოყენება დღე-ღამის ნებისმიერ მონაკვეთში შეიძლება. აპარატის რესურსი 5 ფრენაზეა გათვლილი. კომპლექსი Строй-П, რომლის შემადგენლობაშიც ეს უპილოტო აპარატი შედის, შეიარაღებაში 1997 წელს მიიღეს. მას შემდეგ ის ჩეჩნეთის ომშიც გამოიყენეს.

სხვა აპარატების სერიული წარმოების დაწყების ყოველი ცდა უშედეგოდ მთავრდებოდა არადამაკმაყოფილებელი მახასიათებლების გამო. ამიტომაც არაერთგზის მარცხის შემდეგ რუსეთმა ხელი ჩაიქნია სამამულო წარმოების უპილოტო აპარატების შექმნაზე და მზერა ისრაელისკენ მიმართა. 2009 წელს რუსეთმა ამ ქვეყანასთან უპილოტო საფრენი აპარატების შესასყიდად პირველი კონტრაქტი გააფორმა. მისმა ღირებულებამ 53 მლნ დოლარი შეადგინა. რუსეთმა Bird-Eye 400, I-View MK250 და Searcher Mk II-ის ტიპის 12 უპილოტო საფრენი აპარატი შეიძინა. შემდგომში მეორე, უფრო მასშტაბური 100 მლნ დოლარის ღირებულების კონტრაქტი გაფორმდა 36 უპილოტო საფრენი აპარატების შეძენაზე. 2010 წლის აპრილში კი ცნობილი გახდა კიდევ 15 უპილოტოს შესყიდვის შესახებ. ყველა უპილოტოს რუსები კოლომნაში დისლოცირებულ სამხედრო-საჰაერო ძალების უპილოტო ავიაციის სასწავლო ცენტრში ცდიან და მათ გამოყენებას სწავლობენ. რა თქმა უნდა, ელექტრონულ შიგთავსსაც დეტალურად სწავლობენ. სწორედ ეს არის მთავარი უპილოტო საფრენ აპარატებში.

რუსეთი უფრო შორს წავიდა და უპ-



**ჩვენი დოსიე:**
მოდიფიკაცია — **Пчела-1**
ფრთის გაქანი — 3.3 მ
სიგრძე — 2.8 მ
სიმაღლე — 1.12 მ
მასა — 135 კგ
ძრავას სიმძლავრე — 32 ც.ხ.ძ
კრეისერული სიჩქარე — 120-140 კმ/სთ
მოქმედების რადიუსი — 60 კმ
ფრენის სიმაღლე — 2000მ

ეროვნული ბიბლიოთეკა



Пчела-1 გამშვებ მანქანაზე სტარტის წინ

...და იგივე გამშვები მანქანა სენაკის სამხედრო ბაზაზე 2008 წლის აგვისტოში (ფოტოზე წითლად არის შემოფარგლული). აღნიშნული ფოტო სავსებით ადასტურებს ჩვენს წინააღმდეგ უპილოტო ავიაციის გამოყენებას




ილოტოების შეძენასთან ერთად ისრაელიდან მოწოდებული მაკომპლექტებელი დეტალებით უპილოტო აპარატების წარმოება დაიწყო. ეს ცნობილი გახდა 13 ოქტომბერს, როდესაც რუსულმა „ობორონპრომმა“ და ებრაულმა Israel Aerospace Industries-მა რუსეთისთვის უპილოტოების წარმოებისთვის საჭირო მაკომპლექტებელი ნაწილების მიწოდებაზე კონტრაქტი გააფორმა. ღირებულება არ ხმაურდება და სავარაუდოდ 300-დან 400 მლნ დოლარამდე მერყეობს. მაკომპლექტებლების მოწოდება 2011 წლიდან დაიწყება და ეს პროცესი სამი წლის განმავლობაში გაგრძელდება. უპილოტო საფრენ აპარატებს ყაზანის შვეულმფრენებს ქარხანაში ააწყობენ. ჯერჯერობით, უცნობია, რას ითვალისწინებს ხელშეკრულება — შეიძინეს ებრაული უპილოტოების სერიული წარმოების ლიცენზია, რომლის თანახმადაც 3 წლის განმავლობაში ყაზანის შვეულმფრენთა ქარხანა ებრაულ უპილოტოებს გამოუშვებს, თუ რუსები კვლავ შეეცდებიან საკუთარი კონსტრუქციის უპილოტოების შექმნას, ოღონდ ებრაული ელექტრონიკისა და ძრავების გამოყენებით?

ორივე შემთხვევაში უპილოტო საფრენი აპარატების რუსი მწარმოებლები მსუყე ლუკმის გარეშე დარჩნენ. იმპორტული მაკომპლექტებელი დეტალების გამოყენებით უპილოტოების წარმოების შემთხვევაში ისინი კონტრაქტების გარეშე დარჩებიან და საკუთარი ხარჯებით პროექტის შექმნის შემთხვევაშიც კი შიდა ბაზარზე, განსაკუთრებით კი ძალოვან სტრუქტურებში, მათი რეალიზება პრაქტიკულად შეუძლებელი იქნება.




2009 წელს ისრაელისგან რუსეთის მიერ შეძენილი I-View 250

ნათქვამია, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო და რუსული უპილოტოების მწარმოებელი საწარმოების ხელმძღვანელებიც ამჟამად ზუსტად წყალწაღებულების როლში არიან. „სამოქალაქო და სამხედრო დანიშნულების უპილოტო თვითმფრინავების მწარმოებელი რუსული კომპანიები თავის საზღვარგარეთელ კოლეგებს 2013 წლისთვის დაეწევიან“, — განაცხადა ერთ-ერთ თავის ინტერვიუში კონცერნ Вега-ს გენერალურმა დირექტორმა ვლადიმირ ვერბამ. ეს ორგანიზაცია რუსული ძალოვანი სტრუქტურებისთვის უპილოტოების მთავარი მიმწოდებელია. სწორედ მან შექმნა კომპლექსი Типчак-ი, რომელიც 2008 წლიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების შეიარაღებაშია. კომპლექ-



ჩვენი დოსიე:

მოდიფიკაცია — Типчак БЛА-05
ფრთის გაქანი — 3.4 მ
სიგრძე — 248 მ
სასტარტო მასა — 50 კგ
კრეისერული სიჩქარე — 90-190 კმ/სთ
მოქმედების რადიუსი — 60 კმ
ფრენის სიმაღლე — 3000მ
ფრენის ხანგრძლივობა — 3 სთ

ეროვნული ბიბლიოთეკა





Zala-421-08 და მისი მართვის კომპიუტერი (მარჯვენა ფოტო)

სის შემადგენლობაში შემავალი აპარატის БЛА-05-ის გამოყენება დღისა და ღამის განმავლობაში, 40-70 კმ რადიუსში შეიძლება. აპარატის აწყობასა და საბრძოლო მდგომარეობაში მოყვანას 15 წუთი სჭირდება და სტარტისათვის აპარატს სატვირთო ავტომობილზე დამონტაჟებული კატაპულტს იყენებენ. მარშის შემდეგ კომპლექსის მოშზადებისა და აპარატის გაშვების ხანგრძლივობა 20 წთ-ია. არსებული ინფორმაციის თანახმად, ამჟამად Вега ინტენსიურად მუშაობს ამ უპილოტო აპარატის რესურსისა და მისი ჰაერში ყოფნის ხანგრძლივობის გაზრდაზე.

ვლადიმირ ვერბას ზემოთ მოყვანილ განცხადებას, რუსეთის ეფ-ეს-ბეს სასაზღვრო სამსახურის უფროსი ვლადიმირ პრონიჩევი და საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდალი ვლადიმირ შამანოვი გამოეხმაურნენ და რუსული უპილოტო საფრენი აპარატები დადებითად შეაფასეს. როგორც ჩანს, პრონიჩევი ძალზე კმაყოფილია Zala-421-04M-ის ტიპის უპილოტო თვითმფრინავით, რომელიც მფრინავი ფრთის სქემის მიხედვითაა შექმნილი.

ამჟამად მწარმოებლები მუშაობენ შემდგომ მოდიფიკაცია Zala-421-08-ზე, რომელიც წინამორბედზე გაცილებით კომპაქტურია. მისი პრეზენტაცია 2006 წელს შედგა და დაზვერვისა და საარტილერიო ცეცხლის კორექტირებისთვისაა განკუთვნილი. მას რუსეთის საგანგებო სიტუაციათა სამინისტრო და მესაზღვრეები იყენებენ. მოკრძალებული ზომებისა და წონის მიუხედავად (აპარატი 2 კგ-ზე ოდნავ მეტს იწონის), მას ჰაერში 100 წთ შეუძლია ყოფნა. ძალურ დანადგარად მასზე ელექტროძრავა გამოიყენება. არსებობს ცნობა, რომ 2009 წლიდან ამ აპარატს რუსეთის სახმელეთო ჯარები იყენებს. არ არის გამორიცხული მას ოკუპირებული ტერიტორიებიდან ქართული პოზიციების დასაზვერადაც რომ იყენებდნენ. ელექტროძრავის წყალობით ის პრაქტიკულად უხმოდ დაფრინავს. მცირე ზომების გამო მას ხელით უშვებენ და მიწაზე პარაშუტის გამოყენებით ბრუნდება.

ბოლო დროს რუსეთი აქტიურ რეკლამას უწევს დიდი გაბარიტების მქონე უპილოტო თვითმფრინავს Дозор-600-ს, რომელსაც, მწარმოებლებს თუ დავუჯერებთ (კომპანია Кронштад), ბორტზე საწვავის მასიდან გამომდინარე მაქსიმალური 210 კგ სასარგებლო დატვირთვის წაღება შეუძლია. აპარატი ნორმალური აეროდინამიკური სქემითაა შესრულებული და აქვს მიმწოლი ხრახნი, რომელიც მოძრაობაში ოთხტაქტიან, 115 ცხ.ძ-ის სიმძლავრის ძრავას მოჰყავს. აპარატის ფრთა მეტალისაა, ფიუზელაჟი კომპოზიციური მასალისგან არის დამზადებული, ძალური კონსტრუქცია კი ალუმინისგან. ბორტზე საწვავის ოდენობა აპარატს ჰაერში 30 სთ-ის განმავლობაში ყოფნის საშუალებას აძლევს. მას საკუთარი შასი აქვს და შესაბამისად აფრენა-დაფრენა მიწიდან შეუძლია. საჭიროების შემთხვევაში თვლების შეცვლა თხილამურებზე შეიძლება.

**ჩვენი დოსიე:**
მოდიფიკაცია — **Дозор-600**
ფრთის გაქანი — 12 მ
სიგრძე — 7 მ
სიმაღლე — 2.5 მ
ცარიელის მასა — 240 კგ
მაქსიმალური ასაფრენი მასა — 720 კგ
სასარგებლო დატვირთვა* — 120 კგ
ძრავას სიმძლავრე — 115 ც.ხ.ძ
კრეისერული სიჩქარე — 120-150 კმ/სთ
მოქმედების რადიუსი — 15 კმ
ფრენის ხანგრძლივობა — 30 სთ
ფრენის სიმაღლე — 7500 მ
* — საწვავის მაქსიმალური მარაგით

**ჩვენი დოსიე:**
მოდიფიკაცია — **Zala-421-08,**
ფრთის გაქანი — 81 სმ
სიგრძე — 42.5 სმ
მასა — 2.1 კგ
ფრენის სიჩქარე — 65-130 კმ/სთ
მოქმედების რადიუსი — 15 კმ
ფრენის ხანგრძლივობა — 100 წთ
ფრენის სიმაღლე — 600 მ

როგორც ჩანს, რუსი მწარმოებლები არ აპირებენ ფარ-ხმლის დაყრას და ცდილობენ საკუთარი პროდუქციის გაუმჯობესებას. თუმცა ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი ის გარემოებაა, გაუწევს თუ არა კონკურენციას ეს უპილოტოები ებრაულ კოლეგებს.

*თემურ პულუზაშვილი*



უპილოტო Дозор-100 (ზედა ფოტო) და მის ბაზაზე შექმნილი Дозор-600, რომელზეც პერსპექტივაში შეიარაღების დაყენება იგეგმება



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მონადირე, რომელიც შველს არასოდეს ესვრის...


დავით ბედია

„ალბათ ნადირობის ერთ-ერთ სიამოვნებად ითვლება გათენების მოლოდინი, როცა მიდამო ჯერ რძისფერი ბურუსით იმოსება, მერე ნელ-ნელა გამოჩნდება მზის დისკო სხივების გარეშე. აი, პირველი სხივიც აღწევს დედამიწას, მინდორი ცვრიანია და მკაფიოდ არჩევ ნამჯისა და ბალახის სუნს, გარემო ნელ-ნელა, მაგრამ სწრაფად იწყებს განათებას“, – გადავწყვიტე ჩემი წერილი სწორედ ჩვენი სტუმრის სიტყვებით დამეწყო და ასე უფრო ნათელი გამხდარიყო მკითხველისთვის მისი პიროვნება. ბატონი დავით ბედია სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე გახლავთ. მის თითოეულ სიტყვაში იგრძნობა განსაკუთრებული სიყვარული და სათუთი დამოკიდებულება ბუნებისადმი. ნადირობა მისთვის ცალკე სამყაროა, სადაც ყველაზე ლაღად და თავისუფლად გრძნობს თავს. უპირატესობას, ჩვენი წინა რესპონდენტის მსგავსად, ფრინველებზე ნადირობას ანიჭებს, თუმცა მისი ყველაზე დიდი ნანადირევი ესტონეთში მონადირებული ხარირემია. განიცდის, რომ ბუნების დაცვას სათანადო ყურადღება არ ექცევა და ასე შეიძლება ფატალურ შედეგამდეც მივიდეთ. ვერასოდეს ვესვრი შველსო, – გაგვიმხილა საუბრისას: „მიყვარს ბუნება, სუფთა ჰაერზე ყოფნა, ჩემი ძაღლი, მასთან მუშაობა, როგორ ეძებს, როგორ აკეთებს ნაბულს, როგორ ამოაფრენს... ნადირზე ნომერში უნდა ჩადგე და ან გამოვა, ან არა. სხვადასხვა ჯიშის ფრინველებზე ნადირობაც განსხვავდება ერთმანეთისაგან – კაკაბი ტყელრეში ბუდობს, მასზე ნადირობა ზაფხულში ძალიან სახიფათოა, იმიტომ, რომ სადაც კაკაბია, იქ არის გიურზაც. ხოხობი მაყვლნარსა და ბუჩქნარში ბუდობს, ხოლო მწყერი – მინდორზე. ფრინველები ერთმანეთისგან განსხვავდებიან ამოფრენის სისწრაფით. ამ მხრივ კაკაბი ყველაზე სწრაფია, კარგი მსროლელი უნდა იყო, კაკაბი რომ ჩამოაგდო. ხოხობი ზანტია და მისი მოკვლა უფრო ადვილია. მაგალითად, ღალღა ძალიან აწვალებს ძაღლს და მისი მონადირების სირთულეც ამაში მდგომარეობს“.


დავით ბედია ახალგაზრდობაში

ბატონ დავითს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ძაღლებთან და ამ საქმეში თავისი გამოცდილებაც გაგვიზიარა:

„ძაღლის გაწვრთნა ერთდროულად ძნელიც არის და ადვილიც, გააჩნია ძაღლს, მის წარმომავლობასა და ჯიშს. მე სხვადასხვა დროს მყავდა სამი ჯიშის ძაღლი: სეტერი, დრათჰაარი და ქურცჰაარი – უფრო ხშირად ქურცჰაარი. იგი საქართველოსთვის უფრო მორგებულად მიმაჩნია. დრათჰაარი ძალიან კარგია, მაგრამ დიდი ბეწვი აქვს და როდესაც ხოხობზე ნადირობს და ჯაგებსა და ბარდებში შედის, ფაქტობრივად, ბეწვგაცლილი, ტიტველი გამოდის იქიდან. საგნების მოტანას ძაღლი ძალიან მალე სწავლობს, მოაქვს კომში, ბურთი, ჯოხი და წარმოიდგინეთ ფრინველზე როგორ იქნება. ყველა ძაღლს თავისი ხასიათი აქვს და ამასთან, საოცრად აზარტულიც არიან. ერთი ძაღლი მყავდა, ბომბორა, რომელიც სანამ ქინს არ მოიკლავდა, არ განადირებდა, შემდეგ კი ნადირობა მასთან ერთად მართლაც სასწაული იყო. სეტერს კარგი ჩვევა აქვს – სროლის წინ წვება, რასაც ქურცჰაარი ნაკლებად ეჩვევა. ბევრჯერ მონადირეს სროლის დროს ყურებში და თავში გაურტყამს საფანტი ძაღლისთვის. ეს ძალიან კარგი ჩვევაა — ჯერ ნაბულს გააკეთებს, პატრონს შეხედავს და როგორც კი დაინახავს, რომ უნდა ესროლოს, წვება, შემდეგ კი ფრინველი პატრონთან მოაქვს. ყველა ძაღლი კარგია, მოვლა და გაზრდა უნდა. ამასთან, აუცილებელია სწორი კვება. ლეკვი დღეში 5-6-ჯერ უნდა გამოკვებო, სასურველია მის რაციონში სტაფილო შედიოდეს“.

როგორც ზემოთ ითქვა, გამოცდილი მონადირე საქართველოში უპირატესობას კურცჰაარის ჯიშის ძაღლს ანიჭებს. პერიც (მისი ამჟამინდელი ძაღლი) კურცჰაარია – 5 წლის. საინტერესოა პერის ისტორია:

— ჩემმა მეგობარმა მაჩუქა 23 დღის ლეკვი. მას ჯერი დავარქვით მე და ჩემმა დისშვილმა, რომელსაც ძალიან მოსწონდა ძაღლებით ნადირობა და მთხოვა, მისთვის ლეკვი გამეზარდა. ვინც ჯერი მაჩუქა, იმასთან მივედი და კიდევ ერთი ლეკვი ვთხოვე, 2 თვე ვწვრთნე და პერი მაჩუქა. ეს სასწაული იყო, რომ გენახათ, ძმები როგორ თამაშობდნენ, მათ ყურებას არაფერი ჯობდა. დავიწყე მათი მოტანაზე ვარჯიში. პერი ყოველთვის ასწრებდა და ჯერის აღარ მოჰქონდა, ოდნავ წაიწევდა და რომ დაინახავდა, მაინც ვერ მიასწრებდა, ჩერდებოდა. ასე იყო თუ ისე, ორივე ძაღლი გაიწვრთნა და ერთ დღეს სანადიროდ წავედით, მაგრამ ვაი იმ ნადირობას – თითქოს რაღაცას ეძებდნენ, მაგრამ ორივე ერთად ვერ ნადირობდა, თამაშობდნენ. მირჩიეს, ცალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალკე წამყვანა. მეორე წელს სეზონის წინ ჯერი ლეიშმანიოზით დაავადდა და ვეტექიმმა იმედი გადამიწურა...

...ექიმებმა ძაღლის დაძინება გადაწყვიტეს, მანამდე კი ბატონ დავითს 2 საათის განმავლობაში გულში ჰყავდა ჩახუტებული ძაღლი და ხელიდან არ უშვებდა. შინ მისულს გულის შეტევა დაემართა და ოპერაცია დასჭირდა.

დავით ბედიას ორი თოფი აქვს: 16-კალიბრიანი ИЖ-58, რომლითაც 1967 წლიდან ნადირობს, და ფრანგული Halifax-ი.

გამოცდილი მონადირე თავად ტენის ვაზნებს და ეს დიდ სიამოვნებას ანიჭებს. ამას იმითაც ხსნის, რომ თავისი მომზადებული ვაზნებით უკეთ იცის, სად რა მანძილზე შეუძლია სროლა. იცის, რომელ ფრინველზე რა არის საჭირო. მაგალითად, მწყრისთვის ვაზნას ასე ამზადებს: 1,5-1,75 გ „სოკოლს" ტენის ვაზნაში, ზემოდან 2 სადებს უკეთებს და 30 გ №10-11 საფანტს ამატებს და მუყაოს ფირფიტის ზემოთ პლასტილინს აკრავს, რაც, მისი თქმით, ძალიან კარგად იჭერს ვაზნას. იყენებს ასევე პლასტმასის ვაზნებსაც, რომლებსაც პლასტმასის სადები აქვს.

Halifax-ით იშვიათად ნადირობს, რადგან მასში ხელით დატენილი ლითონის ვაზნები არ ჩადის, თუმცა, აქვს ერთი დიდი უპირატესობა – ИЖ-58-ზე 1.2 კგ-ით ნაკლებია და მონაცემები კი იგივე აქვს.

ბატონმა დავითმა ერთი საინტერესო ამბავიც მოგვიყვა, რომელიც ნამდვილად დამაფიქრებელი იქნება ჩვენი ბუნების დამცველებისა და სამონადირეო ბიზნესით დაინტერესებულ პირთათვის:


ИЖ-58

მონადირის არსენალიდან


Halifax

„ბულგარეთში ვიყავი მივლინებით. შემთხვევით წამომცდა, რომ ნადირობა მიყვარს. ერთ მშვენიერ დღეს სასტუმროში მომაკითხა ჩემმა მასპინძელმა და სანადიროდ წამიყვანა სოფიიდან 100 კმ-ზე. მოვედით ეგერთან. ბულგარეთში ინდივიდუალური ნადირობა არ შეიძლება, მხოლოდ ჯგუფური შეიძლება და ჯგუფს ისე ადგენენ, რომ მონადირეები ერთმანეთს ნაკლებად იცნობდნენ. სპეციალური ფაბრიკებიდან წელიწადში ტყეში 70000 ფრთა ხოხობს უშვებენ. ასეთ ფაბრიკებში სხვადასხვა ნადირსა და ფრინველს ამრავლებენ. სამონადირეო მეურნეობა კარგად აქვთ განვითარებული და ამით ქვეყანა კარგ შემოსავალსაც იღებს. მოკლედ, წავედით ხოხობზე სანადიროდ. რამდენსაც გინდა, იმდენ მამალ ხოხობს მოკლავ. მერე მიხვალ ეგერთან და ერთ ხოხობს მოგცემენ, დანარჩენი კი უნდა იყიდო. რაც დარჩება, მაღაზიებში გააქვთ გასაყიდად. ჩვენ ნადირობის დაწყებამდე ვულეტთ ფრინველს და რა სამონადირეო მეურნეობაზეა ლაპარაკი, ელემენტარული წესები არ არის დაცული. 67 წლის კაცი ვარ, ჩემს სიცოცხლეში ნადირობისას ბუნების დამცველი არ შემხვედრია, არც ვინმეს მოუთხოვია რაიმე საბუთი".


კურცჰაარი პერი

ცალკე თემაა მონადირის საგზალი და ალჭურვილობა. ჩვენს რესპონდენტს მონადირის აუცილებელ ატრიბუტად ხახვი, ნიორი და პური მიაჩნია. აუცილებლად მიაქვს წყალი, რომელიც ძირითადად ძაღლისთვის არის განკუთვნილი, საუზმედ მშრალი საკვები ურჩევნია. როგორც ამბობს, მას უპირველესად ნადირობა უყვარს, საუზმე კი იმისთვისაა, რომ დანაყრდე და არა იქეიფო. ქეიფი – ნადირობის შემდეგ!

როგორც დავით ბედიას მეგობრებისაგან შევიტყვე, იგი ძალიან კარგი კულინარი ყოფილა, მაგრამ ნადირობისას ნანადირევის მომზადებისაგან თავს იკავებს. მწყრის სეზონზე მეგობრები მასთან იყრიან თავს და მწყრის საცივს, ჩახოხბილსა და უგემრიელეს ტაბაკას აგემოვნებენ.

ქეთი ადეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# „დაკოდილი" პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი სახლის დასაცავად

როდესაც პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს ავტომატური ჯერით სროლის საშუალებას წაართმევ, მას „დაკოდილი" ჰქვია და სხვა არაფერი.

ვის არ უნდა სახლში პისტოლეტის გარდა, საუცხოო პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი MP5-ც ეკიდოს კედელზე, მაგრამ ამერიკული კანონმდებლობა ქართულთან შედარებით ბევრად მკაცრია და კრძალავს ავტომატური ჯერით მსროლელი იარაღის სამოქალაქო პირის მიერ შეძენას (ჩვენთან კი ნებადართულია ავტომატური ჯერით მსროლელი პისტოლეტების ოფიციალურად შეძენა სახლში შენახვის უფლებით).



პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი HK MP5

ავტომატური ჯერით მსროლელი იარაღის გაყიდვა ამერიკულ, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრი ქვეყნის ბაზარზე, შემთხვევით არ არის აკრძალული, რადგან ავტომატური ჯერებით მსროლელი იარაღის დამორჩილება ბევრად რთულია, ვიდრე თვითდამტენისა და ნაკლებად მომზადებულმა სამოქალაქო პირმა ავტომატური იარაღის სროლისას შეიძლება დააშავოს როგორც ახლო მყოფები, ისე საკუთარი თავიც.

სწორედ ასე მოექცნენ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო პისტოლეტ-ტყვიამფრქვევ MP5-ის ამერიკულ ვარიანტს UMP-45-ს, რის შემდეგაც იგი თვითდამტენ კარაბინად — USC-დ აქციეს.

ცნობილმა გერმანულმა საიარაღო ფირმა Heckler-Koch-მა ეს იმ იმედით გააკეთა, რომ ამერიკულ ბაზარზე გაეტანა ახალი ტიპის სამოქალაქო იარაღი, რომელსაც ფირმის ხელმძღვანელთა აზრით, იარაღის მოყვარული ამერიკელები დიდი რაოდენობით შეიძენდნენ.



პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი HK UMP-45

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ჩვენი დოსიე:** თვითდამტენი კარაბინი HK USC ვაზნების გარეშე 2.7 კგ-ის იწონის. მისი სიგრძე 900 მმ-ია, ლულის სიგრძე კი 406 მმ. მჭიდში .45ACP (11,43 მმ) კალიბრის 10 ვაზნა ეტევა.





თვითდამტენი კარაბინი HK USC

**ჩვენი დოსიე:** HK USC-ში გამოყენებულია თავისუფალი საკეტის უკუცემის ენერგია. სროლა დახურული საკეტიდან წარმოებს. ვაზნების გახარჯვის შემდეგ საკეტი ღია მდგომარეობაში რჩება. ლულის კოლოფი და კონდახი დარტყმაგამძლე პლასტმასისგანაა დამზადებული. ლულის კოლოფზე დატანებულია Picatinny rail-ის ტიპის მიმმართველები, რომლებზეც მაგრდება სხვადასხვა სახის დამატებითი აქსესუარები (ტაქტიკური ფარანი, ხელის მოსაკიდი, ლაზერული მიზანმომნიშვნელი და სხვ.)

მაგრამ იარაღის მოყვარულები მთელ მსოფლიოში თანახმა არიან შეიძინონ პოპულარული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღის (M16-ის AK-47-ისა თუ იმავე MP5-ის) სამოქალაქო ვარიანტები, რომლებიც კონსტრუქციული ცვლილების შემდეგ მხოლოდ თვითდამტენის რეჟიმში (ანუ ყოველი გასროლის შესასრულებლად სასხლეტზე ხელახლაა საჭირო თითის დაჭერა) ისვრიან.

გერმანულმა Heckler-Koch-მა გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს ამერიკულ საიარაღო ბაზარზე ლეგენდარული პისტოლეტ-ტყვიამფრქვევის MP5-ის თანამედროვე ვარიანტი UMP შეიტანა. ახალი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი ამერიკელი პოლიციელების შესაიარაღებლად იყო განკუთვნილი და, ბუნებრივია, ამერიკელების საყვარელ კალიბრზე .45ACP-ზე დამზადდა, თუმცა მოგვიანებით სხვა კალიბრებზე .40SW და 9X19 მმ Luger/Para-ზეც იქნებოდა.

სწორედ UMP-45-ის ბაზაზე შექმნეს გერმანული ფირმის კონსტრუქტორებმა იარაღის სამოქალაქო ბაზრისთვის განკუთვნილი თვითდამტენი კარაბინი HKUSC, რომელიც მართალია ისევ 11,43 მმ კალიბრის პისტოლეტის ტყვიებს ისროდა, ოღონდ არაავტომატურ, თვითდამტენ რეჟიმში.

ახალი იარაღი განკუთვნილი იყო საცხოვრებლის დასაცავად, ასევე სავარჯიშო სროლებისთვის, რისთვისაც მისი კონდახი ორიგინალური ფორმის გააკეთეს, ოღონდ არა დასაკეცი, რადგან ვინმეს მისი მალულად, ტანსაცმლის ქვეშ ტარება არ ეცადა (პოლიციურ MP5-ებსა და UMP-ებს კონდახები ეკეცებოდა, რაც აიოლებს მათ მალულად ტარებას).

მიუხედავად გერმანული საიარაღო ფირმის დიდი მონდომებისა, USC ვერ გახდა პოპულარული ამერიკული იარაღის მოყვარულთა შორის. ამის ერთ-ერთი ტექნიკური მიზეზი ის გახლდათ, რომ USC-ს მხოლოდ 10-ვაზნიანი მჭიდი უყენდებოდა, როგორც ამას ამერიკული კანონმდებლობა მოითხოვდა. თუმცა 2004 წელს მოიხსნა შეზღუდვა სამოქალაქო იარაღისთვის მჭიდების ტევადობის შეზღუდვაზე. მთავარი მიზეზი, რის გამოც გერმანული MP5-ის ნახევრად ავტომატურმა „შვილიშვილმა“ ამერიკული სამოქალაქო იარაღის ბაზარზე წარმატებას ვერ მიაღწია, მისი დიდი გასაყიდი ფასი იყო.

*ირაკლი ალადაშვილი*



ფოტო უკომენტაროდ

# HK USC



არსენალი

ნ 16/42

ISSN 1987-5061
9 771987 506007